ხელოვნება

6 მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ნანა იოსელიანი ◆ სოფიო ქებურია

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ხელოვნება 6
მასწავლებლის წიგნი
თბილისი, 2018

ავტორები: ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია

რედაქტორი ნინო გოგალაძე
დიზაინერები: ია მახათაძე, გიორგი მაღრაძე
ილუსტრატორი: გიორგი მაღრაძე
ტექნიკური დიზაინერი გიორგი ლომსაძე

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-060-8

ART 6
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2018
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

შესავალი

შესავალი 3
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 32
გაკვეთილების სცენარები 35
მასწავლებლობანა 37

I თემა: ელემენტები და პრინციპები 39
შუქ-ჩრდილი 39
ბუნებაზე დაკვირვება – ალბრეხტ დიურერი 41
ფორმა 43
ჩუქურთმა 45
სიმეტრიული კომპოზიცია 47
ასიმეტრიული კომპოზიცია 49
წონასწორობა 50
მასშტაბი 54
სტატიკა და დინამიკა 55
ოქროს კვეთა 57
კომპოზიცია 60
ოქროს სტატირი 63
დედალოსი და იკაროსი 65
პროექტი – კონფერენცია „მსოფლიოს შედევრები“ 67

II თემა: ჟანრები 68
ნატურმორტი 68
II გაკვეთილი 69
პოზა 71
პორტრეტი ძაფით 73
ზამთრის პასტორალი 74
ზამთრის პეიზაჟი 75
პლაკატი 77
მერაბ აბრამიშვილი 81

III თემა: ტექნიკა 83
აპლიკაცია 83
დეკუპაჟი 84
ისევ დეკუპაჟი 85
ფეიერვერკი 86
გრატაჟი 88
ჩინური განძი 90

დავით კაკაბაძის კოლაჟები 91
„ტრიალებს, ბრუნავს...“ 92
ექსლიბრისი 94
შრიფტის დიზაინი 96
გერბი და ჰერალდიკა 97

IV თემა: პროფესია 99
ანტიკვარი 99
პროფესია – გალერისტი 101
პროფესია – კურატორი 103
განთქმული ფალსიფიკატორი 105

V თემა: ისტორიები 107
როგორ შენდებოდა ეკლესიები 107
ბერძენი მეთუნეები 109
მამაის ტონდო 111
ბაბილონის გოდოლი 113
ფაიუმის პორტრეტი 117
გაზაფხული 119
ლეონარდოს ჩანახატები 121
ლეონარდოს ოინი 123
ჯორჯონე თუ ტიციანი? 124
იპოვე განსხვავება 129
დეტექტივობანა 132
ვიქტორინა „რა, სად, როდის“ 135

დანართი 138

აქტიური ბმულები ისტ-ის დავალებებისთვის 145

„მე ყოველთვის ვაკეთებ იმას, რაც არ ვიცი. სხვაგვარად როგორ ვისწავლო?!“

პაბლო პიკასო

„შემოქმედებითი თავისუფლება – შეცდომების დაშვების თავისუფლებაა“

პეტრე კაპიცა

წინასიტყვაობა

მსგავსად იმისა, როგორც ბავშვი, ლაპარაკის დაწყებამდე, იგროვებს სიტყვათა მარაგს, ხოლო ლაპარაკის დაწყების შემდეგ დაგროვილი ლექსიკური მარაგი მოყავს სინტაქსურ სისტემაში, 10-12 წლის ასაკში, მოსწავლემ უნდა დაიგროვოს ცნობები სამყაროს შესახებ, რათა საგნის შესწავლის მომდევნო ეტაპზე, მიუსადაგოს საკუთარი გამოცდილება და დაგროვილი ინფორმაცია არსებულ სისტემებს; შეძლოს სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის, ფაქტების დაკავშირება, კლასიფიკაცია, ინტერპრეტაცია; თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, ხელოვნების ნაწარმოებებს, ფაქტებსა და მოვლენებს შორის ისტორიული და სტილისტური პარალელების გავლება.

5-6 კლასებში, მოსწავლეების შემოქმედებით და კვლევით საქმიანობაში აქტიური ჩაბმით უნდა გამოვუმუშავოთ დაკვირვების, აღქმის, კვლევა-ძიების, ინფორმაციის გაგების, დამუშავებისა და ორგანიზების, ინტერპრეტაციის უნარი; გავუღვუვოთ ხელოვნების ნაწარმოებების შედარების, მათ შორის პარალელების გავლების, კავშირების მოძიების უნარი; კრიტიკული აზროვნების უნარი.

შესავალი

1-დან 4 კლასამდე, მოსწავლეები ეცნობოდნენ სახვითი ხელოვნების საბაზო კომპონენტებს – დარგებს, ჟანრებს, ელემენტებსა და პრინციპებს, ეუფლებოდნენ სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას, სწავლობდნენ თვითგამოხატვის ხერხებს, ხელოვნების ნაწარმოების ანალიზს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე-6 კლასში, ჩვენი მიზანია:

- მოსწავლეთა შემოქმედებითი და საინტერპრეტაციო უნარების შემდგომი განვითარება, გაღრმავება და განმტკიცება;
- ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისადმი და ხელოვნების მეშვეობით კაცობრიობის მიღწევების სხვა სფეროებისადმი ინტერესის გაღვივება;
- სხვადასხვა უნარის განვითარების ერთობლიობით, ინტერესიანი, მოაზროვნე, შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბება;
- სამყაროს ერთიანობის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება;
- საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა;
- სხვა კულტურებისა და შემოქმედების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ფორმირება;
- ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება;
- კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
- ესთეტური გემოვნების ჩამოყალიბება.

მოსწავლეებს უნდა გავუღვივოთ და განვუვითაროთ:

- წარმოსახვის, ფანტაზიის უნარი;
- საკუთარი შთაბეჭდილებების, დამოკიდებულების, შეგრძნებების ვერბალური და სახვითი საშუალებებით გადმოცემის უნარი;
- მშვენიერების აღქმის უნარი;
- ხელოვნების ნაწარმოების / გარემოს ემოციური აღქმის უნარი;
- ხელოვნებისადმი ინტერესი და სიყვარული;
- ძიების, დაკვირვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- შემოქმედების სურვილი და უნარი;
- სხვადასხვა ტექნიკით ექსპერიმენტირებისა და ნამუშევრის შესრულების უნარი;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი;
- შრომითი უნარ-ჩვევები.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა

სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება:

მე-6 კლასი:

მასწავლებლის წიგნი;

მოსწავლის წიგნი;

მასწავლებლისთვის დამხმარე საილუსტრაციო მასალა დანართისა და ელექტრონული ვერსიის სახით;

მასწავლებლის წიგნი:

1. სარჩევი
2. შესავალი
3. მიზნების, შედეგებისა და ინდიკატორების რუკა
4. გაკვეთილების სცენარები
5. ცნობარი
6. დანართი.

მოსწავლის წიგნი:

1. სარჩევი
2. თემატური ტექსტები ილუსტრაციებითა და აქტივობების ინსტრუქციებით
3. ლექსიკონი

მასწავლებლის წიგნის სარჩევი:

სარჩევში მითითებულია:

- გაკვეთილის სათაური და გვერდი
- თემის დასახელება
- თემასთან დაკავშირებული აქტივობების რაოდენობა

შესავალი:

შესავალი შეიცავს:

- ავტორების ხედვას დაწყებით კლასებში ხელოვნების სწავლების შესახებ
- ზოგად ინფორმაციას სახელმძღვანელოს სტრუქტურის შესახებ
- პრაქტიკულ რჩევებს
- მოსწავლის შეფასების პრინციპებს

ცნობარი შეიცავს:

- დამატებით საცნობარო ინფორმაციას

დანართი:

მოსწავლის შეფასების სქემები

აქტივობებისთვის საჭირო თარგები და სხვა დამხმარე მასალა

საილუსტრაციო მასალის ელექტრონული ვერსია (ელ. რესურსები)

აქტიური ინტერნეტბმულები ვიზუალური მასალით, ვიდეო- და ფოტოინსტრუქციებით, ინტერაქტიული თამაშებით.

გაკვეთილების სცენარები:

ყოველი გაკვეთილის სცენარი შეიცავს:

- კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს;
- მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების ჩამონათვალს, რომელთა გაღვივება-განვითარებასაც უწყობს ხელს კონკრეტული გაკვეთილი;
- გაკვეთილზე ასათვისებელი ტერმინების ჩამონათვალს;
- ვიზუალური რესურსის ჩამონათვალს;
- აქტივობისთვის საჭირო მასალის ჩამონათვალს;
- გაკვეთილის მსვლელობის დაწვრილებით სცენარს;
- თემის შესაბამისი აქტივობის/აქტივობების ეტაპობრივ აღწერას;
- გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემაჯამებელ კითხვებს;
- საშინაო დავალებას;
- აქტიურ ინტერნეტბმულებს ვიზუალური მასალით, ვიდეო- და ფოტოინსტრუქციებით, ინტერაქტიული თამაშებით;

გაკვეთილების თემები შერჩეულია ეროვნული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

გაკვეთილები თემატურად დაჯგუფებულია თავებად.

თემების შესაბამისი აქტივობები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მითითებებს, მოსწავლის წიგნში მოცემულია ეტაპობრივი, ილუსტრირებული ინსტრუქციების სახით.

შემაჯამებელი გაკვეთილები ინტერაქტიული აქტივობების სახითაა წარმოდგენილი. მათი საშუალებით მასწავლებელს შეუძლია შეამოწმოს და შეაფასოს მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისებისა და შეძენილი უნარების ხარისხი. გარდა შემაჯამებელი გაკვეთილებისა, სცენარებში მასწავლებელი იხილავს თემასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ სააზროვნო თუ შემაჯამებელ შეკითხვას, რომელიც ასევე დაეხმარება მას მოსწავლეთა მიღწევების შეფასებაში.

წიგნის დასკვნით ნაწილში ჩამოწერილია შემაჯამებელი კითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შერჩევით, გაკვეთილის თემიდან გამომდინარე.

მასწავლებელი არ არის ვალდებული აქტივობები ჩაატაროს სახელმძღვანელოში მოცემული თანმიმდევრობის მიხედვით. მათი თანმიმდევრობა, მონაცვლეობა თუ გამეორება უნდა შეირჩეს ისე, როგორც მასწავლებელი მიიჩნევს მიზანშეწონილად.

მოსწავლის წიგნი:

მოსწავლის წიგნში, გაკვეთილების თანმიმდევრობა მასწავლებლის წიგნის გაკვეთილების თანმიმდევრობას შეესაბამება მხოლოდ თემების სათაურებით და არა ნუმერაციით.

გაკვეთილები შეიცავენ თემის შესაბამის ილუსტრაციებს, მათ განმარტებებს, სააზროვნო შეკითხვებსა და სხვა, თემასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

რუბრიკაში "სახელოსნო", მოთავსებულია აქტივობების შესრულების ეტაპობრივი ინსტრუქციები.

საჭიროების მიხედვით, გაკვეთილებს დართული აქვს ლექსიკონი, რომელიც შეიცავს გაკვეთილის საკვანძო ტერმინების განმარტებებს.

პრაქტიკული რჩევები:

- სივრცის ორგანიზება

აქტივობების ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური დავალებების შესრულება ითხოვს საკლასო სივრცის სხვადასხვანაირ ორგანიზებას. სასურველია, ხელოვნების მასწავლებელს ქონდეს საკუთარი საკლასო ოთახი – სახელოსნო, სადაც მას საშუალება ექნება მაგიდები დაალაგოს ისე, როგორც მოითხოვს აქტივობის პირობა.

მასალა და იარაღები:

ყოველ აქტივობას თან ახლავს საჭირო მასალისა და იარაღების ჩამონათვალი, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვროს და მოიმარაგოს ისინი. აქტივობებისთვის შერჩეულია ხელმისაწვდომი და მოსწავლეთათვის უსაფრთხო მასალისა და იარაღების აუცილებელი მინიმუმი. მასწავლებელს შეუძლია გაამდიდროს ეს ჩამონათვალი - გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი მასალა, რაც უფრო საინტერესოს გახდის შემოქმედებით პროცესს.

აქტივობების შესრულებისას, მასალის დანაკლისის ან არაერთგვაროვნების გამო, მოსწავლეებს შესაძლოა შეექმნათ არათანაბარი პირობები დავალების შესრულებისთვის, რაც ცხადია, იმოქმედებს ნამუშევრის ხარისხზე. ამისთვის, სასურველია მასწავლებელმა მშობლებთან წინასწარი მოლაპარაკებით უზრუნველყოს კლასში ერთგვაროვანი საბაზო მასალის (სახატავი ფურცლები, ფერადი ფურცლები, მუყაო, საღებავები, პალიტრები, ფუნჯები, წებო, მაკრატლები, პლასტილინი...) მომარაგება. მასალა შეინახება კლასში. შესაბამისად, მასწავლებელს ყოველთვის ხელთ ექნება დაგეგმილი აქტივობისთვის საჭირო რესურსი.

სპეციფიური მასალის საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები წინასწარ ჩაინიშნავენ და მოიტანენ მას დათქმული დროისთვის. მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, თადარიგი დაიჭირონ და კოლოფები, ნაჭრები, ძაფები, ღილები, მძივები და სხვა მსგავსი მასალა წინასწარ მოიმარაგონ და შეინახონ სკოლაში (საერთო ხმარებისთვის), რათა საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ხელთ ქონდეთ.

მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი აქტივობის მასალაში, შეიტანოს საკუთარი კორექტივები - უმეტესი აქტივობის მასალის ჩამონათვალში იგულისხმება გარკვეული ალტერნატივები: მაგ. პლასტილინი შეიცვალოს მარილიანი ცომით, ფერადი ქაღალდები ფერადი - ჟურნალებიდან ამოჭრილი გვერდებით და სხვა. მასწავლებელმა უნდა წააქეზოს მოსწავლეები, რათა მათ თავად მოიძიონ, გამოცადონ და გამოიყენონ სხვადასხვა მასალა.

დროის ორგანიზება:

გაკვეთილის პირველი 15 წუთი ეთმობა დაკვეთილის თეორიულ ნაწილს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც მხოლოდ გაკვეთილის თემის განხილვას, ასევე მოსწავლეების გამოკითხვას, განვლილი მასალის გამეორებას, მოსწავლეთა სეკითხვებზე პასუხებსა თუ დისკუსიებს. გაკვეთილის შემდეგი ნაწილი კი ეთმობა აქტივობის შესრულებას. თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ გაკვეთილის დრო მთლიანად უნდა დაეთმოს აქტივობას, მაგრამ ამავე დროს საჭიროა მოსწავლეებისთვის რაიმე ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ საჭიროებს მათ აქტიურობას, მასწავლებელს შეუძლია თეორიული ინფორმაცია დავალების შესრულების პარალელურად მიაწოდოს. ასეთ შემთხვევაში დროის მოგების მიზნით, სასურველია, გაკვეთილის დაწყებამდე, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს აქტივობის შესასრულებელი ინსტრუქციის ეტაპები, შესასწავლი ტერმინები, და სხვა საჭირო ინფორმაცია.

შესწავლის, კვლევის და დამოუკიდებელი აზროვნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად მასწავლებელმა მოსწავლეებს გარკვეული თემის თუ აქტივობის შემდეგ უნდა დაავალოს მასწავლებლის მიერ შედგენილ კითხვებზე წერილობით პასუხის გაცემა და კონკრეტულ თემაზე საკუთარი შეკითხვების ჩამოყალიბება. მომდევნო გაკვეთილზე ჩანაწერებისა და შეკითხვების განხილვისას მასწავლებელს საშუალება ექნება შეამოწმოს მოსწავლეთა მიერ მასალის ათვისების ხარისხი, შეაფასოს მათი დაინტერესება და ჩართულობა გაკვეთილის პროცესში. მასწავლებელი, მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვების შებრუნებით უბიძგებს მათ დამოუკიდებელი ანალიზისკენ, კვლევისკენ. მსგავსი დისკუსიები მიაჩვევს მოსწავლეებს მსჯელობას, ლოგიკურ აზროვნებას, გამოუმუშავებს მათ ინტერპრეტაციის უნარს.

სავარჯიშო რვეულები

რვეული (ან უბის წიგნაკი), რომელშიც მოსწავლე სამახსოვროდ ჩაიწერს ახალ ტერმინებს, სახელებს, ჩაინიშნავს საშინაო დავალებებს, მომდევნო გაკვეთილისთვის მოსატან მასალას... ჩახატავს პატარა ესკიზებს; ჩაინიშნავს შთაბეჭდილებებს ექსკურსიებზე, გააკეთებს ჩანახატებს; ჩაწერს საკუთარ მოსაზრებებს, გაჩენილ შეკითხვებს, რეფერატებს მოცემულ თემაზე, დაწერს პასუხებს შემაჯამებელ კითხვებზე...

სავარჯიშო რვეულების წარმოება დაეხმარება მოსწავლეებს დაიმახსოვრონ და შეაფასონ ნანახი თუ შესწავლილი; მიაჩვევს მათ წერილობით აზრების და იდეების გამოხატვას, ორგანიზებულობას.

მასწავლებელს შეუძლია აწარმოოს საკუთარი ბლოგი (ელექტრონული პორტფოლიო), რომელზეც აიტვირთება მოსწავლეების ნამუშევრების ფოტოები. მოსწავლეებს და მათ მშობლებს საშუალება ექნებათ ბლოგის მეშვეობით თვალყური ადევნონ სასწავლო პროცესს.

შეფასება

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლის ხარისხზე ზრუნვა – წინარე ცოდნის დადგენა, ახალი ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულისა და პირობისეულის) ათვისებისა და უნარ-ჩვევების კონსტრუირების პროცესებისა და გამოყენების უნარების მონიტორინგი, მოსწავლის მიერ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის უნარი და მასწავლებლის დახმარებით, პროგრესის ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმა.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას. განმავითარებელი შეფასებისას, მასწავლებელი, ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი კომენტარებით, წამახალისებელი მითითებებით, სიმბოლური ნიშნებითა და ა.შ., აღნიშნავს მოსწავლის მიერ განხორციელებულ წინსვლას წინარე შედეგებთან/დონესთან შედარებით. მოსწავლეები ახორციელებენ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. მისი ამოცანაა სამივე კატეგორიის ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება წარმოებს 1-დან 10-მდე ქულით. ქულას შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი მხარეების აღწერითა და სუსტი მხარეების გამოსასწორებელი რეკომენდაციებით.

VI კლასში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

მთელი წლის მანძილზე მასწავლებელს შეუძლია განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს სამივე კომპონენტში. საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან ერთნაირი წონის მქონე შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება

ბ) შემაჯამებელი დავალება

საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., პროექტის მომზადება, კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ნამუშევრის შექმნა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის სახელმძღვანელო გთავაზობთ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს.

ეროვნული სასწავლო გეგმით, VI კლასის მოსწავლეებმა, თითო სემესტრში უნდა შეასრულონ მინიმუმ 2 შემაჯამებელი დავალება (წლის მანძილზე – 4).

მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტები

შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

ცოდნა – ტექნიკის, პროცედურის, მასალის, სახვითი ხერხების თეორიული ცოდნა; ნამუშევრის შესახებ მსჯელობა (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკასა და მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით; საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა; ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან; ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ამოცნობა; და სხვ.

- **შემოქმედებითობა** - გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; საკუთარი ხელწერის, ხედვის დემონსტრირება; ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად; ექსპერიმენტირება და სხვ.

- **უნარების ფლობა** - მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსხველობითი საშუალებების გამოყენება; კვლევითი უნარები (მასალის მოძიება, დახარისხება, გამოყენება; ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება და სხვ.); კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება;

- **ჩართულობა** - სასწავლო აქტივობებში მონაწილეობა; თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); ორგანიზებულობა (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:

კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან ნამუშევრის შექმნა გარკვეულ თემაზე (მოსწავლეებმა პრაქტიკული სამუშაო შეიძლება შეასრულონ წარმოსახვით, მეხსიერებით, ნიმუშის მიხედვით და ასევე, ასახონ

გარემოზე დაკვირვების შედეგები, მაგ., პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვ.);

- საკუთარი და სხვისი ნამუშევრების განხილვა;
- ხელოვნების ნიმუშის შესახებ მსჯელობა;
- გარკვეული ეპოქის, შემოქმედის ან ხელოვნების ნიმუშის ანალიზი ან მის ირგვლივ მსჯელობა;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება (საკუთარი და სხვების ნამუშევრების პრეზენტ-აცია, აუდიტორიისთვის წარდგენა და სხვ.);
- დაკვირვება გარემოზე (დაკვირვების შედეგებზე მსჯელობა ან ასახვა ნამუშევარში);
- მასალის მოძიება;
- რეფერატის შედგენა.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში უნდა შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულები-სას მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:

სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმის გამოყენება:

- პრაქტიკული სამუშაო, მაგ., მასშტაბური ნამუშევარი;
- გამოფენა;
- პროექტი (პროექტის სავარაუდო თემები: პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია რომელიმე ხელოვანის ან გამოჩენილი ადამიანის შემოქმედებასთან, მოღვაწეობასთან, ხელოვნების დარგებთან და ჟანრებთან, მსოფლიოში/ ქვეყანაში/ ქალაქში/ რეგიონში და სხვ. მომხდარ მოვლენასთან (ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხვ.), ასევე, გამოფენის ექსპოზიცია, სპექტაკლის გაფორმება, გაზეთის, ჟურნალის, წიგნის მაკეტი; სკვერის, სკოლის, საკლასო ოთახის, ინტერიერის დიზაინი და სხვ.);
- მოხსენება-რეფერატი (გარკვეული ეპოქის, შემოქმედის შესახებ);
- პრეზენტაცია;
- ტესტი
- და სხვ.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

კრიტერიუმი: ცოდნა და წვდომა

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლე ასაბუთებს საკუთარ აზრს და ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს).
2. მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე);
3. მოსწავლე განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან;

ქულა	დესკრიპტორი
0	მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს
1-2	1. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **შეზღუდულად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს). 2. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე); 3. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **შეზღუდულად/იშვიათად** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან;
3-4	1. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **მისაღებად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს). 2. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე); 3. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **მისაღებად/ზოგჯერ** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან;

5-6	1. მოსწავლე **კარგად/ხშირად** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **კარგად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს). 2. მოსწავლე **კარგად/ხშირად** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე); 3. მოსწავლე **კარგად/ხშირად** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **კარგად/ ხშირად** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან;
7-8	1. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **ძალიან კარგად** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს). 2. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე); 3. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან;
9-10	1. მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ასაბუთებს საკუთარ აზრს და **ბრწყინვალედ** ფლობს შესატყვის ენას (ტერმინებს). 2. მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** მსჯელობს ნამუშევრის შესახებ (გამოყენებულ მასალაზე, ტექნიკაზე, მხატვრულ-გამომსხველობით საშუალებებზე, ზოგიერთ დარგსა და ჟანრზე, ხელოვნების გარკვეულ ელემენტებსა და პრინციპებზე); 3. მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** განიხილავს ნამუშევარს (სხვისას და საკუთარს) მიღებული ცოდნის კონტექსტში: ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** აკავშირებს ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ კონტექსტთან და/ან საკუთარ გამოცდილებასთან;

კრიტერიუმი: შემოქმედებითობა და თვითგამოხატვა

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლეს შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
2. მოსწავლე ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს;
3. მოსწავლეს შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად;
4. მოსწავლე ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს.

ქულა	დესკრიპტორი
0	მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს
1-2	1. მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; 2. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს; 3. მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად; 4. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს.
3-4	1. მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; 2. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს; 3. მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად; 4. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს.

5-6	1. მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; 2. მოსწავლე **კარგად/ხშირად** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს; 3. მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად; 4. მოსწავლე **კარგად/ხშირად** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს.
7-8	1. მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; 2. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს; 3. მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად; 4. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ხერხების ძიებისადმი ინტერესს.
9-10	1. მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია შემოქმედებითი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; 2. მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ამჟღავნებს საკუთარ ხელწერას, ორიგინალურ ხედვას, შემოქმედებით იდეებს; 3. მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის, პროცედურისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების შემოქმედებითად გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად; 4. მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ამჟღავნებს მასალით, ტექნიკითა და პროცედურით ექსპერიმენტირებისა და ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ძიებისადმი ინტერესს.

კრიტერიუმი: უნარების განვითარება

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლეს შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად;
2. მოსწავლე ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება;
3. მოსწავლეს აქვს ანალიზის, სინთეზისა და კრიტიკული აზროვნების უნარი;
4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, ციფრული წიგნიერება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება;

ქულა	დესკრიპტორი
0	მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს
1-2	1. მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად; 2. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება; 3. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** ამჟღავნებს ანალიზის, სინთეზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს; 4. მოსწავლეს **შეზღუდულად/იშვიათად** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; ამჟღავნებს ციფრულ წიგნიერებას.
3-4	1. მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად; 2. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება; 3. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** ამჟღავნებს ანალიზის, სინთეზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს; 4. მოსწავლეს **მისაღებად/ზოგჯერ** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; ამჟღავნებს ციფრულ წიგნიერებას.

5-6	1. მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად; 2. მოსწავლე **კარგად/ხშირად** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება; 3. მოსწავლე **კარგად/ხშირად** ამჟღავნებს ანალიზის, სინთეზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს; 4. მოსწავლეს **კარგად/ხშირად** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; ამჟღავნებს ციფრულ წიგნიერებას.
7-8	1. მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად; 2. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება; 3. მოსწავლე **კარგად/თითქმის ყოველთვის** ამჟღავნებს ანალიზის, სინთეზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს; 4. მოსწავლეს **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; ამჟღავნებს ციფრულ წიგნიერებას.
9-10	1. მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია ტექნიკის, მასალის და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტურად გამოყენება დავალების შესასრულებლად; 2. მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ამჟღავნებს კვლევით უნარებს (მასალის მოძიება, დახარისხება, დამუშავება, გამოყენება; 3. მოსწავლე **ბრწყინვალედ/ყოველთვის** ამჟღავნებს ანალიზის, სინთეზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს; 4. მოსწავლეს **ბრწყინვალედ/ყოველთვის** შეუძლია ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია (სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა; სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება; ამჟღავნებს ციფრულ წიგნიერებას.

კრიტერიუმი: ჩართულობა

მაქსიმალური ქულა – 10

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლე მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში;
2. მოსწავლე რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე;
3. მოსწავლე თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა).
4. მოსწავლე იჩენს გონივრულ ინიციატივას.

ქულა	დესკრიპტორი
0	მოსწავლე ვერ აღწევს ქვემოთ გათვალისწინებულ ვერც ერთ სტანდარტს
1-2	1. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში; 2. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე; 3. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა). 4. მოსწავლე **შეზღუდულად/იშვიათად** იჩენს გონივრულ ინიციატივას.
3-4	1. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში; 2. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე; 3. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა). 4. მოსწავლე **მისაღებად/ზოგჯერ** იჩენს გონივრულ ინიციატივას.
5-6	1. მოსწავლე **კარგად/ხშირად** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში; 2. მოსწავლე **კარგად/ხშირად** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე; 3. მოსწავლე **კარგად/ხშირად** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა). 4. მოსწავლე **კარგად/ხშირად** იჩენს გონივრულ ინიციატივას.
7-8	1. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში; 2. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე; 3. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა). 4. მოსწავლე **ძალიან კარგად/თითქმის ყოველთვის** იჩენს გონივრულ ინიციატივას.

9-10	1. მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** მონაწილეობს სასწავლო აქტივობებში; 2. მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** რეაგირებს მითითებებსა და რჩევებზე; 3. მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** თანამშრომლობს სხვებთან (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან); მოსწავლე ორგანიზებულია (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა). 4. მოსწავლე **აქტიურად/ყოველთვის** იჩენს გონივრულ ინიციატივას.

დანართი

გაკვეთილის ბოლოს დასასმელი შემაჯამებელი შეკითხვები:

სახვითი ხელოვნების შესახებ:

1. როგორი იქნებოდა სამყარო ხელოვნების გარეშე?
2. ხელოვნებამ მარტო მშვენიერება უნდა ასახოს თუ სიმახინჯეც?
3. შეიძლება ხელოვნების ნაწარმოები იყოს უშნო?
4. რისთვის არის საჭირო ხელოვნება?
5. რაში გვეხმარება ხელოვნება?
6. რა არის შთაგონება?
7. რას ნიშნავს შემოქმედებითობა?
8. სახვითი ხელოვნების რა დარგები არსებობს?
9. ხელოვნების რომელი სფერო გაინტერესებს სხვაზე მეტად? რატომ?
10. რას საქმიანობს მხატვარი?
11. ხელოვნების კიდევ რომელ დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
12. რომელ არასახელოვნებო დარგებს სჭირდება მხატვრის პროფესია?
13. რისთვის არის საჭირო გამოყენებითი ხელოვნება?
14. გამოყენებითი ხელოვნების რა დარგები არსებობს?
15. რა საჭიროა ხელოვნების მუზეუმები, გალერეები, საგამოფენო დარბაზები?
16. რას გვიამბობს ხელოვნების ნაწარმოები იმ ისტორიულ პერიოდზე, რომელშიც იგი შეიქმნა?
17. რას ასახავს ხელოვანი თავის ნაწარმოებებში?
18. რატომ არის ხელოვნება ასე განსხვავებული სხვადასხვა დროში/ქვეყანაში?
19. შეუძლია ხელოვნებას შეცვალოს ადამიანის აზროვნება?
20. ხელოვნება ფუფუნებაა თუ აუცილებლობა?
21. ხელოვნებით დაკავებული ადამიანი შრომობს თუ ერთობა?
22. როგორ ცვლის ცოდნა ხელოვნებას?
23. როგორ ცვლის ხელოვნება ცოდნას?
24. ვინ წყვეტს, ნაწარმოები შედევრია თუ არა?
25. რაში ეხმარება ხელოვნება საზოგადოებას? ცალკეულ ადამიანს?
26. როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ გარემო (ოთახი, შენობა, უბანი, ქალაქი) ხელოვნების მეშვეობით?
27. გეგულება ისეთი მასალა, რასაც ხელოვნების ნამუშევარში ვერ გამოიყენებ?

მუშაობის პროცესი

1. რას გრძნობ, როცა ხელოვნების ნაწარმოებს უყურებ?
2. რას გრძნობ, როცა ნამუშევარს ქმნი?
3. ნამუშევრის შექმნისას რომელი ეტაპი გიხარია ყველაზე მეტად – პროცესი თუ შედეგი? რატომ?
4. აქამდე გაგიკეთებია მსგავსი სამუშაო? რა გამოცდილება შეიძინე მაშინ?
5. რა გამოცდილება დაგეხმარა ამ ნამუშევრის შექმნისას?
6. გამოგივიდა ის, რასაც აპირებდი თუ რაიმე შეცვალე?
7. ნამუშევრის შექმნამდე იფიქრე თუ არა წინასწარ, რა მასალა მოუხდება მეტად შენს ჩანაფიქრს?
8. რა მასალა შეარჩიე და გამოიყენე? რატომ?
9. რა ფერები შეარჩიე და რატომ?
10. ქაღალდის როგორი ორიენტაცია (ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური) აირჩიე და რატომ?
11. რამდენად შეიცვალა შენი ნახატი ჩანაფიქრიდან საბოლოო, დასრულებულ ნამუშევრამდე?
12. რა შეცვალე და რატომ?
13. ხელახლა რომ იწყებდე იგივეს, რას შეცვლიდი?
14. რისი ცოდნა დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
15. რა უნარები დაგჭირდა ამ ნამუშევარზე მუშაობისთვის?
16. რა ცოდნა შეიძინე მუშაობის დასრულებისას?
17. რა უნარები შეიძინე და განავითარე ამ ნამუშევარზე მუშაობისას?
18. რა იყო მუშაობისას ყველაზე რთული? ადვილი?
19. რა გამოგივიდა კარგად, რა გაგიჭირდა?
20. ნამუშევრის შექმნისას, გაითვალისწინე მეგობრების აზრი?
21. ნამუშევრის შექმნისას გაითვალისწინე მასწავლებლის რჩევა?
22. ითვალისწინებ მეგობრების ან უფროსების შენიშვნებს? რატომ?
23. როგორ შეაფასებდი ამ ნამუშევარს?
24. როგორ შეაფასებდი ამ ნამუშევარს, მასწავლებელი რომ იყო?
25. შენი ნამუშევრებიდან, რომლებს გამოიტან გამოფენაზე?

გაკვეთილის შეფასება

1. რა ისწავლე დღევანდელ გაკვეთილზე?
2. დაგაინტერესა თუ არა გაკვეთილის თემამ?
3. რა ინფორმაციას ფლობდი მანამდე?
4. რა გაიგე ახალი?
5. კიდევ რა გაინტერესებთ ამის შესახებ?
6. ვინ ეთანხმება? ვის აქვს განსხვავებული აზრი?
7. შეგვიძლია სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს?
8. ვინმე ხომ არ დაუმატებდა რამეს?
9. ეთანხმები თუ არა კლასის / მეგობრის მოსაზრებას?
10. ეთანხმები თუ არა მასწავლებლის მოსაზრებას?
11. ეთანხმება თუ არა თქვენი აზრი სხვა მოსაზრებებს?
12. რა დაგეხმარა დამახსოვრებაში/სწავლაში?
13. მე შევამჩნიე, რომ... თქვენ რა შეამჩნიეთ?

14. მე მაინტერესებს... თქვენ რა გაინტერესებთ?
15. რითი განსხვავდებოდა ეს გაკვეთილი სხვა გაკვეთილებისგან?
16. გაქვს თუ არა შენიშვნები გაკვეთილის მსვლელობის თაობაზე?

სახვითი ხელოვნების ნიმუშის ანალიზი:

- დააკვირდით, რომელი სახვითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) განსაზღვრავს ნამუშევრის თავისებურებას? გაამახვილეთ ყურადღება მხოლოდ იმ საშუალებებსა (ელემენტებსა) და ხერხებზე (პრინციპებზე), რომლებიც წამყვანია ნაწარმოების ხასიათის შესაქმნელად.

ა) სახვითი საშუალებები (ელემენტები):

- **ხაზი** (სწორი, კლაკნილი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ირიბი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სქელი, წვრილი...)
- **ფერი** (ძირითადი, შედგენილი, მონათესავე, კონტრასტული, აქრომატული, ნეიტრალური, თბილი, ცივი, კაშკაშა, ინტენსიური, გაჯერებული, ხასხასა, მჭახე, მუქი/ღია/ბაცი, ნათელი/ბნელი, მკრთალი, ჩამქრალი, სუფთა/ჭუჭყიანი და სხვ.; ელფერი: მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე, მოწითალო იისფერი და სხვ.) რომელი ფერი გამოიყენა უფრო მეტად, ვიდრე სხვები? როგორია სურათის საერთო **კოლორიტი** ანუ ფერადოვანი გამა (ცივი/თბილი, ნათელი/ბნელი, ჩამქრალი/კაშკაშა და სხვ.)? მონოქრომულია (ერთფეროვანი) თუ პოლიქრომული (მრავალფეროვანი)?
- **ტონი** (ნახევარტონები, გრადაცია ანუ თანდათანობით გადასვლა ღიადან მუქზე). რა არის გამოკვეთილი უფრო ღია ტონით?
- **ფორმა** (ბრტყელი ანუ ორგანზომილებიანი - გეომეტრიული: წრე, მართკუთხედი, სწორკუთხედი, სამკუთხედი, მრავლაკუთხედი, რომბი, ოვალი, წვეტიანი, ბლაგვი, უსწორმასწორო; ორგანული: მცენარეული, ბუნებრივი; მსხვილი, მცირე, წვრილი და სხვ.)
- **მოცულობა** (სფერო, კუბი და სხვ.); სამგანზომილებიანი ფორმის მისაცემად როგორაა გამოყენებული ჩრდილი, ნახევარჩრდილი, დაცემული ჩრდილი და ათინათი?
- **ფაქტურა** (აქტუალური – რელიეფური (პასტოზური მონასმებით მიღწეული, ნაკაწრი, ამობურცული, ჩანაჭდევი), უხეში, ხაოიანი, ხავერდოვანი, გლუვი, პრიალა და სხვა; ილუზორული (სხვადასხვა მასალის იმიტაცია – ხე, ქვა, ლითონი, ქსოვილი (ხავერდი, აბრეშუმი, მაქმანი), თიხა, ბეწვი, თმა, ტყავი, კანი და სხვა).
- **სივრცე** – როგორაა ათვისებული სასურათე არე – ცარიელია, გადატვირთული თუ ზომიერად ათვისებული? როგორ არის გადანაწილებული პოზიტიური (შევსებული) და ნეგატიური (ცარიელი) სივრცეები?

ბ) სახვითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):

- **წონასწორობა** – გამოსახულებები თანაბრადაა განაწილებული სასურათე სიბრტყეზე თუ არათანაბრად? ხომ არ გადაწონის სურათის რომელიმე მხარე მეორეს?
- **აქცენტი** – პირველი რა გხვდება თვალში? როგორ მოახერხა მხატვარმა ჩვენი ყურადღების გამახვილება მთავარზე? რით განსხვავდება ეს ნაწილი დანარჩენისგან (წინა ხედზეა, ყველაზე დიდი და მსხვილია, ფერით გამოირჩევა თუ განათებით და სხვ.)? არის ამ სურათში მნიშვნელოვანებით შემდეგი გამოსახულება? რით გამოირჩევა და რითი ხვდები, რომ ის მეორე აქცენტს წარმოადგენს?
- **ჰარმონია** – როგორ ეხამება ერთმანეთს სურათის ცალკეული ნაწილები? შეხმატკბილებულია თუ პირიქით, დაპირისპირებული/კონფლიქტური?

- **მრავალფეროვნება** – რა „აცოცხლებს“ სურათს? რას შეაქვს მასში ისეთი ნაპერწკალი, რომ მოსაწყენი, მოსაბეზრებელი არ გახდეს?
- **მთლიანობა** – რომელი მხატვრული ხერხით ამთლიანებს და „კრავს“ მხატვარი სურათს, მისი ცალკეული ნაწილები რომ არ დაიშალოს/დაიფანტოს (წონასწორობა, კოლორიტი, განათება, სხვა)?
- **სტატიკა/დინამიკა** – რა განსაზღვრავს სურათში სტატიკას (უძრავი, გაშეშებული, გაყინული, გაქვავებული) ან დინამიკას (მოძრავი, მოუსვენარი)?
- **რიტმი** – არის სურათში რაიმე განმეორებადი, რაც ქმნის რიტმს?
- **პროპორცია/დისპროპორცია** – როგორია გამოსახულების ცალკეული ნაწილების ზომათა თანაფარდობა? განგებ ხომ არ იყენებს მხატვარი საგნის დისპროპორციას ან დეფორმაციას და რა ეფექტის მიღწევა სურს ამ ხერხით?
- **კომპოზიცია** – როგორაა აგებული სურათი? რა განსაზღვრავს მის სტრუქტურას, ჩონჩხს? სიმეტრიულია თუ ასიმეტრიული? მდგრადია თუ არამდგრადი? რა ეფექტის მიღწევა სურს მხატვარს ამ ხერხით?
- **რაკურსი** – სად არის ხედვის წერტილი? ქვემოდან ვხედავთ, ზემოდან თუ პირდაპირ? ახლო კადრია თუ შორი? ხომ არ არის არეული ხედვის წერტილები? თუ არეულია, რატომ - მოცემულ ეპოქაში არასაკმარისი ცოდნის გამო, უბრალოდ არ არის მნიშვნელოვანი თუ მხატვარი განგებ მიმართავს ამ ხერხს და უგულვებელჰყოფს წესებს რაიმე ეფექტის მისაღწევად? ექსპერიმენტი ხომ არ არის?
- **პერსპექტივა** – ა) ჰაეროვანი პერსპექტივა – არის თუ არა დაცული ჰაეროვანი პერსპექტივის წესები (წინა ხედზე, ახლოს მდებარე საგნები მკვეთრია, მკაფიო, დეტალიზებული, ხოლო შორეულ ხედზე მდებარე – მკრთალი, ბუნდოვანი, განზოგადებული) რათა მნახველმა სივრცე, სიღრმე იგრძნოს? ბ) ხაზოვანი პერსპექტივა (პატარავდება საგნები დაშორების მიხედვით თუ წინა, შუა და უკანა ხედზე გამოსახული საგნები ერთი და იგივე ზომისაა? მასშტაბი დაცულია (ცალკეულ გამოსახულებათა ზომების თანაფარდობა ერთმანეთის მიმართ)?
- **ორნამენტი** – არის თუ არა სურათზე განმეორებადი ფორმები? რამდენად მნიშვნელოვანია ისინი და განაპირობებს თუ არა ორნამენტი სურათის დეკორატიულ ხასიათს?

ცნობარი:

ძირითადი ტერმინები და მათი განმარტება:

ხელოვნების დარგები და სახეობები: სახვითი ხელოვნება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, კინო, თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, ქორეოგრაფია, არქიტექტურა.

სახვითი (პლასტიკური) ხელოვნების დარგები:

ფერწერა — დარგი, რომელშიც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება.
ფერწერის საზეობები:
დაზგური ფერწერა, მინიატურა, ფრესკა, მოზაიკა, ხატწერა.

გრაფიკა – დარგი, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.)
გრაფიკის სახეობები:
დაზგური გრაფიკა, ბეჭდური გრაფიკა.

ქანდაკება — სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების ძერწვისა და კვეთის ხელოვნება;
ქანდაკების სახეობები:
მრგვალი ქანდაკება, რელიეფი

არქიტექტურა – დაგეგმარებისა და მშენებლობის ხელოვნება

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ყველა დარგი, რომელიც ქმნის დიზაინით გამორჩეულ სააყოფაცხორებო დანიშნულების ნაკეთობებს – ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, იარაღებს, ტანსაცმელს, სხვადასხვა სახის მოსართავებს და სხვ.

სახვითი ხელოვნების ელემენტები (საშუალებები): ხაზი, ფერი, ფორმა (სიბრტყობრივი და მოცულობითი), ორნამენტი, სივრცე, შუქ-ჩრდილი, ფაქტურა.

სახვითი ხელოვნების ძირითადი პრინციპები (ხერხები): მოძრაობა, წონასწორობა, აქცენტი, რიტმი, კოლორიტი, კონტრასტი, პერსპექტივა, რაკურსი, სიმეტრია/ასიმეტრია, სტატიკა/დინამიკა, ჰარმონია, მთლიანობა, მრავალფეროვნება, კომპოზიცია, პროპორცია/დისპროპორცია, მასშტაბი, ორნამენტი.

ჟანრები:

პორტრეტი — ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოსახულება.
პეიზაჟი — ბუნების ან ქალაქის ხედი.

ნატურმორტი — უსული საგნების ამსახველი ჟანრი.

ყოფითი ჟანრი — ყოველდღიური ყოფის ამსახველი ჟანრი.

ისტორიული ჟანრი — ისტორიული პირებისა და მოვლენების ამსახველი ჟანრი.

რელიგიური ჟანრი — რელიგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

მითოლოგიური ჟანრი — მითოლოგიური სიუჟეტებისა და პერსონაჟების ამსახველი ჟანრი.

ანიმალისტური ჟანრი — ცხოველების ამსახველი ჟანრი.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ს.გ.VI.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების მიზანმიმართულად გამოყენება ნამუშევარში ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. სხვადასხვაგვარი მონასმებით და ეფექტებით გადმოსცემს განწყობილებას;
2. იყენებს ფერის გრადაციას, კონტრასტულ და მონათესავე ფერებს;
3. შუქ-ჩრდილის, ათინათის და დაცემული ჩრდილის საშუალებით გამოსახავს საგანთა მოცულობას;
4. გამოსახულებას გააზრებულად ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე;
5. ნამუშევრის შექმნისას იყენებს კომპოზიციური განაწილების ძირითად ხერხებს მაგ.,, წონასწორობას, ხედვის წერტილს (მაგ., მოგზაურობა საჰაერო ბუშტით, ქვემოდან და ზემოდან დანახული სამყარო, საგნები და სხვ.);
6. ხატავს სივრცეს პერსპექტივის ძირითადი კანონების გამოყენებით (წინა, შუა და უკანა ხედი, ნახევარტონები);
7. სხვადასხვა მხატვრული ხერხით გადმოსცემს დინამიკას და სტატიკას, რიტმს, სიმეტრიას და ასიმეტრიას ჩანაფიქრის გადმოსაცემად;
8. სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით, სასურათე სიბრტყეზე განაწილებით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
9. აკვირდება და ასახავს საგანთა თანაფარდობასა და პროპორციას (მარტივად).

ს.გ.VI.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის, ტექნიკის გამოყენებით მოცემულობის უკეთ შესასრულებლად და ჩანაფიქრის გადმოსაცემად;
2. მიზანმიმართულად ირჩევს მასალას, ტექნიკას (ტრადიციული, არატრადიციული) და აფართოვებს მათი გამოყენების გზებს სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრების შესაქმნელად (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);
3. ასრულებს გრაფიკულ ნამუშევარს სხვადასხვა მასალით (ტუში, მელანი, ნახშირი და სხვ.);
4. მიზანმიმართულად ირჩევს და ავითარებს სხვადასხვა მასალის (ბუნებრივი, ხელოვნური) გამოყენების გზებს მცირე პლასტიკის ნიმუშების, მარტივი კომპოზიციების და კონსტრუქციების შესაქმნელად;
5. ქმნის დეკორატიულ და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის და ტექნიკის (ტრადიციული, არატრადიციული) გამოყენებით;
6. თავად ირჩევს მასალას და ტექნიკას (მაგ., ქსოვილს მოხატავს გუაშის და ტემპერის საღებავებით) ნამუშევარში სასურველი ეფექტის მისაღწევად;
7. სხადასხვა მასალის საშუალებით ავითარებს მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენების გზებს განსხვავებული ფაქტურის იმიტაციის/ილუზიის შესაქმნელად;
8. კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის რიტმულ, სიმეტრიულ, ასიმეტრიულ ნამუშევრებს, გამოყოფს ნამუშევარში მთავარს, ასახავს საგანთა თანაფარდობასა და პროპორციას, იყენებს კონტრასტულ ფერებს; ირჩევს სასურათე სიბრტყის ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ პოზიციას, გამოსახულებას გააზრებულად ანაწილებს სასურათე სიბრტყეზე.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ს.გ.VI.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემის გადასაჭრელად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ერთობლივი მუშაობისას (ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;
2. ამოცანის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს და გეგმავს სამუშაოს შესრულების სავარაუდო დროს და თანმიმდევრობას;
3. მონაწილეობს ფუნქციების განაწილებაში;
4. თანამშრომლობს სხვებთან საერთო პრობლემის გადაჭრისას, უზიარებს საკუთარ გამოცდილებას;
5. ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში ითხოვს მათგან დახმარებას;
6. ვირტუალურ ჯგუფებში აზიარებს საკუთარ ციფრულ ნამუშევარს;
7. იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას.

ს.გ.VI.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით საუბარი გამოყენებული ხერხების შესახებ საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებში შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ და გამოყენებულ პრინციპებზე, ელემენტებზე, ხერხებზე, მასალაზე, ტექნიკაზე და სხვ.;
2. საუბრობს ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, მასალაზე, ტექნიკაზე, აღძრულ შთაბეჭდილებებზე, განწყობილებაზე (რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის ხაზი, ფერი, ფორმა, კომპოზიციური განაწილება და სხვ.) და საკუთარ დამოკიდებულებაზე ხელოვნების ნაწარმოების მიმართ;
3. ცდილობს ამოიცნოს ჩანაფიქრი სხვათა ნამუშევარში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება მათ შესახებ (თანატოლთა, ცნობილ მხატვართა ნამუშევრები);
4. ნამუშევარზე საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინებს;
5. ტოლერანტულია განსხვავებული იდეების, სტილის, მიდგომების მიმართ და კორექტულია სხვისი ნამუშევრის შეფასებისას.

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ს.გ.VI.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების დაკავშირება ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. ამოიცნობს სხვადასხვა კულტურის ხელოვნების ნიმუშებს ძირითადი მახასიათებლების მიხედვით და მსჯელობს, როგორ აისახა სოციალური, ისტორიული და რელიგიური კონტექსტი მათ ვიზუალურ მხარეზე;
2. ასახელებს ცნობილი არქიტექტურული ძეგლების შექმნის მიზეზებს (პირამიდები, ჩინეთის კედელი, ცათამბჯენები და სხვ.);

3. მსჯელობს ხელოვნების ცალკეული ნიმუშის (ქანდაკება, პლაკატი, აფიშა, რეკლამა) დანიშნულებაზე;
4. ვიზუალური დეტალების მიხედვით (ნივთები, ტანსაცმელი, შენობები, ტრანსპორტი) ამოიცნობს, რომელი ეპოქა და კულტურაა ასახული ნაწარმოებში;
5. მსჯელობს ხელოვნების ნიმუშებში ასახულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ პერსონაჟებზე და საუბრობს მათ ხასიათზე.

ს.გ.VI.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულ ხელოვნებასა და ხელოვნების მოღვაწეებზე მსჯელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

1. საუბრობს ქართული ხელოვნების ძეგლებზე (მაგ., საქართველოს ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები) და მსჯელობს რამდენიმე დამახასიათებელ ნიშანზე;
2. საუბრობს ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ფერწერა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება) ნიმუშებზე, რომლებიც ყოველდღიურობაში შეხვედრია და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას;
3. ჩამოთვლის ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ფერწერა, ქანდაკება, კედლის მხატვრობა, ხელ-ნაწერთა მინიატურა, ჭედურობა, დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნება და სხვ.) რამდენიმე ნიმუშს და მსჯელობს მათ შესახებ;
4. საუბრობს ქართული ჩუქურთმის შესახებ (სად უნახავს, რა მოტივებს ვხვდებით ქართულ ჩუქურთმაში: მცენარეული, ცხოველური, გეომეტრიული) და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას;
5. ამოიცნობს რამდენიმე ცნობილი ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის ნამუშევარს და საუბრობს საკუთარ დამოკიდებულებაზე.

შინაარსი და რეკომენდაციები

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ხაზი: სხვადასხვა ტიპის და სისქის ხაზი, კონტური და შტრიხი.

აქტივობები ხაზით:

სხვადასხვა ტიპის ხაზისა და შტრიხის გამოყენებით ქმნის გრაფიკულ ნამუშევარს, სადაც გადმოსცემს ბუნების მოვლენებს, მაგალითად აღელვებულ ზღვას, ძლიერ წვიმას და სხვ.

ფერი: ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული და მონათესავე ფერები, ტონალობა - თეთრი ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი, ნახევარტონები, ფერის გრადაცია.

აქტივობები ფერით:

მოსწავლე ხატავს ხეებს. მასწავლებელი აჩვენებს ვიზუალურ მასალას და უხსნის, თუ როგორ შეიძლება მიიღოს რაც შეიძლება მეტი განსხვავებული მწვანე ფერის ტონი ხეების ფოთლების დასახატად – მწვანე საღებავში შეურიოს სხვა ფერები, მაგალითად, ყვითლის შერევით მიიღოს მოყვითალო მწვანე და სხვ. მოსწავლეს შეუძლია შიგადაშიგ, ფოთლებში სუფთა წითელი, ლურჯი, ან ყვითელი ფერიც გაურიოს. ასეთივე მეთოდით უნდა დაიხატოს ხეების ტანიც – მოსწავლემ რამდენიმე სხვადასხვა ფერის შეზავებით უნდა მიიღოს ბევრი სხვადასხვა ტონის ყავისფერი (მასწავლებელს შეუძლია ასევე შესთავაზოს თემა – „ზამთრის ტყე“, სადაც მოსწავლე თეთრის და ცისფერის სხვადასხვა ტონალობას გაათამაშებს).

ფორმა: 2D და 3D - ბრტყელი და მოცულობითი, სიმეტრიული და ასიმეტრიული.

აქტივობები ფორმით და ხაზით:

მოსწავლეები აკვირდებიან რამდენიმე გეომეტრიულ ფიგურას (კუბი, პირამიდა, ოქტაედრი, ტეტრაედრი და სხვ.), ნებისმიერ წახნაგებიან საგანს. აღწერენ, რომელი გვერდია ყველაზე მუქი, რომელი ყველაზე ღია. უბრალო ფანქრით დახატავენ მოცულობით სხეულებს – ჯერ ააგებენ მათ კონტურს, შემდეგ კი დაშტრიხავენ ჩრდილიან წახნაგებს. მასწავლებელი უხსნის, თუ როგორ დაშტრიხონ მარტივად ფიგურები: განათებული გვერდი დატოვონ თეთრად, ყველაზე მუქი გვერდი დაშტრიხონ რამდენიმე, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულების შტრიხების 2-4 ფენით, უფრო ღია წახნაგი – შედარებით ნაკლები შტრიხებით და ა.შ.

პრინციპები: კომპოზიციური განაწილების საფუძველი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება); რიტმი, ძირითადის გამოყოფა, სიმეტრია და ასიმეტრია, სტატიკა, დინამიკა, კონტრასტი, საგანთა თანაფარდობა და პროპორცია, სივრცე (პერსპექტივის კანონები - წინა, შუა და უკანა ხედები), წონასწორობა, ხედვის წერტილი.

გამოყენებული პრინციპები:

ფორმატზე გამოსახულების განაწილება:

მოსწავლე ფერად ქაღალდზე უბრალო ფანქრით, მკრთალად ხატავს რამდენიმე სხვადასხვა ზომის საგანს – დოქი, ჭიქა, ლარნაკი, რამოდენიმე ვაშლი, მსხალი, ყურძნის მარცვლები და სხვ., შემდეგ გამოჭრის და გამოჭრილ ფიგურებს ალაგებს სახატავ ფურცელზე. ატარებს ექსპერიმენტს – ფიგურებს ფურცელზე გადააადგილებს, მოუძებნის საუკეთესო განლაგებას და აწებებს.

მასალა და იარაღი: ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ტემპერა, ფლომასტერი, ტუში, მელანი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ქაღალდი, მუყაო, ქსოვილი, ძაფი, თოკი, მავთული, პლასტილინი, თიხა, ბუნებრივი, ხელოვნური, ტრადიციული და არატრადიციული მასალა, ფუნჯი, მაკრატელი, წებო, სადურგლო, სამეთუნეო, საქსოვი, სამკერვალო იარაღი და სხვ.

ტექნიკა და პროცედურა: ფერწერა, გრაფიკა და მათი ტექნიკები (მონასმი, ლაქა, ანაბეჭდი), ძერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის ნაკეთობები, მოზაიკა, კოლაჟი, მონოტიპია, მოდელირება, კონსტრუქცია, კომპიუტერული ტექნოლოგიები (სახატავი პროგრამა, ტექსტური რედაქტორი, საპრეზენტაციო პროგრამა); დაჭრა, დაწებება, ამოკაწვრა, ღუნვა, გრეხვა, დაწვნა, ქარგვა, ქსოვა, კერვა, ხეზე კვეთა.

გამოყენებული მასალა და ტექნიკა:

მოსწავლე ყურადღებით აკვირდება ვან გოგის ნამუშევრის დეტალებს და შეეცდება მსგავსი მონასმების გამეორებას თავის ნამუშევარში.

მოსწავლეები ეცნობიან პუანტილისტების ნამუშევრებს, ნამუშევრების დეტალებს – თუ როგორაა დახატული ხეები, მიწა, ბალახი და სხვ. შემდეგ, ამ ტექნიკით (ფერადი წერტილებით) ხატავენ პეიზაჟს (პუანტილისტების ნამუშევრებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რაიმე დეტალის გამოსახვის თავისებურებას - მაგ., ხეებს – თუ რამდენი სხვადასხვა ფერით არის გადმოცემული მწვანე, როგორ მიიღწევა ერთიანობის ეფექტი და სხვ.).

ზოგადი აქტივობები:

მოსწავლე ხატავს პორტრეტებს, ნატურმორტსა და პეიზაჟს ნატურიდან და მეხსიერებით სახასიათო ნიშნების გამოყენებით;

გამოსახავს საკუთარ თავსა და სხვებს, სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნების, დეტალების გამოყენებით რეალურ თუ გამოგონილ სიტუაციაში;

ქმნის ტანისამოსის, ავეჯის, სხვადასხვა ნივთის ესკიზს;

იხატავს ქართული ჩუქურთმის ნიმუშებს;

ქმნის ინტერიერის (საკლასო ოთახი, სკოლის სპორტული დარბაზი, თავისი ოთახი) ესკიზებს;

რგავს და უვლის ხეებს და ყვავილებს;

აფორმებს სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებას;

ზეიმებისა და თეატრალური წარმოდგენებისთვის ხატავს მარტივი დეკორაციებისა და კოსტუმების დეტალების ესკიზებს და მონაწილეობს მათ დამზადებაში;

სხვადასხვა მასალის გამოყენებით ქმნის მაკეტებს თეატრალური სპექტაკლისთვის;

კონსტრუქტორის სქემების და დეტალების გამოყენებით აგებს მარტივ ელექტრო სათამაშოს.

სავარაუდო თემები: „წელიწადის ოთხი დრო“, „ზღაპრული ბაღი“, „საყვარელი ფილმის გმირი“, „ქართული ორნამენტის მოტივები“, „ლეგენდების სამყარო“, „მოგზაურობა საჰაერო ბუშტით“, ,,ქალაქი„, ,,სოფელი’’, „სამშობლო“, „გმირობა“, ემბლემა, ლოგო, ღერბი, დროშა, ექსლიბრისი და სხვა.

თემები და გაკვეთილები	სასწავლო დროის ხანგრძლივობა	სტანდარტის მიმართულებები და შედეგები				
		შემოქმედებითობა და პრაქტიკა		კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია		ხელოვნების ადგილი კონტექსტში
		1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ თანმედროვეობაზე და ადამიანურ ფასეულობებზე დაყრდნობით, სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პოეტიკის ძირითადი ნაკადების გამოყენებით, იდეის, გრძნობების-აზრების (ემოციის) და თვალსაზრისების გადმოცემის გზებზე.	2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი დავალება შესრულდეს ბუნებრივ ბრძოლებში ან ბავშვებისა და ადამიანების ნაკეთებ ობიექტებზე; ეფექტური ადგილმდებარეობა, ფერადოვნება, ტექსტურა, ფორმა, ფერადი ბალანსი და იდეის ადეკვატურად გადმოცემის გზებზე.	3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანამედროვე სელექციონერული თანამედროვე (ნყვიტა, ტუნა, ბუნდები) ნესტარტულობა სივრცე დაგეგმვა და ბავშვობა ფერადოვნებისა და ადამიანური ურთიერთობის გაღრმავებაზე.	4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალურად და ერთობლივი ნაფიქრების; ეფექტური, ფერადოვნების ბალანსი და ფიქრები ადამიანი ადგილზე ადგილმდებარეობა ადამიანებზე ფერადოვნების ნაფიქრების ფერადოვანია ან ცნობილ ადამიანურ, თანამედროვეობის ბუნებრივი ადამიანური.	5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ადამიანური და ბავშვობა ნიმუშების ადგილზე ადგილმდებარეობა ინტერიერი, ტექსტურა, ეფექტური ადგილი და სიცოცხლე ეფექტურ.	6. მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართული ფოლკლორი და ფოლოგენური ეროვნული ფოლკლორი.
თემა 1: შესავალი						
სმასწავლებლობანა	1			X		X
თემა 2: ელემენტები და პრინციპები						
შუქ-ჩრდილი	2	X			X	
ბუნებაზე დაკვირვება	1	X	X			
ფორმა	1				X	
ჩუქურთმა	2		X			X
სიმეტრია	1	X			X	
ასიმეტრია	1	X			X	
წონასწორობა	1	X			X	
მასშტაბი	1					
სტატიკა და დინამიკა	1	X			X	
ოქროს კვეთა	1	X				
კომპოზიცია	2	X			X	
ოქროს სტატერი	2	X			X	

		1	2	3	4	5	6
დედალოსი და იკაროსი	1	X					
კონფერენცია მსოფლიოს შედევრები	7			X	X	X	X
თემა 3: ჟანრები							
ნატურმორტი	2	X			X	X	
პოზა	3	X	X			X	
ზამთრის პასტორალი	1	X	X	X			
პლაკატი	4-5	X	X			X	
ექსლიბრისი	2		X		X		
მერაბ აბრამიშვილი	1		X				X
თემა 4: ტექნიკა							
აპლიკაცია	1	X	X				
დეკუპაჟი	1		X				
ისევ დეკუპაჟი	1		X				
ფეიერვერკი	1	X	X				
გრატაჟი	1		X				
ჩინური განძი	1		X				
ზამთრის პეიზაჟი	1	X	X				X
დავით კაკაბაძის კოლაჟები	1		X				X
პორტრეტი ძაფით	1		X				
ტრიალებს ბრუნავს	1	X	X	X	X	X	
შრიფტის დიზაინი	1	X		X			X
გერბი და ჰერალდიკა	1	X	X		X	X	

		1	2	3	4	5	6
თემა 5: პროფესია							
ანტიკვარი	1				X	X	
გალერისტი	1				X		
კურატორი	1			X	X	X	X
განთქმული ფალსიფიკატორი	2	X	X			X	
თემა 6: ისტორიები							
როგორ შენდებოდა ეკლესიები	2	X	X	X		X	X
ბერძენი მეთუნეები	2	X	X			X	
მამაის ტონდო	1	X	X		X	X	X
ბაბილონის გოდოლი	3		X	X		X	
ფაიუმის პორტრეტი	1	X				X	
გაზაფხული	1	X				X	
ლეონარდოს ჩანახატები	1	X	X		X	X	
ლეონარდოს ოინი	1	X			X		
ჯორჯონე თუ ტიციანი?	1				X		
იპოვე განსხვავება	1	X	X		X	X	
დეტექტივობანა	1			X	X	X	
ვიქტორინა „რა, სად, როდის“	3-4			X	X	X	X

გაკვეთილების სცენარები

მასწავლებლობანა

მიზანი:

სახვითი ხელოვნების მრავალფეროვნების გაცნობიერება,

ხელოვნების ნაწარმოებში სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის პრინციპების ამოცნობის უნარი; იმის გაცნობიერება, რომ სასურველი ეფექტის მისაღწევად, მხატვრები მიმართავენ სხვადასხვა ხერხებსა და სახვით საშუალებებს, რომლებიც მათ სტილსა და მანერას აყალიბებენ;

ნაწარმოების შეფასების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.3. – 1
ს.გ.VI.4. – 1, 2, 3, 4, 5.
ს.გ.VI.5. – 1, 3, 5
ს.გ.VI.6. – 3, 5

მასალა:

ცხრილი და კალამი

ვიზუალური მასალა:

ელენე ახვლედიანი
ფრანსისკო გოია
ალბრეხტ დიურერი
იან ვერმეერი
ადრიან კორტე
ანრი მატისი
ჟოან მირო
ამედეო მოდილიანი
კლოდ მონე
პაბლო პიკასო
კამილ პისარო
ოგატა გეკო
უილიამ ტერნერი
კაცუსიკა ჰოკუსაი

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები აფასებენ ცნობილ მხატვრებს იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებენ ისინი სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ვთქვათ, დისპროპორცია ან სიბრტყობრიობა არა ცუდი და მდარე, არამედ უბრალოდ განსხვავებულ ესთეტიკას ქმნის და მხატვრის სათქმელს უკეთ ასახავს. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს შესაფასებელ ნამუშევრებს. მოსწავლეები ჯერ ერთ მხატვარს

შეაფასებენ ყველა კრიტერიუმით, შემდეგ – მეორეს და ა.შ.

დასარულს, მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ შედეგები და გამოიტანონ დასკვნა – ხელოვანები განსხვავებულად იყენებენ ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს სასურველი ეფექტის მისაღწევად. თუ რომელიმე არ იყენებს პერსპექტივას, ეს არ ნიშნავს, რომ ის ცუდი მხატვარია. მას ეს ხერხი უბრალოდ, არ სჭირდება ან ხელსაც კი უშლის სასურველი ეფექტის მიღწევაში. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ ხელოვნება მრავალფეროვანია და წესების არსებობა არ ნიშნავს მათი დაცვის აუცილებლობას.

მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ უნდა დაურიგოს შეფასების ცხრილი (იხ. დანართი) .

აქტივობა:

მოსწავლეები აფასებენ ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რომელმა მხატვარმა მიიღო ყველაზე დაბალი შეფასება?
- როგორ ფიქრობთ, რატომ უგულვებელჰყოფს ის არსებულ წესებს?
- მაშ, რატომ არის ის ბევრისთვის საყვარელი მხატვარი? რა ხერხებს იყენებს ის სანაცვლოდ, რომ იდეა, გრძნობა ან შთაბეჭდილება გადმოსცეს?
- როგორ ფიქრობთ, ამ მხატვრებმა წესები არ იცოდნენ თუ განგებ უგულვებელჰყვეს ისინი?
- რომელმა მხატვარმა მიიღო ყველაზე მეტი ღიმილი? ნიშნავს ეს იმას, რომ ის სხვებზე უკეთესია?
- რა შეფასებები მიიღო თქვენთვის ყველაზე საყვარელმა მხატვარმა? რას ფიქრობთ ამის შესახებ?
- რა საჭიროა წესები, თუ ხელოვანს მათი დარღვევა შეუძლია და მისი ნამუშევარი მაინც შედევრია?

I თემა: ელემენტები და პრინციპები

შუქ-ჩრდილი

მიზანი:

ვასწავლოთ მარტივი ფიგურის მოცულობის ფანქრით დახატვა

გავაცნოთ მოსწავლეებს ქართველი გრაფიკოსის, სერგო ქობულაძის ნამუშევრები

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 3, 4;

ს.გ.VI.4. - 2.

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები დაათვალიერებენ სერგო ქობულაძის გრაფიკულ ნამუშევრებს.

მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს, თუ რას წარმოადგენს და რა არის გამოსახული პირველ ოთხ („ვეფხ-ისტყაოსნის“ ილუსტრაცია) სურათზე -მხატვრობის რომელ დარგს მიეკუთვნება ისინი (გრაფიკა) და გრაფიკის რომელ სახეობას წარმოადგენენ (წიგნის ილუსტრსცია).

მასწავლებელი გაამახვილებს მათ ყურადღებას სურათების შესრულების ტექნიკაზე და იკითხავს:

- რომელი სახვითი საშუალება ანუ ელემენტი და რომელი ხერხი ანუ პრინციპი გამოიყენა მხატვარმა „ვეფ-ხისტყაოსნის“ ილუსტრაციებში?

- რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავთ სერგო ქობულაძის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისა და მისივე პორტრეტების შესრულების მანერაში?

რომელი სახვითი საშუალება და ხერხი გამოიყენა სერგო ქობულაძემ პორტრეტებში?

მსჯელობის შემდეგ, მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს:

- რა არის, საიდან ჩნდება ჩრდილი?
- რას იძლევა ჩრდილი ნახატში?
- რა მოხდებოდა, როგორი იქნებოდა სამყარო, ჩრდილები რომ არ არსებობდეს?

აქტივობა 1:

მასალა:

2 სახატავი ფურცელი

სახატავი ფურცლის სიმაღლეზე მოჭრილი, დაახლოებით 3 სმ-ის სიგანის ზოლი

სკოტჩი

უბრალო, რბილი ფანქარი

ყოველი მოსწავლე, დასახატად მოიმზადებს ქაღალდის საკუთარ ფიგურას: თეთრი ქაღალდის ზოლს დაახვევს, მისცემს საინტერესო ფორმას. დახვეული ქაღალდის ბოლოებს სკოტჩით დააწებებს თეთრ სახატავ ფურცელზე

ისე, რომ დახვეულმა ქაღალდმა არ დაკარგოს ფორმა და არ დაბრტყელდეს ფურცელზე.





მოსწავლეები მოუძებნიან საუკეთესო რაკურსს და წინ დაილაგებენ დამზადებულ ფიგურებს.

მოსწავლეები დააკვირებიან, თუ რა ადგილებზე აქვს დახვეულ ქაღალდს ჩრდილები, სად არის ყველაზე მუქი ჩრდილი, რომელი ადგილია ყველაზე განათებული.

შეადარებენ ერთმანეთს დახვეული ფორმის ჩრდილებსა და ფურცელზე დაცემული ჩრდილების სიმუქეს.

დააკვირდებიან ფიგურას, კონტურით გადაიხატავენ ფიგურის ფორმას, შემდეგ კი, შტრიხებით დაუხატავენ მას ჩრდილებს.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები დაწერენ მოკლე ზღაპარს თემაზე „ურჩი ჩრდილები“.

ვინაიდან მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეები დახატავენ ამ ზღაპრის ილუსტრაციას, სასურველია, ტექსტი დაწერონ ლამაზად.

აქტივობა 2:

მასალა:

ორად მოკეცილი სახატავი ფურცლები

ფანქარი

შავი ფლომასტერი ან შავი პასტელი

მოსწავლეები დახატავენ შავ-თეთრ ილუსტრაციას საკუთარი ზღაპრისთვის „ურჩი ჩრდილები“.

ორად მოკეცილი ფურცლის ერთ გვერდზე დაიხატება ილუსტრაცია, მეორე გვერდზე კი დაიწერება ან გამოიჭრება და დაწებდება უკვე დაწერილი ილუსტრაციის შესაბამისი ტექსტი.

ფურცლები აიკინძება და გაიკერება ან დამაგრდება სტეპლერით.

(იმისთვის, რომ ზღაპრის აკინძვისას არ აირიოს ილუსტრაციების თანმიმდევრობა, მოსწავლეები ჯერ, ორად მოკეცილ ფურცლებს ჩაალაგებენ ერთმანეთში და მონიშნავენ, თუ რომელ გვერდზე დაიხატება ნახატი და რომელზე განლაგდება შესაბამისი ტექსტი).

ბუნებაზე დაკვირვება – ალბრეხტ დიურერი

მიზანი:

ბუნებაზე დაკვირვებით, შუქ-ჩრდილის, კონტურის, შტრიხისა და აკვარელის გამოყენებით გრაფიკული ნამუშევრის შექმნის უნარის განვითარება;

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (ალბრეხტ დიურერის შემოქმედება) ცოდნის გაღრმავება.

შედეგი:

ს.გ.VI.1.- 3, 4, 5, 9;

ს.გ.VI.2. - 2, 3.

ასათვისებელი ტერმინები:

პლენერი

მასალა:

უბრალო ფანქარი, აკვარელის ქაღალდი, აკვარელის საღებავები, ფუნჯი, წყალი.

ვიზუალური მასალა:

ალბრეხტ დიურერის აკვარელები მცენარეების გამოსახულებებით.

გაკვეთილის მსვლელობა:

ეს გაკვეთილი თბილ, მზიან ამინდში, გარეთ, პლენერზე ტარდება (სავარაუდოდ სკოლის ეზოში). მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ჩამოთვალონ, რა მცენარეებს იცნობენ, რა ხარობს საქართველოში, რა მცენარეებს ახარებენ შინ, ქოთნებში. სკოლის ეზოში მოსწავლეები შეარჩევენ თითო მცენარეს, დააკვირდებიან მის დეტალებს. აკვარელის ხაოიან ქაღალდზე, უბრალო ფანქრით, მკრთალად გადახატავენ შერჩეულ მცენარეს. შერჩეული მცენარის რამდენიმე ფოთოლს ჩადებენ ორად მოკეცილ ფურცლებს შორის და მოათავსებენ მას ხელოვნების წიგნის შესაბამისი გაკვეთილის გვერდებს შორის გასახმობად. მოსწავლეებს დაევალებათ მოიძიონ ენციკლოპედიებსა და ინტერნეტში (ან ჰკითხონ ბუნების მასწავლებელს) მათ მიერ დახატული მცენარის ხალხური და ლათინური სახელწოდება. სასურველია, მასწავლებელმა გადაუღოს ფოტო მოსწავლეების მიერ შერჩეულ მცენარეებს იმ რაკურსით, როგორითაც ბავშვები მათ ხატავენ და მომდევნო გაკვეთილზე შავ-თეთრად (იდეალურ შემთხვევაში ფერადად) ამობეჭდილი, ჩააკვრევინოს სახატავ რვეულში, ნახატის გვერდით.

მომდევნო გაკვეთილზე, სახელოსნოში, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ალბრეხტ დიურერის მიერ გაკეთებულ ჩანახატებს. მოსწავლეები დაფერავენ მცენარის ჩანახატს აკვარელის საღებავით. ლამაზი კალიგრაფიით მიაწერენ მცენარეს ქართულ და ლათინურ სახელწოდებებს. სახატავ რვეულში, ნახატის გვერდით, ქაღალდის წვრილი ზოლით უნდა დაწებდეს გამხმარი მცენარე და მისი ფოტო. შესაბამისად, სახატავ ფურცელზე იქნება მცენარე, მისი ფოტო და ჩანახატი.

აქტივობა 1:

მოსწავლეები პლენერზე გადიან და აკვარელით ხატავენ მცენარეებს.

აქტივობა 2:

მოსწავლეები გააკეთებენ ჰერბარიუმს - გააფერადებენ და გააფორმებენ დახატულ მცენარეს და ერთმანეთის ნამუშევრებს აკინძავენ ალბომის სახით.

შემაჯამებელი კითხვები:

- ადრე თუ დაგიხატავთ პლენერზე?
- რა განსხვავებაა პლენერზე მუშაობასა და სახელოსნოში მუშაობას შორის?
- ხომ არ გახსოვთ რომელიმე მხატვარი, რომელიც სახელოსნოში ხატვას პლენერზე მუშაობას ამჯობინებდა?
- ადრე გაგიკეთებიათ ჰერბარიუმი?
- რა იცით ალბრეხტ დიურერის შესახებ? მის კიდევ რომელ ნამუშევრებს იცნობთ?

ფორმა

მიზანი:

მოსწავლეებმა გააცნობიერონ სახვითი ხელოვნების ელემენტი – ფორმა, ისწავლონ მისი ამოცნობა ხელოვნების ნაწარმოებებში, გაიაზრონ ფორმის როლი ნამუშევარში, შეძლონ ფორმების ტიპების გარჩევა და ფორმებით მიღწეული ეფექტის ანალიზი;

გაეცნონ სახვითი ხელოვნების პრინციპს – ორნამენტს, როგორც ფორმათა განმეორებით მიღებულ მხატვრულ ხერხს.

შედეგი:

ს.გ.VI.4. - 2, 3, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

ბუნებრივი და გეომეტრიული ფორმები

მასალა:

სახატავი ფურცელი და ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები

ვიზუალური მასალა:

სანდრო ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“ და „გაზაფხული“; ანრი მატისის, კაზიმირ მალევიჩის, პოლ კლეეს, პიტ მონდრიანის, პაბლო პიკასოს, გუსტავ კლიმტის, ჟოან მიროს, რობერ დელონესა და ელ ლისიტსკის ნამუშევრები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა არის ფორმა და როგორი ფორმები იციან. ფორმათა ჩამონათვალს ჩამოწერს დაფაზე და სთხოვს მათ, დაახარისხონ ისინი ორი ნიშნით. გეომეტრიული ფორმები (წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, კვადრატი, მრავალკუთხედი, ოვალი) ცალკე კატეგორიაა, ხოლო ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური) – ცალკე.

- გეომეტრიული ფორმები არის სწორკუთხა ან იდეალურად მოწესრიგებული, ხოლო ბუნებრივი შეიძლება იყოს უსწორმასწორო, მცენარეების, ადამიანის ან ცხოველის ნაწილების მაგვარი (თვალი, ნაფეხური, თათის ანაბეჭდი...)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ სქემას. სქემის პირველი ნაწილი მოიცავს ბუნებრივი ფორმების მაგალითებს.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სანდრო ბოტიჩელის ნამუშევრებს „ვენერას დაბადება“ და „გაზაფხული“ და სთხოვს, ყურადღება მიაქციონ ქსოვილებზე, ხის ტოტებზე, ნიადაგზე გამოყენებულ, დეკორატიულ ფორმებს.

- - ბუნებრივი ორნამენტის რომელი სახეობა გამოიყენა რენესანსის ეპოქის ცნობილმა მხატვარმა სანდრო ბოტიჩელიმ? (მცენარეული).

მე-20 ს-ის ცნობილი მხატვარი ანრი მატისი ერთ პატარა ფრანგულ ქალაქში დაიბადა, სადაც ქსოვილების ფაბრიკა იყო. აქედან მოდის მისი სიყვარული დეკორატიული ქსოვილებისა და განმეორებადი ფორმებისადმი. სიცოცხლის ბოლო წლები მან ინვალიდის სავარძლში გაატარა – მოლბერტთან დგომა უჭირდა. ამიტომ, ფერადი

ქაღალდისგან სხვადასხვა ფორმას ჭრიდა და ასისტენტის დახმარებით, დიდ ფორმატზე აკრავდა. ასე ქმნიდა ის დეკორატიულ კომპოზიციებს. სქემაში გამოყენებულ კომპოზიციას „კონა“ ჰქვია. ამ ტექნიკას კი, „დეკუპაჟი“ (ფრ. „გამოჭრილი“).

- მე-20 ს-ის ავსტრიელი მხატვრის, გუსტავ კლიმტის „სიცოცხლის ხეზე“ რას გამოხატავს სპირალურად დახვეული განმეორებადი ფორმა? (ხის ტოტებს). კლიმტმა ტოტები დეკორატიული ხვეულების სახით წარმოგვიდგინა და ხე ერთ მთლიან ორნამენტს დაამსგავსა.
- შემდეგ უჯრაში წარმოდგენილია მე-20 ს-ის, კატალონიელი მხატვრის, ჟოან მიროს ნახატი „ადამიანები და ძაღლი მზის ქვეშ“. რა ტიპის ფორმები გამოიყენა მირომ? (უსწორმასწოროც და გეომეტრიულიც). მირომ ადამიანებისა და ძაღლის გამოსახულებებში გეომეტრიული ფორმებიც ჩართო. შედეგად, დეკორატიული კომპოზიცია მიიღო.
- გეომეტრიული ფორმების სქემაზე ვხედავთ მე-20 ს-ის მხატვრის, კაზიმირ მალევიჩის ნამუშევარს: „სუპრემუს 50“. სუპრემუს (ლათ.) უზენაესს, მთავარს ნიშნავს. მალევიჩისთვის ოთხკუთხედი, სამკუთხედი და წრე უზენაესი, მთავარი ფორმები იყო და ამ ფორმებით ქმნიდა ის აბსტრაქტულ (სუპრემატისტულ) კომპოზიციებს.
- მე-20 ს-ის შვეიცარიელი ექსპრესიონისტი პოლ კლეე ნამუშევარში „სენეციო“ (ლათ. „მოხუცი მამაკაცი“) აფრიკული ნიღბებით გატაცების შედეგად, ფორმათა გეომეტრიზაციას მიმართავს. ამით ის გამოსახულებას ამარტივებს.
- ფრანგი რობერ დელონე (მე-20 ს.) წრიული ფორმებით ქმნიდა კომპოზიციებს. წყალში კენჭის ჩაგდებისას წარმოქმნილი წრეების მსგავსს. წრეებში ფერებს რიტმულად ცვლიდა და მათ მუსიკალურ აკორდებს ამსგავსებდა. ამიტომაც დაერქვა მის სტილს „ორფიზმი“ – ორფევსი ხომ მითიური მუსიკოსი იყო.
- მე-20 ს-ის ესპანელმა მხატვარმა პაბლო პიკასომ, ასევე აფრიკული ხელოვნების გავლენით, ფორმების გამარტივება და გეომეტრიულ სიბრტყეებად დანაწევრება დაიწყო. ასე იშვა ახალი მიმდინარეობა – კუბიზმი.

დიაგრამაზე, მარცხნივ, ნახსენებია ის მხატვრები, რომლებიც ნამუშევრებში გეომეტრიულ ფორმებს იყენებდნენ; მარჯვნივ – ვინც ორგანულ ანუ ბუნებრივ ფორმებს მიმართავდა, ხოლო შუაში – ვისთვისაც ორივე ტიპის ფორმა თანაბრად საინტერესო იყო.

მრავალი მხატვარი ფორმათა კონტრასტს მიმართავს და ამას თავისი მიზანი აქვს. რა კონტრასტს ხედავთ პაბლო პიკასოს სურათზე „გოგონა ბურთზე“?

- დააკვირდით ელ ლისიტსკის სააგიტაციო პლაკატსა და გუსტავ კლიმტის ნამუშევარს „კოცნა“. რა ეფექტს აღწევენ ეს მხატვრები ფორმათა კონტრასტით?

მასწავლებელს მიჰყავს მოსწავლეთა მსჯელობა დასკვნისკენ, რომ ფორმები აქ სიმბოლური დატვირთვითაა გამოყენებული.

დასასრულს, მასწავლებელი აჩვენებს სხვადასხვა ორნამენტებს, რომლებიც ფორმათა განმეორებითაა მიღწეული.

აქტივობა:

მოსწავლეები შუაზე ყოფენ სახატავ ფურცელს. ერთ ნახევარზე ხატავენ კომპოზიციას ბუნებრივი, ხოლო მეორეზე – გეომეტრიული ფორმებით. თითოეულს უხატავენ ორნამენტულ ჩარჩოს.

ჩუქურთმა

მიზანი:

ორნამენტის სტრუქტურის ამოცნობის და რთული ორნამენტების დახატვის უნარის გამომუშავება

შედეგი:

ს.გ. 6.2. - 5;

ს.გ.VI.6. - 1, 2, 3, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

ჩუქურთმა

ფასადი

ვიზუალური მასალა:


1


2


3


4


5

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ და ჩამოაყალიბონ, თუ რა არის ორნამენტი.

- იცით თუ არა, რას ნიშნავს სიტყვა „ჩუქურთმა“?
- „ჩუქურთმა“ იგივე ორნამენტია, ოღონდ, ჩვენ ამ სიტყვას ვხმარობთ მაშინ, როდესაც ამობურცულ, რელიეფურ ორნამენტზე ვსაუბრობთ.
- გაიხსენეთ, სად შეგხვედრიათ რელიეფური ორნამენტი? (შენობებზე, ტაძრებზე, სამკაულებზე, შენობის ინტერიერში, ავეჯზე...)
- რა მასალით იყო შესრულებული თქვენს მიერ ნანახი ორნამენტები?

საქართველოში, ჩუქურთმით, ანუ რელიეფური ორნამენტით შენობების, ინტერიერისა და ნივთების შემკობა უძველესი ხანიდან დაიწყეს. ისტორიამ შემოგვინახა ჩუქურთმით შემკული, ხელოვნების უამრავი ნიმუში, რაც მოწმობს, რომ ხელოვნების ეს დარგი უძველესი დროიდან (ანტიკური ხანიდან) იყო განვითარებული საქარველოში. ბრინჯაოს ხანა განსაკუთრებით მდიდარია ლითონისა და კერამიკულ ჭურჭელზე, ავეჯზე დატანებული ჩუქურთმებით, მაგრამ ჩუქურთმის განსაკუთრებული გამოყენება მაინც ხუროთმოძღვრების დარგში შეინიშნება.

საქართველოში, ჩუქურთმით ალამაზებდნენ როგორც შენობის ფასადს, ასევე ინტერიერსაც.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს დაათვალიერონ სახელმძღვანელოში ქართული ჩუქურთმის ნიმუშები და ჩამოაყალიბონ, თუ რა საერთოა ჩუქურთმასა და ჩვეულებრივ ორნამენტს შორის და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან.

მასწავლებელი, დაფაზე აჩვენებს მოსწავლეებს უბრალო ხაზებით და გეომეტრიული ფიგურებით მარტივი ორნამენტის დახატვის მაგალითს და აჩვენებს, თუ რა ეფექტს იძლევა ხაზებით ან გეომეტრიული ფიგურებით ერთი და იგივე მოტივის მცირე დაშორებით გამეორება.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, თავად სცადონ ასეთი ორნამენტების დახატვა.

აქტივობა 1:

მასალა:

- უჯრებიანი ფურცლები
- ფანქარი

ორნამენტის სტრუქტურის გასაგებად, მოსწავლეები, უჯრებიან ფურცელზე, ფანქრით შეასრულებენ სავარჯიშოებს ნიმუშის მიხედვით.

1. კვადრატებითა და წრეებით.
2. სხვადასხვა დეტალებით.

მოსწავლეები დაათვალიერებენ ქართული ჩუქურთმების გამოსახულებებს, მასწავლებელი თხოვს მათ აღწერონ, რა ელემენტებია გამოყენებული ჩუქურთმებში - (ხაზები, გეომეტრიული ფიგურები, ფოთლები...)

შემაჯამებელი კითხვები:

რა არის რიტმი?

რა არის ორნამენტი?

რა ვგულისხმობთ ტერმინში „ჩუქურთმა“?

რა განასხვავებს ჩუქურთმას სხვა ორნამენტებისგან?

რა სხვაობაა ჩუქურთმას და ბარელიეფს შორის?

აუცილებელია თუ არა ორნამენტის შემთხვევაში რიტმის დაცვა?

აუცილებელია თუ არა, ჩუქურთმის შემთხვევაში რიტმის დაცვა?

რა მასალით სრულდება ჩუქურთმა?

აქტივობა 2:

მოსწავლეები ამოირჩევენ სახელმძღვანელოში ჩუქურთმის ერთ ან რამდენიმე ნიმუშს და გადაიხატავენ მას უჯრებიან ფურცელზე.

სიმეტრიული კომპოზიცია

მიზანი:

სიმეტრიული კომპოზიციის ამოცნობის უნარის განვითარება,
კომპოზიციის ხასიათის შექმნაში სიმეტრიის როლის გაცნობიერება,
ისტორიულ კონტექსტთან კავშირის გააზრება,
სიმეტრიული კომპოზიციის შექმნის უნარის განვიტარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. – 4, 5, 7
ს.გ.VI.4. – 1, 2, 4
ს.გ.VI.5. – 1

ასათვისებელი ტერმინები

რენესანსი, სიმეტრია, სტატიკა.

მასალა:

სახატავი რვეული, სახატავი მასალა მოსწავლის არჩევანით.

ვიზუალური მასალა:

რაფაელ სანტის „*სიქსტის მადონა*“, მიქელანჯელო ბუონაროტის *მედიჩების კაპელა*, ფილიპო ბრუნელესკის *ფლორენციის ბაპტისტერიუმი*, დონატო ბრამანტეს ტემპიეტო (რომი), ლეონარდო და ვინჩის „*საიდუმლო სერობა.*“

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, რა არის სიმეტრია. მათ ეს უკვე იციან და სავარაუდოდ, უპასუხებენ, რომ ღერძის ორსავ მხარეს თანაბრად განაწილებული გამოსახულება არის სიმეტრიული.

- გაიხსენეთ სიმეტრიული საგნები (სავარაუდოდ, მოსწავლეები ასახელებენ – ადამიანი, პეპელა, ჭია-მაია, ფიფქი და სხვ.) სიმეტრია ძველი ბერძნული სიტყვაა და „თანაბარზომიერს“ ნიშნავს. ნახატი, ქანდაკება, არქიტექტურული ნაგებობა, ასევე შეიძლება იყოს სიმეტრიული. დღეს ჩვენ სიმეტრიას მხოლოდ ერთი ეპოქის ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე განვიხილავთ.
- იცით, რას ნიშნავს აღორძინების, იგივე რენესანსის ხანა? რენესანსი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ხელახლა დაბადებას. ანტიკური პერიოდის კულტურაში ადამიანისა და მისი შესაძლებლობებისადმი ინტერესი დიდი იყო, მაგრამ ქრისტიანობამ ეს ინტერესი ღმერთისადმი, ზეციური სამყაროსადმი მიმართა. მე-14-16 სს.-ის იტალიაში მოხდა ადამიანისა და მისი მიწიერი არსებობისადმი ინტერესის კვლავ აღორძინება. სწორედ ამიტომ მოიხსენიებენ ტერმინით „რენესანსი“ ამ ეპოქას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ სახელმძღვანელოში მოცემული სქემის პირველი ნაწილი.

- ვნახოთ, როგორია რენესანსული კომპოზიციები.

მოსწავლეები ათვალიერებენ სქემას და მსჯელობენ, რაში გამოიხატება ამ კომპოზიციათა სიმეტრიულობა. შემდეგ მასწავლებელი აძლევს დავალებას, სახატავ რვეულში შექმნან სიმეტრიული კომპოზიცია, სადაც საგნები ღერძის მიმართ თანაბრად იქნებიან განლაგებული.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ სიმეტრიულ კომპოზიციას.

ასიმეტრიული კომპოზიცია

მიზანი:

ასიმეტრიის მნიშვნელობის გაცნობიერება კომპოზიციის ხასიათის შექმნაში,
ასიმეტრიული კომპოზიციის ამოცნობისა და შექმნის უნარის განვითარება,
ნაწარმოების ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. – 4 ,5, 7
ს.გ.VI.4. – 1, 2, 4
ს.გ.VI.5. – 1

ასათვისებელი ტერმინები:

ასიმეტრია, დინამიკა, ბაროკო, იმპრესიონიზმი, მოდერნი.

მასალა:

სახატავი რვეული, სახატავი მასალა მოსწავლის არჩევანით.

ვიზუალური მასალა:

მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯოს *„ქრისტეს ჯვრიდან გარდამოხსნა“*, რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი, „ბალთაზარის ნადიმი“, ლორენცო ბერნინის *დავითის* ქანდაკება, კაცუსიკა ჰოკუსაის *„კანაგავას დიდი ტალღა“,* ედგარ დეგას *„ბალერინები“* და ანტონიო გაუდის *კასა ბატლო.*

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განმარტონ, რა არის ასიმეტრია (ამ გაკვეთილის წინ ჩატარდა გაკვეთილი სიმეტრიაზე და მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ სწორად უპასუხონ ამ შეკითხვას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ სახელმძღვანელოში სქემას. მოსწავლეები მსჯელობენ, რა ეფექტს აღწევს ხელოვანი ასიმეტრიული კომპოზიციის მეშვეობით.

აქტივობა:

მოსწავლეები სახატავ რვეულში ხატავენ მარტივ ასიმეტრიულ კომპოზიციას და საუბრობენ საკუთარ ჩანაფიქრზე.

წონასწორობა

მიზანი:

კომპოზიციაში წონასწორობის ტიპებთან გაცნობა, ხელოვნების ნაწარმოებში წონასწორობის პრინციპის აღქმის, ამოცნობისა და ნამუშევარში გამოყენების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. – 4, 5, 8
ს.გ.VI.4. – 1, 2, 4

ასათვისებელი ტერმინები:

ბალანსი, რადიალური კომპოზიცია

მასალა:

სახატავი რვეული, ფანქარი, ფლომასტერები ან ფერადი ფანქრები

ვიზუალური მასალა:

სქემები:

სიმეტრიული



ასიმეტრიული



რადიალური













ილუსტრაციები:

რენესანსის ეპოქის უცნობი მხატვარი, „იდეალური ქალაქი“:
ჯოვანი ბელინის „ჯვარცმა“
კაცუსიკა ჰოკუსაი, „კანაგავას დიდი ტალღა“
უტაგავა ჰიროშიგე, „შემოდგომის მთვარე“
ედგარ დეგა, „სპექტაკლის წინ“
ვინსენტ ვან გოგი, „მინდორი კვიპაროსით“
კლოდ მონეს „ქალი მზის ქოლგით“
ჯეიმს უისტლერის „მხატვრის დედა“
რობერ დელონეს „დისკო“
ენდრიუ უაიეთის „კრისტინას სამყარო“
ვინსენტ ვან გოგის „ვარსკვლავებიანი ღამე“
პიტ მონდრიანის „კომპოზიცია 2: წითელი, ლურჯი და ყვითელი“.
ჯექსონ პოლოკის აბსტრაქტული კომპოზიცია
ფრანც მარკის „ირმები ტყეში“
ჟორჟ ბრაკის „ნატურმორტი მეტრონომით“.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- რა არის წონასწორობა?

მოსწავლეები აყალიბებენ საკუთარ განსაზღვრებას. მასწავლებელი სთხოვს, გაეცნონ სახელმძღვანელოს ტექსტს და ეკითხება:

- შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ასიმეტრიულ კომპოზიციაში დაცული იყოს წონასწორობა?

სავარაუდოდ, რადგან სახელმძღვანელოში ასეთი რამ უკვე ხატია, მოსწავლეები პასუხობენ, რომ შესაძლებელია.

თვალსაჩინოებისთვის, სასურველია მასწავლებელს ჰქონდეს სასწორი და ერთი მასალის სხვადასხვა ზომის კუბები. მასწავლებელს შეუძლია დაფაზე დახატოს სასწორი, ცალკე ორი სხვადასხვა ზომის კვადრატი და სთხოვოს მოსწავლეებს, მოიფიქრონ, როგორ უნდა დადოს ეს ორი კვადრატი სასწორზე ისე, რომ წონასწორობა დაცული იყოს. მოსწავლეები დახატავენ საკუთარ ვარიანტებს. სწორი პასუხები ასე გამოიყურება (მცირე ვარიაციებით):



- მაგრამ იქნებ სულაც არ გვინდა გეომეტრიული ფიგურების დახატვა? მოიფიქრეთ, როგორ განახორციელოთ ამგვარი ასიმეტრიული წონასწორობა ნახატში. რამდენიმე მოსწავლე რიგ-რიგობით გამოდის დაფასთან და ხატავს საკუთარ ვარიანტს. მაგალითად:



- ახლა ვნახოთ სახელმძღვანელოში, როგორ იყენებენ წონასწორობას მხატვრები.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ უცნობი მხატვრის, ჯოვანი ბელინის, კაცუსიკა ჰოკუსაის, უტაგავა ჰიროშიგეს, ედგარ დეგას, ვინსენტ ვან გოგის, კლოდ მონეს, ჯეიმს უისტლერისა და რობერ დელონეს ნამუშევრებს და იმსჯელონ, თუ როგორ არის ან არ არის დაცული წონასწორობა თითოეულ მათგანში. მოსწავ-ლეებმა უნდა იმსჯელონ, რა ხერხითაა დაცული წონასწორობა ამ კომპოზიციებში, საით იხრება მათი მზერა და რომელ გამოსახულებაზეა გამახვილებული ყურადღება.

- ახლა გავართულოთ ამოცანა. შესაძლებელია, რომ ასეთი დატვირთვა კომპოზიციურად გავაწონასწოროთ?

მასწავლებელი დაფაზე ხატავს ასეთ კომპოზიციას:



თუ მოსწავლეები ვერ მიხვდებიან, მასწავლებელი შეახსენებს რკინისა და ბამბის გამოცანას და ფერების თვისებებს:

- ახლა ვნახოთ, როგორ არის დაცული წონასწორობა ფერის საშუალებით ენდრიუ უაიეთის „კრისტინას სამყაროს“, ვინსენტ ვან გოგის „ვარსკვლავებიან ღამესა“ და პიტ მონდრიანის „კომპოზიციაში 2: წითელი, ლურჯი და ყვითელი“.

მოსწავლეები მსჯელობენ, როგორ აწონასწორებს ფერი კომპოზიციებს.

- მოდით, ახლა შევაჯამოთ. ასიმეტრიული კომპოზიცია გაწონასწორებულია, თუ: (მასწავლებელი დაფაზე ხატავს სასწორს და მოსწავლეების კარნახით თავზე აწერს:

ერთი დიდი	ბევრი პატარა
ერთი მძიმე (რკინა)	ბევრი მსუბუქი (ბამბა)
დიდი ახლოს ცენტრთან	მცირე ცენტრიდან შორს

თუ დრო დარჩება, მოსწავლეებს შეუძლიათ, საშინაო დავალების შესრულება აქვე დაიწყონ და სახლში გააგრძელონ.

აქტივობა:

მსჯელობა, დავალების შესრულება.

მასშტაბი

მიზანი:

სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი პრინციპის – მასშტაბის შესახებ ცოდნის გაღრმავება,
ნამუშევარში მასშტაბის გააზრებულად გამოყენების (დაცვა/დარღვევა) უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. – 5, 8, 9
ს.გ.VI.4. – 1, 2, 4, 5.
ს.გ.VI.5. – 1, 3

ასათვისებელი ტერმინები:

მასშტაბი

მასალა:

სახატავი რვეული, ფერადი ან უბრალო ფანქრები

ვიზუალური მასალა:

გუსტავ კაიებოტის პარიზის ქუჩები
ძველი ეგვიპტე – ნარმერის ფილის ფრაგმენტი
ძველი ეგვიპტე, კა-ნეფერის ოჯახის ჯგუფური ქანდაკება
შუამდინარეთი – ურის შტანდარტის ფრაგმენტი
კადრი ფილმიდან „გულივერის მოგზაურობა“
ფრანსისკო გოია – „1808 წლის 3 მაისი“
მარკ შაგალი „ნეფე-პატარძალი ეიფელის კოშკთან“, 1939 წ.
საულ სტეინბერგი, „მეთევზე“

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში გაკვეთილის შესაბამის ტექსტს. შემდეგ იწყებენ მსჯელობას, თუ როგორ, რა ხერხით და რისთვისაა დარღვეული მასშტაბი მარკ შაგალისა და საულ სტეინბერგის ნამუშევრებში.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ ნახატს, რომელშიც გააზრებულად უნდა გამოიყენონ საგანთა თანაფარდობა – დაარღვიონ ან დაიცვან ის. სურათის წარდგენისას, ისაუბრონ, თუ რას ემსახურება მათ ნამუშევარში მასშტაბის დაცვა ან დარღვევა.

სტატიკა და დინამიკა

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოებში ხელოვნების საპირისპირო პრინციპების - სტატიკისა და დინამიკის გაცნობიერების, ამოცნობისა და მიზნობრივად გამოყენების უნარი.

შედეგი:

ს.გ.VI.1. – 1, 7

ასათვისებელი ტერმინები:

სტატიკა და დინამიკა

მასალა:

მოსწავლის არჩევანის მიხედვით.

ვიზუალური მასალა:

ქანდაკება:
მოაის ქანდაკებები აღდგომის კუნძულზე;
მირონის ბადროს მტყორცნელი;
ძველი ეგვიპტური ქანდაკება;
იაკობ ნიკოლაძე, „ქარი“.

ფერწერა:
მარი კასატის „გოგონა სავარძელში“
ვან გოგის „ვარსკვლავებიანი ღამე“, 1889 წ.
ჯაკომო ბალა, „ძაღლისა და ჯაჭვის დინამიკა“, 1912 წ.
პაბლო პიკასო, „არლეკინი“, 1905 წ.

გრაფიკა:
ელენე ახვლედიანი, 1923 წ.
ანრი დე ტულუზ ლოტრეკი, „რასაც ამბობს წვიმა“
უტაგავა ჰიროშიგე, „მთა ფუძიამას ხედი“, 1852 წ.

არქიტექტურა:
ფრენკ გერის შენობები
მოცეკვავე სახლი პრაღაში, ჩეხეთი
სასტუმრო ელსიეგოში, ესპანეთი
უოლტ დისნეის საკონცერტო დარბაზი ლოს-ანჟელესში, კალიფორნია, ა.შ.შ.

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, აკვირდებიან ილუსტრაციებს და ამოიცნობენ, რომელია დინამიური და

რომელი – სტატიური კომპოზიცია. როგორ არის მიღწეული დინამიკა ან სტატიკა მოცემულ ილუსტრაციებზე და მსჯელობენ, კიდევ როგორ შეიძლება აისახოს უძრაობა და მოძრაობა ნამუშევრებში. სავარაუდოდ, მოსწავლეები ასახელებენ – ქარი, თამაში, სპორტული შეჯიბრი (ფეხბურთი ან სპორტის სხვა სახეობები), ცეკვა და ა.შ.

მასწავლებელი ჩამოწერს მათ აზრებს დაფაზე. ამის შემდეგ მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ, რა მასალით ურჩევნიათ მუშაობა ჩანაფიქრის გადმოცემისთვის (ფერადი ფანქრები, გუაში, აკვარელი, თიხა, პლასტილინი...)

შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის სტატიკა?
- რა არის დინამიკა?
- რა როლი აქვს მონასმს ვან გოგის ნამუშევარში დინამიკის გადმოსაცემად?
- რა ასრულებს იმავე როლს ანრი დე ტულუზ ლოტრეკის გრაფიკულ ნახატში?
- რომელი მხატვრული ხერხებით გადმოეცით დინამიკა თქვენს ნამუშევარში?
- როგორ გადმოეცით სტატიკა?
- თანაკლასელების ნამუშევრებიდან, რომელია ყველაზე დინამიური? როგორ მიაღწია მან ამ ეფექტს?
- რომელი ნამუშევარია ყველაზე სტატიური? რა ქმნის ამ შთაბეჭდილებას?

აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან ერთ დინამიურ და ერთ სტატიურ კომპოზიციას.

ოქროს კვეთა

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ოქროს კვეთის ცნება, ვაჩვენოთ, როგორ აისახება ოქროს კვეთა ბუნებაში თუ ხელოვნებაში

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 4, 5, 9.

ასათვისებელი ტერმინები:

პროპორცია

მასალა:

სახატავი ფურცლები
ფანქარი
სახაზავი
ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები

ვიზუალური რესურსი:

https://www.youtube.com/watch?v=kvLEkAWzmTM

გაკვეთილის მსვლელობა:

„ბუნების წიგნი მათემატიკის ენაზეა დაწერილი“ – გალილეო გალილეი

მასწავლებელი დასვამს შეკითხვას:

- რას ნიშნავს სიტყვა მშვენიერი? როგორ გესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა?
  დაასახელეთ, რა არის თქვენთვის მშვენიერი, ლამაზი?

ყოველი ადამიანი თავისებურად აღიქვამს სამყაროს. შესაბამისად, სილამაზესაც ყველა თავისებურად აღიქვამს – თუ ერთისთვის სურნელოვანი ვარდია მშვენიერი, მეორე მშვენიერს პეპლის ან ხვლიკის შეფერილობაში ხედავს. ბუნება და მისი ქმნილებები უდავოდ მშვენივრები არიან, მთავარია, დაინახო ეს სილამაზე.

ადამიანების მიერ შექმნილი საგნები, ზოგი ლამაზია, ზოგი არა. ხელოვნების ნაწარმოებებსაც ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვავენ და აფასებენ.

გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ არსებობს ისეთი სილამაზე, რომელსაც აღტაცებაში მოყავს ყველა დროის და კულტურის ადამიანი.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს თავისი სიტყვებით ჩამოაყალიბონ, თუ რა არის პროპორცია და მოიყვანონ რამდენიმე მაგალითი.

პროპორცია შეფარდებას ნიშნავს. ზოგი პროპორცია ლამაზად გამოიყურება, ზოგი კი თვალს აღიზიანებს.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ორი სხვადასხვა ჯიშის ძაღლის სურათს და თხოვს მათ აღწერონ ძაღლების პროპორციები, გამოთქვან აზრი, თუ რომელი ძაღლის პროპორციებია უფრო ლამაზი, ჰარმონიული და რატომ თვლიან ასე.

ძველი ბერძენი მათემატიკოსი, „რიცხვთა მეფედ“ წოდებული პითაგორა, სილამაზეს მათემატიკასთან აკავშირებდა. იგი ამტკიცებდა, რომ უფრო ლამაზად აღიქმება ის საგნები, რომელთა პროპორციაც ოქროს კვეთას შეეფარდება.

- რა არის ოქროს კვეთა?
- ოქროს კვეთა არის მთელის გაყოფა ისეთ ორ არატოლ ნაწილად, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს.

ოქროს კვეთას, ანუ ოქროს პროპორციას ღვთაებრივ პროპორციას უწოდებენ:

ყველაზე ნათლად, ღვთაებრივი პროპორცია ჩანს ბუნებაში. მას ვპოულობთ როგორც კოსმოსში, გალაკტიკების სტრუქტურაში, ისე სულ უბრალო ფიფქის, ყვავილის აგებულებაში. კრისტალების, ფოთლების, ნიჟარების, და ბუნების სხვა ქმნილებების, მათ შორის ადამიანის აგებულება მკაცრად ექვემდებარება ოქროს კვეთის პროპორციებს.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მოკლე ვიდეო სიუჟეტს ოქროს კვეთის შესახებ, რის მერეც, მოსწავლეები შეადარებენ მცხეთის ჯვრის, სვეტიცხოვლის, ალავერდისა და სამების ტაძრების სურათებს, დააკვირდებიან ტაძრების პროპორციას და გამოთქვამენ აზრს, თუ რომელია უფრო მოხდენილი, რომლის პროპორციებია უფრო ჰარმონიული.

ასევე იმსჯელებენ მოსწავლეები ორი თანამედროვე შენობის პროპორციების შედარებისას:

საშინაო დავალება:

მოსწავლეები დაწერენ მოკლე მოხსენებას თემაზე „რა არის სილამაზე“, რომელსაც საფუძვლად დაედება მათი შეხედულება ამ საკითხზე, ამ ცნების მათ მიერ ჩამოყალიბებული განმარტება.

- თხზულებაში, თქვენი შეხედულების არგუმენტად მოიყვანეთ რამდენიმე ილუსტრაცია, ციტატა, მაგალითები თქვენი გამოცდილებიდან. ციტატები შესაძლოა იხმაროთ ლიტერატურული ნაწარმოებიდან, მოიშველიოთ რომელიმე ჭკვიანი ადამიანის გამონათქვამი, ანდაზა და სხვა საინტერესო ინფორმაცია. ამოწერეთ წყარო, საიდანაც აიღეთ ეს ციტატა თუ გამონათქვამი (წიგნის სათაური, ავტორი, გამომცემლობა, გამოცემის წელი და გვერდი; ან ვებგვერდის მისამართი).
- არ შეფასდება თხზულება, რომელშიც არ იქნება ჩამოყალიბებული თქვენი აზრი, სხვის ციტატებს და გამონათქვამებს კი, არ ექნება თქვენი კომენტარი.

ასევე, თხზულების შეფასებისას, სპეციალურ ქულას დაიმსახურებს ლამაზი ხელწერით დაწერილი და გრაფიკულად, ნახატით ან ორნამენტით გაფორმებული ნამუშევარი.

მომდევნო გაკვეთილზე, მოსწავლეები თავიანთ თხზულებებს თემაზე „რა არის სილამაზე“, წარადგენენ კლასის წინაშე და იმსჯელებენ ერთმანეთის ნამუშევრებსა და შეხედულებებზე.

აქტივობა :

გაკვეთილზე, მოსწავლეები დახატავენ სურათს „მესამედების წესის“ გამოყენებით:

სახატავ ფურცელს, მკრთალი ხაზებით დაყოფენ სამ ტოლ, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნაწილად.

ფურცელზე, ფანტაზიით დახატავენ რამდენიმე ფიგურიან კომპოზიციას ნებისმიერ თემაზე ისე, რომ ხაზების გადაკვეთის წერტილები გამოიყენონ სურათის მთავარი, საკვანძო ელემენტის წარმოსაჩენად.

კომპოზიცია

მიზანი:

გავაცნოთ მოსწალეებს კომპოზიციის რამდენიმე ძირითადი პრინციპი

შედეგი:

ს.გ.VI.1. – 4, 5, 8
ს.გ.VI.5. – 5

მასალა:

სახატავი ფურცლები
ფანქარი
საშლელი
ფერადი ფანქრები ან პასტელი

ვიზუალური მასალა:

ვასილი კანდინსკი, კამილ პისარო, ტიციანო ვეჩელიო, ჯოტო დი ბონდონე, ჟოან მირო, პიტერ ბრეიგელი.

გაკვეთილის მსვლელობა:

გაკვეთილის დასაწყისში, მოსწავლეები აჩვენებენ ერთმანეთს საშინაო დავალებას – დედალოსის და იკაროსის მითის მიხედვით დახატულ სურათებს.

მასწავლებელი გამოკითხავს მათ, თუ რომელი ეპიზოდია გამოსახული, რა არის მთავარი, რა იზიდავს თვალს პირველ რიგში ნახატზე და რა არის მეორეხარისხოვანი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით დაათვალიერონ პიტერ ბრეიგელის ფერწერული სურათი „იკაროსის სიკვდილი“ და მოძებნონ, სად არის სურათზე დახატული იკაროსი; განმარტონ, რატომ ქვია ამ სურათს „იკაროსის სიკვდილი“; გამოთქვან ვარაუდი, თუ რატომ დახატა პიტერ ბრეიგელმა მთავარი პერსონაჟი ისე, რომ იგი თითქმის არ ჩანს და რისი თქმა უნდოდა ამით მხატვარს.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ, სურათის კომპოზიციას, აღწერონ სურათი და წარმოიდგინონ, რა მოხდებოდა, სურათზე რომელიმე დეტალი სხვანაირად რომ ყოფილიყო დახატული: მაგ. სურათის მარჯვენა მხარეს დახატული გემი აწონასწორებს კომპოზიციას; იქვე, კუთხეში დახატული პაწაწუნა წითელთავიანი ფიგურა კი გვეხმარება წყალში ჩავარდნილი იკაროსის დანახვაში.

სურათის განხილვის შემდეგ, მასწავლებელი დასვამს შეკითხვას:

- რას ნიშნავს სიტყვა კომპოზიტორი?
- კომპოზიტორი ეწოდება ადამიანს, რომელიც მუსიკალურ კომპოზიციებს, ანუ ნაწარმოებებს ქმნის.
- სიტყვა **კომპოზიცია**, მთლიანის ნაწილებისგან აწყობას ნიშნავს.
- რისგან არის აწყობილი მუსიკალური ნაწარმოებები?

ნოტებისგან. ნოტები ერთიანდებიან ტაქტებში. რამდენიმე ტაქტით იქმნება მუსიკალური წინადადება – ფრაზა, ფრაზები კი მთლიანად ნაწარმოებს ქმნიან. – გაიხსენეთ ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოები და წარმოიდგინეთ, რა მოუვა მას, თუ ადგილს შევუცვლით თუნდაც ერთ ნოტს, ან გადავაადგილებთ თუნდაც ერთ ტაქტს!?

- ხელოვნების კიდევ რომელ დარგს გაგონებთ მუსიკალური ნაწრმოების წყობა? რას შეიძლება შევადაროთ ნოტები და ტაქტები?
- ნოტები – ასოებს, ტაქტები – სიტყვებს, მუსიკალური ფრაზები – ლიტერატურული ნაწარმოების წინადადებებს...

ხელოვნების ნებისმიერ დარგში, მხატვრული ნაწარმოების აღქმა დიდ წილად დამოკიდებულია მის კომპოზიციაზე, ანუ მაზე, თუ როგორ არის აწყობილი, ორგანიზებული ნაწარმოები.

კომპოზიცია არის სახვითი ხელოვნების „მართლწერის" ერთერთი მთავარი ელემენტი, წესი, რომლის მიხედვითაც არის აწყობილი ნამუშევარი, და რითიც ვაფასებთ ჩვენ მას.

საუკუნეების მანძილზე მხატვრებმა, ძიების, შეცდომების, მიგნებების გზით, შეიმუშავეს და გადმოგვცეს კომპოზიციის ელემენტარული წესები, რომელთა ცოდნაც, მხატვრებს ჩანაფიქრის განხორციელებაში ეხმარება.

კომპოზიციის წესების ცოდნა, მათი მოხმარება და თუ საჭიროა, დარღვევაც კი, ეხმარება ხელოვანს, მიიღოს სასურველი შედეგი – ნამუშევარმა მაყურებელზე მოახდინოს ისეთი ზემოქმედება, როგორიც ხელოვანს ქონდა ჩაფიქრებული.

ხშირად, მხატვარი, ჩანაფიქრის განხორციელებისას, სულ არ ფიქრობს წესებზე – იგი გონებაში წარმოქმნილ სურათებს გამოსახავს, მაგრამ კომპოზიციის შესწავლის დროს მიღებული გამოცდილება, მას ეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

მაშინაც კი, როდესაც სურათზე მხოლოდ ერთი, პატარა წერტილის დახატვას გადაწყვეტთ, უნდა დაფიქრდეთ, სად ჯობია მისი განლაგება. ფურცლის სხვადასხვა ადგილას დახატული წერტილი სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას იძლევა:

აქტივობა 1:

მოსწავლეები, ფანქრით, პატარა მართკუთხა ფურცელზე, ნებისმიერ ადგილას დახატავენ დიდ, მსუქან წერტილს. დაატრიალებენ, ოთხივე მხრიდან დააკვირდებიან საკუთარ და ერთმანეთის ფურცლებზე დახატულ წერტილს და იმსჯელებენ, თუ რა შთაბეჭდილებას ქმნის ფურცლის სხვადასხვა მონაკვეთზე დახატული წერტილი, რა იცვლება ფურცლის სხვა პოზიციაზე მობრუნებისას – წერტილი ხან ვარდება, ხან მიფრინავს, ხან კი გაუნძრევლად დევს ფურცელზე. ფურცლის ცენტრში დახარული წერტილიც კი, სხვადასხვა შთაბეჭდილებას იწვევს ფურცლის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

მასწავლებელი დასვამს შეკითხვას, თუ ფურცლის რომელ პოზიციაში იქმნება მოძრაობის, დინამიკის და რომელში უძრაობის, სტატიკის შთაბეჭდილება.

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, ფურცელზე დახატული წერტილის გარშემო მონაკვეთი გახადონ მთავარი, მომავალი სურათის კომპოზიციაში. სურათზე შეხედვისას, ამ წერტილის ადგილას დახატული ობიექტი, იქნება ეს ადამიანი, უსულო საგანი თუ ხედის ნაწილი, პირველ რიგში უნდა იზიდავდეს მაყურებლის თვალს. ამისთვის, მოსწავლეებმა ამ მონაკვეთის გარშემო კომპოზიცია უნდა ააგონ ისე, რომ სხვა საგნებმა თუ ფერადმა ლაქებმა არ დაჩრდილონ იგი ფერით, ზომით და შინაარსით.

აქტივობა 2:

მოსწავლეები, დახატავენ ნახატს ნებისმიერ თემაზე (აბსტრაქტულს, ნატურმორტს, პეიზაჟს) ისე, რომ ადგილი, ფურცელზე თავდაპირველად დასმული წერტილის გარშემო, გახდეს სურათის ვიზუალური ცენტრი – კომპოზიციის მთავარი მონაკვეთი.

აქტივობა 3:

სახატავი ფურცლები

უბრალო ფანქარი

ფერადი პასტელი ან საღებავები

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს ამოარჩიონ ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე გავლილი მასალიდან რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები და დახატონ ამ ნაწარმოების რომელიმე ეპიზოდის თითო ილუსტრაცია, კომპოზიციის წესების გათვალისწინებით.

ოქროს სტატირი

მიზანი:

ვასწავლოთ მოსწავლეებს სიმულტანური კომპოზიციების ამოცნობა და წაკითხვა.

შედეგი:

- ს.გ.VI.1. - 4, 5, 8;

ს.გ.VI.4. - 2, 3, 4;

ს.გ.VI.5. -3, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

სიმულტანური – ერთდროული, თანმიმდევრული

მასალა:

ნებისმიერი სახატავი მასალა

ვიზუალური მასალა:

მაზაჩოს ფრესკა „სტატირის სასწაული“

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს მაზაჩოს ფრესკის „სტატერის სასწაული“ ისტორიას. მოსწავლეები გაარჩევენ ფრესკის კომპოზიციას. მასწავლებელი ეტყვის მოსწავლეებს, რომ მეთოდს, როდესაც გრძელი ამბის ეპიზოდები ერთ სურათშია ასახული, **სიმულტანური** ეწოდება. მხატვრობაში, სიმულტანური ნიშნავს ერთ სივრცეში ერთდროულად რამდენიმე ამბის გადმოცემას. ამ მეთოდს, მხატვრები, უძველესი დროიდან მიმართავდნენ (ძველი ეგვიპტური ნარმერის ფილა), ხოლო აღორძინების ანუ რენესანსის ხანაში (მე-14 – მე-16საუკუნე), იგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა (სანდრო ბოტიჩელის პრიმავერა, პიერო დელა ფრანჩესკას „ჯვარი ჭეშმარიტი“).

შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს სიმულტანურობა?
- რა ხერხით გამოსახა მხატვარმა მთლიანი ამბავი ერთ ნახატში?
- რომელი ფიგურა გამოსახავს ხარკის ამკრეფს და რა ნიშნით იცანით იგი?
- რომელი ფიგურა განასახიერებს იესო ქრისტეს?
- რა ნიშნით ვხვდებით, რომ სურათი სიმულტანურია?
- რატომ აირჩია მაზაჩომ ოქროს სტატირის ამბავი ფრესკის სიუჟეტად?
- რატომ ეწოდება სურათს „სტატირის სასწაული“?
- როგორი გამომეტყველება აქვს ხარკის ამკრებს პირველ ეპიზოდში? მესამეში?
- რატომ ეწოდება სურათს „სტატირის სასწაული“?

აქტივობა:

მოსწავლეები გაიხსენებენ რაიმე მოვლენას საკუთარი ბიოგრაფიიდან და ერთ სახატავ ფურცელზე დახატავენ ამ ამბის 2-3 ეპიზოდს.

საშინაო დავალება:

მასწავლებელი დაავალებს მოსწავლეებს, წაიკითხონ სულხან-საბა ორბელიანის რომელიმე იგავი და დახატონ ილუსტრაცია -სიმულტანური ნახატი, სადაც წაკითხული ამბის 2-3 საკვანძო ეპიზოდი ერთ ფურცელზე იქნება დახატული).

მეორე ფურცელზე კი, ლამაზად დაწერონ იგავის სათაური, ტექსტი და სურვილისამებრ გააფორმონ ორნამენტებით ამ იგავის სათაური და მოკლე შინაარსი.

გაკვეთილი 2:

პრეზენტაცია - კონკურსი

აქტივობა:

მოსწავლეები დაათვალიერებენ სულხან-საბა ორბელიანის იგავების თემაზე შესრულებულ ერთმანეთის ნამუშევრებს და ეცდებიან ამოიცნონ, ნამუშევრებში გამოსახული იგავების შინაარსი.

მოსწავლეები აუხსნიან ერთმანეთს, თუ რამდენი ეპიზოდისგან შედგება მათი სურათი და როგორი თანმიმდევრობით გამოსახეს ამბავი ნახატებში. ერთმანეთის ნამუშევრებს შეაფასებენ 5-ქულიანი სისტემით:

1. სიუჟეტი ამოვიცანი განმარტების გარეშე, ნახატი მომეწონა – 5 ქულა
2. სიუჟეტი გავიგე, მაგრამ ნახატი არ მომეწონა – 4 ქულა
3. სიუჟეტის ამოცნობაში დამეხმარა იგავის სათაური – 3 ქულა
4. სიუჟეტი გავიგე მეგობრის განმარტების შემდეგ – 2 ქულა
5. სიუჟეტი ვერ გავიგე, მაგრამ ნახატი მომეწონა – 1 ქულა

დედალოსი და იკაროსი

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოებში ხელოვნების საპირისპირო პრინციპების – სატატიკისა და დინამიკის გაცნობიერების, ამოცნობისა და მიზნობრივად გამოყენების უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. – 1, 7

მასალა:

სახატავი ფურცლები

უბრალო და ფერადი ფანქრები, პასტელი

ვიზუალური მასალა:

იკაროსის გამოსახულებები: ბერძნული კერამიკა, პიტერ ბრეიგელის გრავიურა, მე-17 საუკ. რელიეფი; მინოსის სასახლის და ლაბირინთის გამოსახულებები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები გაეცნობიან მითს დედალოსისა და იკაროსის შესახებ და იმსჯელებენ, თუ რას მოგვითხრობს, რას გვასწავლის ეს მითი, რას ფიქრობენ იკაროსის საქციელზე. რა იცოდნენ ამ მითის შესახებ და რა გაიგეს ახალი.

მასწავლებელი უამბობს მოსწავლეებს, თუ როგორ გადაიქცა ეს მითი რეალობად კნოსოსის სასახლის აღმოჩენის შემდეგ:

დედალოსის და იკაროსის ამბავი, შესაძლოა დღესაც ლამაზ ლეგენდად დარჩენილიყო, 1900 წელს, კრეტას კუნძულის მოსანახულებლად, რომ არ ჩასულიყო ინგლისელი არქეოლოგი სერ არტურ ჯონ ევანსი.

პირველივე დღეს, ანტიკური ნანგრევების მახლობლად, არქეოლოგმა შენიშნა მიწის უცნაური ბორცვები, და გუმანით მიხვდა, რომ ისინი რაღაც საიდუმლოს ფარავდნენ. არტურ ევანსი დაუყოვნებლივ შეუდგა გათხრებს. შედეგმაც არ დააყოვნა – სურ რამდენიმე საათში გამოჩნდა რაღაც ნაგებობის ნიშნები.

არტურ ევანსმა გათხრებს 40 წელი მოანდომა. ნაგებობა რომელიც მან გათხარა, ორ ნახევარი ჰექტარის ფართობზე გაშენებული, მეფე მინოსის სასახლისა და ლეგენდარული ლაბირინთის ნანგრევები აღმოჩნდა! სასახლე, 1700 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დიდი მიწისძვრით გამოწვეულ ცუნამის დაუნგრევია. ნანგრევებში არ აღმოჩნდა არც ადამიანთა კვალი და არც მათი საყოფაცხოვრებო ნივთები, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანებმა თავს დროულად უშველეს და კუნძული ცუნამის მოვარდნამდე დატოვეს.

არტურ ევანსმა იპოვა არქიტექტორ დედალოსის მიერ აშენებული სასახლე, რომელშიც მითიური მინოტავრი ცხოვრობდა!

არტურ ევანსმა არა მარტო გათხარა ლეგენდარული სასახლე, არამედ აღადგინა სასახლის ნანგრევები და კედლებზე გამოსახული ფრესკები.

აქტივობა:

ხედი ზევიდან

მოსწავლეები დახატავენ დედალოსის და იკაროსის ფრენის ამბავს ისე, თითქოს ზევიდან, ჩიტის თვალით ხედავენ ამ სურათს.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები დახატავენ დედალოსის და იკაროსის მითის რომელიმე ეპიზოდს.

მომდევნო გაკვეთილზე ამ ნახატებს განიხილავენ კომპოზიციის კუთხით.

პროექტი – კონფერენცია „მსოფლიოს შედევრები“

(მოიცავს 7 აკადემიურ საათს)

მიზანი:

კვლევის (ხელოვნების ნაწარმოების შესახებ მონაცემთა შეგროვების, აღწერის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შეფასების), ღონისძიების ორგანიზებისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარების განვითარება;

ხანგრძლივი სამუშაოს სასრულ ეტაპამდე განხორციელების, საორგანიზაციო, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარის განვითარება, მსოფლიოს შედევრებთან გაცნობა, სამყაროს მრავალფეროვნების გაცნობიერება.

შედეგი:

ს.გ.VI.3. - 1, 3, 4, 5, 6..
ს.გ.VI.4. - 2, 3, 4, 5
ს.გ.VI.5. - 1, 4, 5.
ს.გ.VI.6. - 3, 5.

მასალა:

საწერი ფურცელი, კალმისტარი.

ვიზუალური მასალა:

მხატვრობის შედევრების რეპროდუქციები (ფერწერა, გრაფიკა)

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი კვლევის ყველა ეტაპზე ეხმარება მოსწავლეებს განმარტებებითა და რეკომენდაციებით.

აქტივობები:

7 გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები ეტაპობრივად ახორციელებენ კვლევას და კონფერენციისთვის მზადებას:

1. მონაცემთა შეგროვება;
2. აღწერა;
3. სახვითი საშუალებების ანალიზი (ელემენტები);
4. სახვითი ხერხების ანალიზი (პრინციპები);
5. ინტერპრეტაცია და შეფასება (კომპიუტერულ პროგრამა PowerPoint-ში მოხსენების საპრეზენტაციო ფაილის შექმნა);
6. კონფერენციის ორგანიზება, აფიშის (ვთქვათ, საკონფერენციოდ შერჩეული ნაწარმოებების პატარა ზომის ფერადი ილუსტრაციების მოზაიკის ფონზე ტექსტი ან სხვ.), პროგრამისა და მოსაწვევი ბარათების მომზადება;
7. კონფერენციის ჩატარება.

პროექტის განმავლობაში მასწავლებელმა უნდა გააკეთოს ერთი მიმდინარე განმავითარებელი (კომენტარებით) და დასასრულს, შემაჯამებელი შეფასება. მოსწავლეები წინასწარვე უნდა გაეცნონ შემაჯამებელი შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს (იხ. დანართი), რომ მათ ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

II თემა: ჟანრები

ნატურმორტი

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ნატურმორტის ისტორია
მარტივი ნატურმორტის ნატურიდან დახატვის უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 3, 4, 9.
ს.გ.VI.4. - 1, 2.
ს.გ.VI.5. -1.

მასალა:

სახატავი ფურცლები
ფერადი ფანქრები ან პასტელი

ვიზუალური რესურსი:

ჰოლანდიელი მხატვრების ნატურმორტები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით წაიკითხონ სახელმძღვანელოში I აბზაცი, სადაც მოყვანილია ბლეზ პასკალის სიტყვები:

„როგორი უცნაური რამაა – ნატურმორტი: იგი გაიძულებს დატკბე იმ ნივთების ასლების ცქერით, რომლებსაც სინამდვილეში სულაც ვერ ამჩნევ“, და იმსჯელონ იმაზე, თუ რა გაუკვირდა, რა იგულისხმა ამ გამონათქვამში მეცნიერმა.

ჩვენს გარშემო უამრავი ნივთია, რომლებსაც ადამიანები უხსოვარი დროიდან ქმნიან. ამ ნივთებს ჩვენ ყოველდღიურად ვეხებით, ვხმარობთ, ვუყურებთ, ვაფუჭებთ და ვაგდებთ. ეს უსულო საგნები შეუმჩნევლად, უხმოდ არსებობენ ჩვენს გარშემო, მანამ მათ მხატვრის გამჭრიახი თვალი არ დაინახავს. მხატვრის თვალით დანახული ნივთები ცოცხლდებიან, ლამაზდებიან, გვესაუბრებიან, თავიანთი ეპოქის ამბებს გვიყვებიან.

დღეს, წარსული დროის ამსახველი სურათების შემყურე, ჩვენ არა მარტო ვტკბებით მათი სილამაზით, არამედ შევიცნობთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები მაშინ, როგორ ეცვათ, რას მიირთმევდნენ, როგორ შრომობდნენ, იბრძოდნენ, ერთობოდნენ და როგორ ნივთებს ხმარობდნენ.

ნატურმორტი, როგორც სახვითი ხელოვნების დამოუკიდებელი ჟანრი, ჩამოყალიბდა მე-17 საუკუნეში, ჰოლანდიაში.

ჰოლანდიურ ნატურმორტს ბევრი სახეობა გააჩნია. მათ შორის ყველაზე ხშირია „თაიგულები“, „სამეცნიერო“, „სამზარეულო“, „სუფრა“, „ხილი“, ნანადირევი“.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს. გამოთქვან აზრი, თუ რა ნივთებს შეიძლება შეიცავდეს ნატურმორტის ჩამოთვლილი სახეობები.

აქტივობა 1:

მოსწავლეები დახატავენ ავტოპორტრეტს ნატურმორტით. ნატურმორტი უნდა შეიცავდეს ისეთ ნივთებს, რომლებიც უკეთ წარმოაჩენენ ავტორს, მის ინტერესებს, ხასიათს.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად. მასწავლებელი გაათამაშებს ბარათებს, ნატურმორტების დასახელებებით რომლებზეც წერია, თუ რა შინაარსის ნატურმორტს დახატავს ყოველი ჯგუფი მომდევნო გაკვეთილზე (მაგ. „საუზმე“, „ბოსტნეული“, „სამზარეულო“, „სასკოლო ნივთები“...). მოსწავლეები ერთმანეთთან შეთანხმებით სკოლაში მოიტანენ თემის შესაფერის ნივთებს.

II გაკვეთილი

ნატურმორტის კომპოზიცია

მოსწავლეები დაათვალიერებენ სურათებს, რომლებზეც ჰოლანდიელი მხატვრების ნატურმორტებია გამოსახული და იმსჯელებენ იმაზე, თუ ჰოლანდიური ნატურმორტის რომელი სახეობებია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში, რა ნივთებია მათზე გამოსახული.

მასწავლებელი მიაქცევს მოსწავლეთა ყურადღებას ვან გოგის ნატურმორტებს და თხოვს მათ, გამოთქვან აზრი, თუ რა სხვაობას ან მსგავსებას ხედავენ ერთმანეთისგან ორი საუკუნით დაშორებული ჰოლანდიელი მხატვრების სურათებს შორის.

ჰოლანდიელმა მხატვრებმა, პირველებმა დაგვანახეს, რომ სილამაზე შეიძლება აღმოვაჩინოთ არა მარტო თავისთავად ლამაზ ნივთებში. გიფიქრიათ იმაზე, რომ ლიმონის ქერქი, პურის ნაჭერი, მაგიდაზე მობნეული თხილის ნაჭუჭები, შესაწვავად გამზადებული თევზი, დაყრილი წიგნები შეიძლება ლამაზი იყოს? კიდევ ერთხელ დაათვალიერეთ სურათები და მიაქციეთ ყურადღება ნატურმორტებზე გამოსახულ ნივთებს.

წარმოშობით ჰოლანდიელმა მხატვარმა ვან გოგმა, ისევე, როგორც მისმა წინაპარმა მხატვრებმა, მშვენიერი დაინახა სულ უბრალო, შეიძლება ითქვას უშნო ნივთებში – მხატვრის თვალით დანახული დახეული ფეხსაცმელიც კი მაყურებლის აღტაცებას იწვევს.

აქტივობა 1:

მოსწავლეთა ყოველი ჯგუფი მაგიდაზე დაალაგებს თემატურ ნატურმორტს.

აქტივობა 2:

მოსწავლეები შემოუსხდებიან მაგიდაზე დალაგებულ ნატურმორტს გარშემო და ფერადი ფანქრებით ან პასტელით დახატავენ მას.

შენიშვნა:

მოსწავლეებს არ მოეთხოვება შუქ-ჩრდილის გამოსახვა. ამ აქტივობის ამოცანა, კომპოზიციური განლაგებაა.

მასწავლებელი, გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ ნატურმორტის ხატვისას, მათ ისე უნდა გაანაწილონ

ფურცელზე ნივთები, რომ ფურცელზე არ დარჩეს დიდი, ცარიელი, არაფრის მთქმელი სივრცე. ნატურმორტის კომპოზიციის მოსაძებნად, მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ასეთ ხერხს: პატარა მართკუთხა ფურცლისგან, გამოიჭრება მართკუთხა, ასანთის კოლოფის ზომის ჩარჩო. თუ მოსწავლეები ჩარჩოს თვალთან ახლოს მიიტანენ, ნატურმორტის საგნების გარშემო სივრცე დიდად გამოჩნდება, ხოლო თუ ჩარჩოში შორიდან გაიხედებიან, ნატურ-მორტის საგნები ჩარჩოში გაიჭედებიან. მოსწავლეები მოუძებნიან ჩარჩოში ნატურმორტს საუკეთესო ზომას და ეცდებიან ჩარჩოში დანახული კომპოზიციის სახატავ ფურცელზე გადმოტანას.

საშინაო დავალება:

მოსწავლეები წარმოსახვით ან ნატურიდან დახატავენ ნატურმორტს თემაზე „ჩემი საუზმე“.

შემაჯამებელი შეკითხვები:

რატომ წარმოიშვა ნატურმორტის ჟანრი ჰოლანდიაში?

რა უძღოდა წინ ჰოლანდიური ნატურმორტის წარმოშობას?

რა ფუნქცია ქონდა ნატურმორტს მანამდე?

ნატურმორტის რა სახეობები არსებობს?

პოზა

მიზანი:

ადამიანის ხასიათის, განცდის, მდგომარეობის გამოხატვის ხერხების გაცნობა.

შედეგი:

ს.გ. VI.1. – 1, 7.
ს.გ. VI.2. – 2.
ს.გ. VI.5. – 5.

ასათვისებელი ტერმინები:

პოზა
ჟესტი
მიმიკა

მასალა:

სახატავი ფურცლები,
უბრალო ფანქარი,
ფერადი ფანქრები, პასტელი ან საღებავები

ვიზუალური მასალა:

პოლ სეზანის, ფრანსისკო დე სურბარანის, ერნესტ კროფტის, ვალენტინ სეროვის, მურილიოს, ელ გრეკოს პორტრეტები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი 2-3 მოსწავლეს დასვავს მაგიდასთან და ჩუმად, ისე, რომ კლასმა არ გაიგოს, თხოვს მათ, აჩვენონ მეგობრებს, მხოლოდ მიმიკით, როგორი გამომეტყველება აქვს ამაყ ადამიანს. როდესაც მოსწავლეები მიიღებენ შესაფერის გამომეტყველებას, დანარჩენი მოსწავლეები ეცდებიან გამოიცნონ, თუ რა გამოხატეს მეგობრებმა. სავარაუდოდ, მოსწავლეები რამდენიმე ვერსიას გამოთქვავენ. მასწავლებელი არ გაუმხელს მათ, რომელი ვერსიაა სწორი. შემდეგ, მოსწავლეებს, რომლებიც სიამაყეს ასახიერებენ, სთხოვს ფეხზე დამდგრებმა განასახიერონ ამაყი ადამიანი და თხოვს დანარჩენ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ ამოიცნონ, რას გამოხატავენ მეგობრები.

სავარაუდოდ, მოსწავლეები უფრო ზუსტად მიხვდებიან, რომ ეს სიამაყეა, რადგან მათმა მეგობრებმა, ამ ჯერზე მთელი სხეულით – მიმიკით, პოზით და ჟესტებით გამოხატეს „სიამაყე“.

ხშირად, ადამიანი ცდილობს იყოს თავშეკავებული და არ აჩვენოს სხვებს მისი განცდები ან მდგომარეობა - იყოს ნაღვლიანი, ან დაღლილი და იღიმებოდეს, უნდოდეს გაცინება, და წარბშეჭმუხნული იყურებოდეს, მაგრამ მის მდგომარეობას გასცემენ ჟესტები და პოზა.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს, განმარტონ და აჩვენონ ერთმანეთს, თუ რას ნიშნავს სიტყვები: მიმიკა, ჟესტი და პოზა.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს განასახიერონ დაღლილობა, სიხარული, გაკვირვება... და მიაქციონ ყურ-

ადღება, თუ როგორ იცვლება არა მარტო მათი მიმიკა, არამედ მათი პოზაც სხვადასხვა მდგომარეობის გამოხატვისას.

ფრანგმა მხატვარმა ედგარ დეგამ, უბის წიგნაკში ჩაინიშნა: „ადამიანების პორტრეტები უნდა დაიხატოს თავისუფალ, მათთვის ჩვეულ პოზებში და რაც მთავარია, მათი გამომეტყველება პოზას უნდა შეეფერებოდეს“.

მოსწავლეები დაათვალიერებენ სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებულ პორტრეტებს. მასწავლებელი თხოვს მათ აღწერონ, თუ როგორი ადამიანია გამოსახული პორტრეტზე, რაზე შეიძლება ფიქრობდეს ეს ადამიანი, – მხიარულია, გაოცებული, დამწუხრებული, მშვიდი, ბედნიერი თუ უბედური და სხვა.

მასწავლებელი ჩაეკითხება მოსწავლეებს, თუ რა ნიშნით ამოიცნეს ადამიანის განწყობა, ხასიათი.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს, ხელით დაფარონ პორტრეტზე გამოსახული ადამიანის სახე და დააკვირდნენ მის პოზას – გამოხატავს თუ არა პოზა სურათზე დახატული ადამიანის განწყობას?

მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ როგორ შეესატყვისება პორტრეტებზე გამოსახული ადამიანების გამომეტყველება მათ პოზას. იმისთვის, რომ უკეთ წარმოიდგინონ თუ რა შეიცვლებოდა სურათებში ადამიანებს სხვა გამომეტყველება რომ ქონოდათ, ან ამ გამომეტყველებით, სხვა პოზაში დაეხატა მხატვარს, მოსწავლეებს შეუძლიათ გააკეთონ პორტრეტებზე ასახული ადამიანების მიმიკისა და პოზის იმიტაცია.

აქტივობა 1:

მასალა:

სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქარი
ფერადი პასტელები ან საღებავები

მოსწავლეები დახატავენ ავტოპორტრეტებს მათთვის დამახასიათებელ პოზაში.

მასწავლებელი მიანიშნებს, რომ მოსწავლეებს საკუთარი თავი შეუძლიათ დახატონ რაიმე საქმის კეთების, მოსვენების, წიგნის კითხვის, ფანჯარაში ყურების, თამაშის მომენტში.

აქტივობა 2:

მასალა:

სახატავი ფურცლები
უბრალო ფანქარი
ფერადი პასტელები

მოსწავლეები წარმოსახვით დახატავენ ორმაგ პორტრეტს - ორი ადამიანის ერთდროულ გამოსახულებას ერთ სახატავ ფურცელზე.

აქტივობის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სურათზე უნდა ჩანდეს წარმოსახული ორი ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება ან რაიმე ურთიერთქმედება, რაც მოსწავლეებმა დამოსახული ადამიანების პოზებითა და მიმიკით უნდა გამოხატონ.

პორტრეტი ძაფით

მიზანი:

ხაზის გამომსახველობის გაცნობიერება, კონტურის შესაძლებლობების ათვისება, არატრადიციული მასალების გამოყენების უნარის განვითარება, შემოქმედებითი აზროვნება, მსოფლიოს ხელოვნების შედევრებთან (ანრი მატისის შემოქმედებასთან) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 1, 2, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

გრაფიკა, ფოვიზმი

მასალა:

სახატავი ფურცელი, 1 მეტრის სიგრძის საქსოვი ძაფი, წებო.
0,35-წამიანი ვიდეო, რომელშიც მატისი ხატავს ბიჭის პორტრეტს (https://www.youtube.com/watch?v=MiEIeitUNFs)

ვიზუალური მასალა:

ანრი მატისის გრაფიკული პორტრეტები

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს 35 წამიან ვიდეოს მითითებულ ბმულზე, სადაც მატისი ხატავს პატარა ბიჭს. მასწავლებელი ამბობს:

- დააკვირდით, როგორ მარტივად, ძალდაუტანებლად, უწვალებლად, უბრალო კონტურული ხაზით აღბეჭდავს მხატვარი ბიჭის სახეს. როგორ ფიქრობთ, ეს მართლაც ასე ადვილია თუ დიდი შრომის შედეგია?

მოსწავლეების მსჯელობა მასწავლებელს მიჰყავს იმ აზრამდე, რომ ამგვარი ოსტატობა ხანგრძლივი ვარჯიშის, სწავლის, მუშაობის შედეგია. თურმე მატისი თაბაშირის ნიღბების შუაში, შუბლიდან ნიკაპამდე ძაფს ჰკიდებდა, რომ სახე სიმეტრიულად შუაზე გაეყო და დაუსრულებლად ხატავდა მათ. ასე დაეუფლა ის სიმეტრიული გამოსახულების შექმნას.

მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს საქსოვ ძაფებს – თითოს მოსწავლეს თითო მეტრი უნდა ერგოს. თუ ბავშვებს გაუჭირდებათ მთლიანი ძაფით კონტურული პორტრეტის შექმნა, მათ შეუძლიათ დაჭრან ძაფი, ოღონდ არა წინასწარ, არამედ პორტრეტის კეთების მსვლელობისას. იმისთვის, რომ ძაფი დაფიქსირდეს ფურცელზე, მოსწავლეებმა ძაფი მთელი სიგრძით უნდა გადაატარონ მშრალ წებოზე.

აქტივობა:

მოსწავლეები წარმოსახვით ქმნიან ხაზობრივ, კონტურულ პორტრეტს საქსოვი ძაფით.

ზამთრის პასტორალი

მიზანი:

პასტორალური პეიზაჟის ჟანრთან გაცნობა;
პერსპექტივის გამოსახვის ხერხებთან გაცნობა;
თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 4, 5, 6, 7, 9.
ს.გ.VI.2. -7.
ს.გ.VI.3. - 1, 3, 4, 5, 6.

ასათვისებელი ტერმინები:

პასტორალი, იდილია, პანორამა

მასალა:

დიდი ზომის მუქი ლურჯი ფორმატი, თეთრი და მუქი მწვანე ფერის ქაღალდები, უბრალო ფანქარი, შავი ფერის მარკერი, მაკრატელი, წებო, კორექტორი.

ვიზუალური მასალა:

პიტერ ბრეიგელ უფროსის ზამთრის პეიზაჟები

გაკვეთილის მსვლელობა:

სასურველია, ეს გაკვეთილი ჩატარდეს ზამთარში, ახალ წლამდე, ელენე ახვლედიანის ზამთრის პეიზაჟების გაკვეთილამდე ან მის შემდეგ.

მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში ტექსტს. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ბრეიგელის ზამთრის პასტორალურ პეიზაჟებს. ათვალიერებენ დეტალებს და მსჯელობენ, რა განწყობას უქმნით ეს პეიზაჟები - ამშვიდებთ თუ აფორიაქებთ? ხმაურიანია თუ გარინდული?

მასწავლებელი ყურადღებას გაუმახვილებს იმაზე, რომ დაშორების მიხედვით, საგანთა ზომები მცირდება. საგანი, რომელიც წინა ხედზეა, ყველაზე დიდი ზომისაა, შუა ხედზე – საშუალო ზომის, ხოლო შორეულ ხედზე – ყველაზე პატარა.

ინსტრუქციის მიხედვით, მოსწავლეები ინაწილებენ სამუშაოს – თითოეულს ერგება თითო ა4 ფორმატის თეთრი ფურცელი. 1-2-მა მოსწავლემ, შესაძლოა, იმუშაოს ნაძვების გამოსახულებებზე.

მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ ამ ნამუშევარში ყველამ საკუთარი წვლილი შეიტანა და ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია. ერთიც რომ მოაკლო, კომპოზიცია დაინგრევა. ახლა კი, ყველა გამოსახულება თავის ადგილზეა და ერთიანობაში მყუდრო, იდილიურ პასტორალურ პეიზაჟს ქმნის.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ სახლებს, ნაძვის ხეებს, ჭრიან, ალაგებენ ფორმატზე და აწებებენ.

ზამთრის პეიზაჟი

მიზანი:

არატრადიციული მასალებით ექსპერიმენტირებისა და სახვით ხელოვნებაში მათი გამოყენების უნარების განვითარება,

სახვითი ხელოვნების ელემენტის – ტონალური გრადაციისა და პრინციპის – ატმოსფერული (ჰაეროვანი) პერსპექტივის არსის გაცნობიერება და გადმოცემის უნარის განვითარება,

ქართულ ხელოვნებასთან (ელენე ახვლედიანის შემოქმედებასთან) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 2, 4, 6.

ს.გ.VI.2. - 1, 2, 4, 7.

ს.გ.VI.6.- 5..

ასათვისებელი ტერმინები:

პასტორალური პეიზაჟი,

ჰაეროვანი ანუ ატმოსფერული პერსპექტივა,

მონოქრომული,

ტონალური გრადაცია.

მასალა:

უბრალო ფანქარი, თეთრი და შავი ფერის ქაღალდი, წებო, მაკრატელი, კალკა (გამოსაცხობი გამჭვირვალე ქაღალდი).

ვიზუალური მასალა:

ელენე ახვლედიანის ზამთრის პეიზაჟები:

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ინსტრუქციამდე. პირველი აბზაცის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება:

- სწორად მოიქცა თუ არა ელენე ახვლედიანი, პიკასოს რომ არ მიჰყიდა ნამუშევარი? პაბლო პიკასო ამ დროს უკვე მთელს მსოფლიოში განთქმული მხატვარი იყო და მის პირად კოლექციაში მოხვედრა ხომ სახელს მოუხვეჭდა ქართველ მხატვარს. როგორ მოიქცეოდით თქვენ მის ადგილზე?

მომდევნო აბზაცის კითხვის შემდეგ მასწავლებელი შეახსენებს, რომ ტონი არის ფერის ხარისხი ღიადან მუქამდე.

ტექსტის წაკითხვის დასრულებისას, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხედონ ფანჯარაში და ნახონ, როგორ ბუნდოვანდება გამოსახულებათა ფერები სიშორის მიხედვით. შემდეგ ეკითხება:

რას ხედავთ ფანჯარაში წინა ხედზე? შუა ხედზე? უკანა ხედზე? ების მონაცვლეობას მხატვრები ხშირად ჰაეროვანი ანუ ატმოსფერული პერსპექტივით გადმოგვცემენ. თუმცა, არიან მხატვრებიც, რომლებიც ამ ხერხს არ მიმართავენ (დავით კაკაბაძე, ხიტა ქუთათელაძე, ედმონდ კალანდაძე). გირჩევთ, დაათვალიეროთ მათი პეიზაჟები

და დააკვირდეთ, რამდენად არის მათში გამოყენებული ჰაეროვანი პერსპექტივა და კიდევ რა საშუალებით აღწევენ მხატვრები სურათში უკიდეგანო, თვალუწვდენელი სივრცის გადმოცემას.

მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნის პროცედურას. მოსწავლეებს დაურიგდება წინასწარ დაჭრილი ა4 ფორმატის მეოთხედი ფურცლები – ერთ თეთრი და 3-4 შავი. ასევე, 2-3 კალკის ნაჭერი.

აქტივობა:

მოსწავლეები აპლიკაციის ტექნიკით, შავი ქაღალდითა და კალკით შექმნიან ნამუშევარს ჰაეროვანი პერსპექ-ტივის პრინციპის გამოყენებით.

პლაკატი

მიზანი:

ვაჩვენოთ მოსწავლეებს, თუ როგორ ურთიერთქმედებენ კონტრასტული და მონათესავე ფერები.

ვასწავლოთ მარტივი პლაკატის გაკეთება

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 2, 3, 5, 8.

ს.გ.VI.2. - 1, 3, 5.

ს.გ.VI.5. - 5.

ასათვისებელი ტერმინები:

აბრა, აფიშა, პლაკატი, ლოზუნგი

მასალა:

გუაშის საღებავები

წყალი

ფუნჯი

პალიტრა

მაკრატელი

სახატავი ფურცლები

წებო

ვიზუალური მასალა:

პლაკატების ნიმუშები

ფერების ბორბალის ნიმუში

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე: აბრა, აფიშა, პლაკატი.

მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, რა განსხვავება და რა საერთოა მათ შორის.

აბრა – შენობაზე გამოკრული დაფა, რომლის ნახატიანი ან უნახატო წარწერა, გვამცნობს, სხვადა სხვა დანიშნულების (მაგ. დაწესებულების (მაღაზია, კაფე, კინოთეატრი, სკოლა, პოლიცია და სხვა)), სახელწოდებასა და შინაარსს.

აფიშა – ქუჩაში გასაკრავი, დიდი ზომის ფურცელი, რომელიც გვატყობინებს, თუ სად, როდის და რა ღონისძიება ტარდება (სპორტული შეჯიბრი, წარმოდგენა, ფილმი, კონცერტი და სხვა). აფიშებს როგორც წესი, აკრავენ ისეთ ადგილას, სადაც მათ ბევრი ადამიანი დაინახავს. ხშირად, აფიშაზე წერია მხოლოდ ტექსტი და არაფერი არ ხატია, რადგან ტექტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ღონისძიების შესახებ, საკმარისია ინფორმაციის გასაგებად.

პლაკატი – აფიშისგან განსხვავებით, უფრო ღრმა, საჭირბოროტო ამბავს გვატყობინებს. პლაკატი აუცილებლად შეიცავს ნახატს ან ფოტოს, რომელსაც თან ახლავს მოკლე ტექსტი რაიმე მოწოდებით (სარეკლამო, შემეცნებითი, გამაფრთხილებელი და სხვა). პლაკატზე დაწერილ მოკლე მოწოდებას, ლოზუნგი ეწოდება.

ლოზუნგი - მოწოდების, იდეის გამომხატველი მოკლე, მკაფიო, ადვილად დასამახსოვრებელი გამონათქვამი.

მასწავლებელს შეუძლია თხოვოს მოსწავლეებს ჩამოთვალონ, თუ რა სახელწოდების აბრები შეხვედრიათ, გაიხსენონ რომელიმე პლაკატი და აღწერონ, თუ რა იყო მასზე გამოსახული.

მოსწავლეები დაათვალიერებენ პლაკატებისა და აფიშების ილუსტრაციებს. მასწავლებელი თხოვს მათ გამოთქვან აზრი, თუ რომელი ნიმუში მოეწონათ მეტად, რომელი ნაკლებად და რატომ - არ მოეწონათ მთლიანად, თუ დეტალი - ფერი, გამოსახულება, წარწერა; რას შეცვლიდნენ დაწუნებულ პლაკატში.

- შესაძლოა, პლაკატი ლამაზი იყოს, მაგრამ მისი შინაარსი გაუგებარი. არის თუ არა ასეთი პლაკატი სახელმძღვანელოში? როგორ ფიქრობთ, ვარგა თუ არა ასეთი პლაკატი?

პლაკატის ფუნქციაა შეგვატყობინოს რაიმე ამავი ისე, რომ მოწოდებულმა ინფორმაციამ ჩვენზე შთაბეჭდილება მოახდინოს და შესაბამისი ქმედება გვაიძულოს – მაგ. მოგვიხმოს კონცერტზე, მოგვანდომოს რამის ყიდვა, მოგვიწოდოს კარგი საქციელისკენ...

ადამიანმა, რომელიც მხატვარს პლაკატის ან აფიშის დახატვას უკვეთავს, უნდა იცოდეს, რომ, პლაკატი, რომელიც თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს - არ იზიდავს მაყურებლის თვალს ან გაუგებარია მისთვის, არ ვარგა.

მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს იპოვონ, რა არის მთავარი ყოველ ნიმუშზე; დააკვირდნენ, თუ რა ხერხითაა გამოყოფილი მთავარი (ფერი, კონტური, ზომა); აღწერონ, როგორი ფერებითაა დახატული პლაკატები - მოძებნონ, პლაკატებზე მონათესავე და კონტრასტული ფერები; დააკვირდნენ, თუ რომელი მათგანი ჭარბობს ნიუშებში და გამოთქვან აზრი, თუ რა ეფექტს იძლევა ფერების კონტრასტი პლაკატებში.

მასწავლებელი დახატავს დაფაზე 6 სექტორიან წრეს. მოსწავლეები გაიხსენებენ ცისარტყელას ფერების თანმიმდევრობას, მასწავლებელი ჩაწერს მათ სახელებს სექტორებში და თხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან აზრი, ფერების ბორბალში ჩაწერილი დასახელებებიდან, რომელი ფერები შეიძლება იყოს მონათესავე და რომელი კონტრასტული. (მონათესავეა წრეზე ერთმანეთის მეზობელი ფერები, კონტრასტული კი, ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე ფერები).

ამოცანის გასაადვილებლად, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს აჩვენოს ფერების ბორბლის ფერადი გამოსახულება.

აქტივობა 1:

მასალა:

შავი ფურცელი
სახატავი ფურცლები
გუაშის
საღებავები
ფუნჯი
პალიტრა წყალი
მაკრატელი
წებო

მოსწავლეები, პატარა შავი ფურცლიდან გამოჭრიან 3X3 სმ-ის ზომის ჩარჩოს.

სახატავ ფურცელზე, ერთმანეთის გვერდით, პატარა მონასმებით, დასვავენ საპირისპირო ფერის ლაქებს, მონათესავე ფერის ლაქებს, შეზავებული (ცისფერი, ვარდისფერი, რუხი, ყავისფერი, თეთრი, შავი, თეთრი საღებავით გაღიავებული, შავი საღებავით გამუქებული) ფერის ლაქებს.

დაადებენ ჩარჩოს ლაქების სხვადასხვა მონაკვეთს, დააკვირდებიან და იმსჯელებენ, თუ მეზობელი ლაქების რომელი შეხამება უხდება ერთმანეთს, რომელი ფერები „ჭამენ“ ერთმანეთს და რომელი კომბინაცია წარმოაჩენს ფერებს უფრო მკვეთრად.

მოსწავლეები ამოარჩევენ და გამოჭრიან ფერების შეხამების რამდენიმე ვარიანტს, უკან დააწერენ მონაკვეთის დამახასიათებელ წარწერას – „კონტრასტული“, „მონათესავე“, „ლამაზი“, „მკვეთრი“, „უშნო“ და სხვა.

შავი ფურცლის ზოლებით გაუკეთებენ მათ ჩარჩოებს.

აქტივობა 2:

მზადება კონკურსისვის – „საუკეთესო პლაკატი“

მოსწავლეები (ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებად, ვისაც როგორ ურჩევნია), მოიფიქრებენ და გაინაწილებენ რამდენიმე თემას, პლაკატის გასაკეთებლად.

ყოველი თემისთვის მოიფიქრებენ ლოზუნგს.

საშინაო დავალება:

A4 ფორმატის ფურცელზე, დახატავეენ ან ააწყობენ პლაკატის ესკიზს ჟურნალებიდან გამოჭრილი, ან სხვა მოძიებული მასალით.

ხელით, ან კომპიუტერის საშუალებით დაწერენ ლოზუნგს.

აქტივობა 3:

მასალა:

უბრალო ფანქრები, სახაზავები, გუაშის საღებავები, ჟურნალიდან ამოჭრილი, ამობეჭდილი თემასთან დაკავშირებული გამოსახულებები;

A4 სახატავი ფურცლები, დიდი ფორმატის სახატავი ფურცლები ყოველ ჯგუფს.

დასრულებული ესკიზები დაიკიდება ან დაიდება იატაკზე მწკრივად. მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ ვისი პლაკატი ან ლოზუნგი მოსწონთ და რატომ; გადაარჩევენ რამოდენიმეს (შეიძლება ერთის მხოლოდ ნახატი ვარგოდეს, მეორესი კი ლოზუნგი და გაერთიანდეს; ასევე, შესაძლოა პლაკატის იდეა იყოს კარგი, შესრულება კი მოისუსტებდეს. ასეთი ესკიზიც იმსახურებს გადარჩევას შემდგომი გადამუშავებისთვის). მოსწავლეები განიხილავენ ესკიზებს, გადაარჩევენ რამდენიმენს (ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით), დიდი ფორმატის ფურცელზე გადასატანად:

მოსწავლეები კიდევ ერთხელ განიხილავენ უკვე გადარჩეულ ესკიზებს. მოიფიქრებენ და მოილაპარაკებენ, თუ რა არის შესაცვლელი, დასამატებელი, ყოველ ესკიზზე.

შემდეგ, მოსწავლეები გაერთიანდებიან 3-5 კაციან ჯგუფებად, გაინაწილებენ გადარჩეულ ესკიზებს და შეიტანენ ესკიზებში შესწორებებს, მოამზადებენ მათ დიდ ფორმატზე გადასახატად.

აქტივობა 4:

ყოველი ჯგუფი, პლაკატის ესკიზს გადაიტანს დიდ ფორმატზე. (პატარა ესკიზის დიდ ფორმატზე გადასატანად შეიძლება ესკიზები ფანქრით, მკრთალად დაიყოს კვადრატებად. ამდენივე კვადრატად დაიყოფა დიდი ფორმატებიც. მოსწავლეები ესკიზის პატარა უჯრაში დახატულ გამოსახულების მონაკვეთს გადაიხატავენ დიდი ფორმატის შესაბამის უჯრაში).

ღრუბელით, დიდი ფუნჯებით გააფერადებენ დიდ ფორმატზე გადატანილი ნახატს და წარწერას.

პლაკატის დამზადებისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც აპლიკაციის, ასევე კოლაჟის ტექნიკა. წარწერა შეიძლება გაკეთდეს ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი ასოებით.

აქტივობა 5:

მოსწავლეები ჩაატარებენ კონკურსს საუკეთესო პლაკატის გამოსავლენად, რომელზეც ფარული კანჭისყრით მისცემენ ხმას მოწონებულ პლაკატს.

შეფასების კრიტერიუმი:

რამდენად მკაფიოდ შეუძლია საკუთარი იდეის ასახვა ნამუშევარში,

რა ხერხებს მიმართავს იდეის გამოსახატავად

როგორ აკავშირებს მოვლენებსა და ობიექტებს და რა გამომსახველობითი ხერხებით ასახავს მათ ნამუშევრებში

შეუძლია თუ არა მეგობრებთან თანამშრომლობა, მათი იდეების გაზიარება ან საკუთარი იდეის მიწოდება და ერთობლივი ძალებით განხორციელება,

აქტიურია, კეთილგანწყობილია სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზების, ან სხვის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობისას.

რამდენად შეუძლია ეტაპობრივი საქმიანობის დაგეგმვა და თანმიმდევრულას შესრულება.

მერაბ აბრამიშვილი

მიზანი:

არატრადიციული მასალებით მუშაობის, ექსპერიმენტირებისა და სახვით ხელოვნებაში მათი გამოყენების შესაძლებლობის დანახვის უნარების განვითარება,

შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, თანამედროვე ქართულ მხატვრობასთან გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 1, 2, 4, 5, 7.

ს.გ.VI.6. - 1, 2, 3, 5..

მასალა:

თაბაშირმუყაოს ნაჭრები, განიერი დოლბანდი (ბინტი), აკვარელი, ფუნჯი, ფანქარი.

ვიზუალური მასალა:

მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები

ქართული ხელნაწერების მინიატურები

ატენის სიონის ფრესკები

მოსწავლეთა ნამუშევრები თაბაშირმუყაოზე

გაკვეთილის მსვლელობა:

თაბაშირმუყაო ადვილად საშოვნელი მასალაა. თუ თქვენს სიახლოვეს სადმე რემონტი მიმდინარეობს, ამ მასალის ნარჩენებს ხშირად ყრიან ხოლმე. მისი სახატავად მომზადება საჭიროებს ცალ მხარეს ზედაპირიდან მუყაოს ფენის გადაცლას, რასაც დიდი დრო მიაქვს. სასურველია, წინასწარ სახლში გაატანოთ დაჭრილი ფილები მუყაოს ფენის გადასაცლელად. გააფრთხილეთ ბავშვები, რომ მასალა ადვილად იმტვრევა, ამიტომ ფილა წიგნებს შორის მოაქციონ და ისე ატარონ. გაკვეთილზე გამზადებული მასალით მოსულ მოსწავლეებს დრო საგრძნობლად დაეზოგებათ.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრებსა და ქართული ხელნაწერების მინიატურების ილუსტრაციებს. მოსწავლეები მსჯელობენ, თუ როგორ აისახა ხელნაწერთა მინიატურების გავლენა მხატვრის შემოქმედებაზე. რა არის მათ შორის საერთო (დეკორატიულობა, მცენარეული ორნამენტი ხალიჩასავით ეფინება ნახატს, ცხოველების გამოსახულებები, წვრილი ფორმები და სხვ.).

დასასრულს, მოსწავლეები ეცნობიან ინსტრუქციას და ხატავენ თაბაშირის ზედაპირზე.

ინსტრუქცია:

მოსწავლეებს ურიგდება წინასწარ გაწმენდილი, დაახლოვებით 10X15 სმ (განიერი დოლბანდის (ბინტის) სიგანის ზომაზე) დაჭრილი თაბაშირმუყაო და შესაბამისი სიგრძის დოლბანდის ნაჭრები.

- თაბაშირმუყაოს ცალ მხარეს დააწერეთ თქვენი სახელი და გვარი. გადმოაბრუნეთ და დადეთ სწორ, ბრტყელ ზედაპირზე, რადგან ის მყიფეა და ადვილად ტყდება.
- ცოტა წყალში გააზავეთ ყავისფერი საღებავი.
- დაასველეთ დოლბანდის ნაჭერი საღებავში და გაწურეთ.
- დააფინეთ გასწორებული დოლბანდი თაბაშირმუყაოს ფილაზე. დაადეთ ზემოდან ქაღალდი (შეიძლება უკვე

გამოყენებული, უსარგებლო) და ხელი გადაუსვით, რომ დოლბანდის ნაქსოვის საღებავიანი კვალი თაბაშირის თეთრ ზედაპირზე აღიბეჭდოს. ეს ნამუშევარს ტილოს ფაქტურას მიანიჭებს.

- ფანქრით მკრთალად დახატეთ თაბაშირის ფილაზე ნახატი.
- გააფერადეთ აკვარელის საღებავით.
- ალაგ-ალაგ, სურვილისამებრ, შეგიძლიათ ფრთხილად ამოკაწროთ კონტურები ან შტრიხები.

აქტივობა:

მოსწავლეები ხატავენ თაბაშირმუყაოზე

შემაჯამებელი კითხვები:

- რას ფიქრობთ მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაზე? მოგწონთ თუ არა? რატომ?
- რა უპირატესობა და რა ნაკლი აქვს თაბაშირმუყაოზე ხატვას?
- რა გამოგივიდათ კარგად?
- რას გააკეთებდით სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდეთ?
- კიდევ რისი დახატვა გსურთ თაბაშირმუყაოზე?

აპლიკაცია

მიზანი:

არატრადიციული მასალებით მუშაობის,
წინა, შუა და უკანა ხედის გამოსახვის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 2, 4, 5, 6, 9.
ს.გ.VI.2. - 1, 2, 7.

ასათვისებელი ტერმინები:

აპლიკაცია, ფაქტურა, პერსპექტივა

მასალა:

მოზრდილი ფორმატი (თითო მოსწავლეზე თითო), ფანქარი, ჟურნალ-გაზეთები, წებო, შავი ფერის გუაშის საღებავი, უხეში ფუნჯი.

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს. ინსტრუქციის კითხვის პარალელურად აკვირდებიან ნიმუშს და მსჯელობენ, როგორ აისახა მასში პერსპექტივა – წინა, შუა და უკანა ხედები; როგორ არის მიღწეული ნამუშევარში ხეების ფაქტურულობა და მოცულობა.

ეს აქტივობა დეტალურ ინსტრუქტაჟს გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მუშაობის პროცესში მოსწავლეები მაინც გამოიმუშავებენ საკუთარ ხერხებს. მასწავლებელი სთხოვს მათ, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება.

თუ სკოლაში ორი პარალელური კლასია, ჩაატარეთ ექსპერიმენტი – ერთმა კლასმა იმუშაოს ინსტრუქციით, ხოლო მეორემ – ინსტრუქციის გარეშე. მეორე კლასს აძლევთ ფორმატს, ჟურნალებს, გაზეთებს და ეუბნებით, რომ აპლიკაციის ტექნიკით უნდა შექმნან ტყის პეიზაჟი წინა, შუა და უკანა ხედის გადმოცემით. მათ თავად უნდა მოიფიქრონ შედეგამდე მისასვლელი გზა და ხერხები. ინსტრუქტაჟის არარსებობა სრულ შემოქმედებით თავისუფლებას მისცემს მოსწავლეებს. ასეთ შემთხვევაში, მათ მრავალფეროვანი, ერთმანეთისგან განსხვავებული ნამუშევრები გამოუვათ. სთხოვეთ, წარადგინონ ნამუშევარი და ისაუბრონ საკუთარ მიგნებებზე. დასასრულს, გამოფინეთ ორივე კლასის ნამუშევრები და გაუკეთეთ სტენდებს სათაურები – „ინსტრუქციით“ და „ინსტრუქციის გარეშე“. საინტერესოა, რა დასკვნებს გამოიტანენ მოსწავლეები. სთხოვეთ, რვეულში დახატონ ოთხი უჯრა – ზედა ორში ჩამოწერონ ინსტრუქციით, ხოლო ქვედა ორში – უინსტრუქციოდ მუშაობის უპირატესობები და ნაკლი.

აქტივობა:

მოსწავლეები აკეთებენ აპლიკაციას ჟურნალ-გაზეთების ნაფლეთებით.

დეკუპაჟი

მიზანი:

არატრადიციული მასალებით მუშაობის უნარის, საყოფაცხოვრებო საგნების მხატვრულად გაფორმების უნარის გაღვივება, დეკუპაჟის ტექნიკის დაუფლება.

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 1, 2, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

დეკუპაჟი

მასალა:

სადა ჭურჭელი (ქოთანი, ბოთლი, ჭიქა, კონსერვის ქილა...),
დეკორატიული სამფენიანი ხელსაწმენდი ნახატით,
მაკრატელი, ფუნჯი,
წებო პვა, უფერული ლაქი,
გამჭვირვალე პოლიეთილენი (გამოდგება საქაღალდე ფაილი).

ვიზუალური მასალა:

დეკუპაჟის ტექნიკის ამსახველი ხანმოკლე ვიდეო:
https://www.youtube.com/watch?v=6vtRqe1mMcI

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ აქტივობისთვის წინასწარ უნდა შეგროვდეს სადა, უდეკორო, გაულაქავი საგნები – დოქი, ქოთანი, კეცი, ხის საჭრელი დაფა, (დასაშვებია პლასტმასის ან შუშის ქილებიც) და სხვ.

ამავე წესით შეიძლება ძველი ავეჯის, საკლასო ოთახში კარადების გალამაზება.

დასასრულს, მოსწავლეები რვეულში წერენ რეფლექსიას შემაჯამებელი კითხვების მიხედვით.

შემაჯამებელი კითხვები:

- რას ნიშნავს დეკუპაჟი?
- რა იყო ყველაზე რთული დეკუპაჟის ტექნიკაში?
- რა იყო ყველაზე ადვილი?
- კმაყოფილი ხართ საკუთარი ნახელავით?
- ის გამოვიდა, რასაც ვარაუდობდით თუ არა? რა გამოვიდა სხვაგვარად?
- რაიმეს ხომ არ შეცვლიდით, ხელახლა რომ აკეთებდეთ?
- როგორ ფიქრობთ, კიდევ რა მასალის ნივთები შეიძლება გააფორმოთ იგივე ტექნიკით?
- თანაკლასელთაგან ვისი ნამუშევარი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ? რა გააკეთა მან კარგად? რომელი ხერხი გამოიყენა ამისთვის?

აქტივობა:

მოსწავლეები დეკუპაჟის ტექნიკით მხატვრულად აფორმებენ საყოფაცხოვრებო საგნებს – თიხის ან ხის ნაკეთობებს.

ისევ დეკუპაჟი

მიზანი:

სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება,
საყოფაცხოვრებო ნარჩენების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობის გაცნობიერება,
არატრადიციული მასალებით მუშაობის უნარის გაღვივება;
საყოფაცხოვრებო საგნების მხატვრულად გაფორმების უნარის გაღვივება.

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 4, 5, 7.

მასალა:

კონსერვის ქილა, დეკორატიული, ნახატიანი შპალერის, შესაფუთი ქაღალდის ნაჭრები ან სამფენიანი ხელსაწ-მენდები, მაქმანის, აბრეშუმისა და სხვა ზონარები, გუაშის საღებავი, მაკრატელი, წებო პვა, უფერო ლაქი, ფუნჯი.

ვიზუალური მასალა:

ბუნების დაბინძურების თემაზე შექმნილი მოკლე სიუჟეტები:
https://www.youtube.com/watch?v=jnz3WjMiVKM
https://www.youtube.com/watch?v=6DdWK3kCA8U
დეკუპაჟის ტექნიკის ამსახველი, 1.44 წთ-იანი ვიდეო:
https://www.youtube.com/watch?v=J_u8sIfBuZQ

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ აქტივობისთვის მასწავლებელმა წინასწარ უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, მოიტანონ სახლიდან ლითონის კონსერვის ქილები.

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს გარემოს დაბინძურების თემაზე შექმნილ მოკლე ვიდეო სიუჟეტებს. მოსწავლეები გამოთქვავენ ვარაუდებს ამ პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ.

პრობლემის შემცირების ერთერთი საშუალებაა, შევამციროთ საყოფაცხოვრებო ნაგვის რაოდენობა, მეორე სიცოცხლე მივანიჭოთ ნახმარ, უსარგებლო ნივთებს - გავალამაზოთ ისინი და სხვა დანიშნულებით ვიხმაროთ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდი, თუ რა ხერხით შეიძლება ნახმარი ქილების გალამა-ზება და რა დანიშნულებით შეიძლება მათი ხმარება.

აქტივობა:

მოსწავლეები დეკუპაჟის ტექნიკით მხატვრულად გააფორმებენ კონსერვის ქილებს.

მიზანი:

ციფრული ტექნოლოგიების ათვისება და გრაფიკული დიზაინის პროგრამაში ნამუშევრის შექმნის უნარის განვითარება

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 8.

მასალა:

მოსწავლის კომპიუტერი, გრაფიკული დიზაინის პროგრამა

ვიზუალური მასალა:

მასწავლებლის წიგნში:



გაკვეთილის მსვლელობა:

დაახლოებით 30 წლის წინ, მაიკროსოფტის კომპანიამ მომხმარებელს ვინდოუსის პირველი სისტემა შესთავაზა, რომელსაც გრაფიკული დიზაინის პროგრამა ახლდა. მას შემდეგ ხატვის პროგრამას ბევრი ახალი ფუნქცია დაემატა, ძველი ფუნქციები დაიხვეწა და დღესდღეობით, ის საკმაო პოპულარობით სარგებლობს მოყვარულთა შორის.

არსებობს ვებ-გვერდი - www.deviantart.com/, სადაც მთელი მსოფლიოს ციფრული ხელოვნების მოყვარულები საკუთარი ნამუშევრებით იწონებენ თავს. სცადეთ, ვინ იცის, იქნებ თავადაც გაიჩინოთ მიმდევრები.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს გრაფიკული დიზაინის მოცემულ აქტივობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს (წრიული და სწორკუთხა ფორმების ჩასმა, ფერის არჩევა და ჩასხმა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფუნჯით მუშაობა (ფანჯრები), ფრაგმენტის მონიშვნა, კოპირება და ჩასმა – მაგალითად, ფანჯრები მხოლოდ ერთ სახლზეა დახატული. დანარჩენ სახლებში ისინი დაკოპირებულია და ჩასმული). მასწავლებელი მოსწავლეების თვალწინ ხატავს ფოიერვერკის რამდენიმე წრესა და ერთ სახლს ფანჯრებით. შემდეგ შეახსენებს მათ ნამუშევრისთვის სახელის დარქმევას და შენახვას. მოსწავლეები ხატავენ ფოიერვერკს ქალაქის თავზე, მაგრამ შენობები შეიძლება სხვადასხვაგვარი დახატონ.

აქტივობა:

მოსწავლეები გრაფიკული დიზაინის პროგრამაში ქმნიან ნახატს – ურბანულ პეიზაჟს ფოიერვერკით.

გრატაჟი

მიზანი:

შერეული ტექნიკის – გრატაჟის გაცნობა და ნამუშევრის შექმნა,
ექსპერიმენტირების, შემოქმედებითი აზროვნების, პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 1, 2, 4, 5, 8;
ს.გ.VI.2. - 1, 2, 3, 7.

ასათვისებელი ტერმინები:

გრატაჟი

მასალა:

სქელი სახატავი ფურცელი,
ფერადი ზეთოვანი ან ცვილოვანი პასტელები,
შავი ფერის გუაში ან ტუში,
ფუნჯი,
ცოტაოდენი თხევადი საპონი,
წვეტიანი ჩხირი.

ვიზუალური მასალა:

გრატაჟით შესრულებული ნამუშევრები
მსტისლავ დობუჟინსკის ნამუშევრები გრატაჟის ტექნიკით

გაკვეთილის მსვლელობა:

რეკომენდაციები მასალასთან დაკავშირებით:

სქელი ქაღალდი (თხელი მუყაო); წვეტიანი ჩხირი (ძველი კალამი, ხის ჩხირი, საძერწი დანის წვერი...); თხევადი საპონი (ხელის, ჭურჭლის სარეცხი სითხე, დაფხვნილი და წყალში გახსნილი ჩვეულებრივი საპონი. თუ მის რამდენიმე წვეთს გუაშში ან ტუშში გაურევთ, უკეთ მოეჭიდება პასტელის ფენას);

გარდა ინსტრუქციაში წარმოდგენილი ვარიანტისა (პირდაპირ შავ ფენაზე ნახატის ამოჩხაპნის), ასევე შეიძლება, ნახატი დახატონ თეთრ ფურცელზე, დაადონ შავ ფენას ზემოდან და წვეტიანი ჩხირი გადაატარონ ყველა ხაზს. შემდეგ ააცალონ თეთრ ფურცელზე ნახატი და შავ ფონზე აღბეჭდილი ჩანაჭდევი ხაზების გაყოლებაზე, ამოჩხაპნონ ნახატი.

აქტივობა:

მოსწავლეები, ინსტრუქციაში აღწერილი ეტაპების თანახმად, ქმნიან ნამუშევარს გრატაჟის ტექნიკით.

შემაჯამებელი კითხვები:

- მოგეწონათ გრატაჟის ტექნიკა?
- რა იყო ყველაზე რთული ამ ტექნიკით მუშაობისას? რატომ?
- რა იყო ყველაზე ადვილი? რატომ?
- რა გამოგივიდათ კარგად? როგორ მიაღწიეთ ამ ეფექტს?
- რას შეცვლიდით, ხელახლა რომ აკეთებდეთ?
- კიდევ რისი გამოსახვა გსურთ გრატაჟის ტექნიკით?

ჩინური განძი

მიზანი:

მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობასთან (ჩინეთის ხელოვნებასთან) გაცნობა, განსხვავებული კულტურების დაფასების უნარის გაღვივება,

ფუნჯით მუშაობის ტექნიკის ათვისება,

ფერის სიმუქე-სიღიავის კონტროლის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 3.

ს.გ.VI.5. - 1

მასალა:

შავი ფერის ტუში ან შავი და წითელი ფერის გუაშის საღებავები, ფუნჯი, ვიწრო და მოგრძო ფორმატის ქაღალდი.

ვიზუალური მასალა:

ბამბუკის ხატვის სახელმძღვანელო ხანმოკლე ვიდეოები დამწყებთათვის;

https://www.youtube.com/watch?v=qZjL59LZ-RQ

https://www.youtube.com/watch?v=iQKVlYhPnXA

ბამბუკის ფოტო;

ჩინური ნახატების ნიმუშები;

მე-16 საუკუნის ჩინელი მხატვრის ჰსუი ვეის დახატული ბამბუკი.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ჩინური ნახატების ილუსტრაციებსა და ბამბუკის ხატვის ტექნიკის ამსახველ მოკლე ვიდეო-გაკვეთილს შემოთავაზებული ბმულით (ორიდან რომელიმე). მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს სიტყვიერად ახსნან, თუ როგორ შეიძლება ფუნჯის ერთი უწყვეტი მოძრაობით სხვადასხვა სისქის მონასმის დახატვა, რის შემდეგაც შესთავაზებს მოსწავლეებს გაივარჯიშონ სავარჯიშო ფურცელზე - სცადონ ფუნჯით ბამბუკის ფოთლების მსგავსი მონასმების დახატვა.

სავარჯიშოს დასრულებისშემდეგ მოსწავლეები მოგრძო, ვიწრო ფორმატის თეთრ ქაღალდზე დახატავენ ბამბუკს.

აქტივობა:

შავი ტუშით ან გუაშით მოსწავლეები ხატავენ ბამბუკს.

დავით კაკაბაძის კოლაჟები

მიზანი:

კოლაჟის ტექნიკასთან გაცნობა,

არატრადიციული მასალებით მუშაობის, კონსტრუირებისა და სხვადასხვა ფაქტურების იმიტაციის შექმნის უნარების გაღვივება,

ქართულ ხელოვნებასთან (დავით კაკაბაძის შემოქმედებასთან) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 1, 2, 5, 7.

ს.გ.VI.6. - 3, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

კოლაჟი, აბსტრაქცია

მასალა:

თხელი და სქელი მუყაო, ფოლგა (ვერცხლის ქაღალდი), ფერადი ფურცლები, ლინზები, ჭანჭიკები, ზამბარები, ხისა და ლითონის დეტალები, ფლომასტერი, მაკრატელი, წებო პვა.

ვიზუალური მასალა:

დავით კაკაბაძის კოლაჟები (კონსტრუქციულ-დეკორატიული, აბსტრაქტული კომპოზიციები):

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს დავით კაკაბაძის ნამუშევრებს. იმართება დისკუსია, როგორ მიიღწევა მოძრაობის ეფექტი (დინამიკა) კაკაბაძის კოლაჟებში, როგორ თანაარსებობენ განსხვავებული ფაქტურები, რამ-დენადაა შეხამებული ჩარჩოები ნამუშევრებს. მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს თითო სქელი და თხელი მუყაოს ნაჭრებს, ფერად ქაღალდებს და მუყაოზე ცოტა მოზრდილ ფოლგის ნაჭერს, მაკრატელსა და წებოს (პვა) და გააცნობს მოსწავლეებს სამუშაოს თანმიმდევრობას.

აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან დეკორატიულ კომპოზიციას და მის შესაფერის ჩარჩოს ფოლგისა და ფერადი ქაღალ-დებისგან.

„ტრიალებს, ბრუნავს...“

მიზანი:

წარმოსახვის, შემოქმედებითობის განვითარება,

სივრცობრივი აზროვნების, სამგანზომილებიანი კონსტრუქციისა და მცირე პლასტიკის ნამუშევრის შექმნის უნარის გამომუშავება,

თანამშრომლობის, კომუნიკაციის უნარის განვითარება,

შერეული მასალით მუშაობის ტექმიკის ათვისება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. -9.

ს.გ.VI.2. -1, 2, 7

ს.გ.VI.3.1, 2, 3, 4, 5, 6.

ს.გ.VI.4. -1, 4.

ს.გ.VI.5. -3.

ასათვისებელი ტერმინები:

დინასტია

მასალა:

ფერადი პლასტილინი, ძველი ვინილის ფირფიტა ან წრიულად გამოჭრილი სქელი მუყაო, ქაღალდის ხელსაწმენდის რულონის გული, გრძელი, წვრილი, სწორი ჩხირები, ფერადი ქაღალდები, ბაწარი, ლენტები, მშრალი და თხევადი წებო პვა, სკოჩი, ელემენტები, ძრავა, მავთული, მაკრატელი, სტეპლერი.

ვიზუალური მასალა:

კარუსელი, მოსწავლეების ნამუშევრები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასალის ჩამონათვალი პირობითია. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა დაახვედროს მრავალფეროვანი მასალა. ბავშვები თავად უნდა დააკვირდნენ ილუსტრაციებს და მოიფიქრონ, როგორ და რა მასალით ურჩევნიათ კარუსელის შექმნა. ამ აქტივობისთვის შესაძლოა შეირჩეს ხელმისაწვდომი, მეორადი მასალა. მაგალითად:

- ჩხირებად შეიძლება ჯოხების, ფანქრების, საწრუპავი ჩხირების გამოყენება.
- ვინილის ფირფიტას შეცვლის წრიულად გამოჭრილი მუყაო ან პენოპლასტი.
- ქაღალდის ხელსაწმენდის რულონს შეცვლის ჩიპსების კოლოფი, ან თხელი მუყაოსგან გაკეთებული ცილინდრი.
- ვინილის დიდ ფირფიტაზე ეტევა დაახლოებით 10 ფიგურა (ორი ნაჭერი პლასტილინი ყოფნის 4X6 ს.მ. ზომის ერთ ნაკეთობას.
- შეიძლება, კლასმა ორი კარუსელი შექმნას – ერთი პლასტილინის ფიგურებით, მეორე – მუყაოს ბრტყელი ცხოველებით.

- პლასტილინის ფიგურების ნაცვლად მოსწავლეებს შეუძლიათ ფიგურები დახატონ მუყაოზე, გამოჭრან და მოხატონ.
- ქოლგის დამჭერ საფუძვლად გამოდგება ერთჯერადი თეფში.
- თუ კარუსელის ძრავით დატრიალება არ გამოვა შეიძლება ის ძველ ფირსაკრავზე დაატრიალეს.
- კარუსელის ქოლგა შეიძლება განათდეს საახალწლო განათების გირლიანდით.

კარუსელის ძრავით მექანიზირების მარტივი ხერხის ამსახველი ვიდეო:
https://www.youtube.com/watch?v=5_79KBlKeKA

აჯობებს, თუ მოსწავლეები იმუშავებენ წყვილებად ან ჯგუფებად. საშინაო დავალებად მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, დაიყონ ჯგუფებად და დათქმული ვადაში გააკეთონ ატრაქციონების პარკის მაკეტი პარადული კარიბჭით, სხვადასხვა ატრაქციონით – საქანელებით, ეშმაკის ბორბლით, ტირით, სერსოთი, მათთან მისასვლელი ბილიკებით, ასევე - ნაყინის გამყიდველით, დასასვენებელი სკამებით, გამწვანებით და სხვა. პირველი აქტივობა - კარუსელის დამზადება ხანგრძლივ პროექტად გადაიქცევა, რომლის დროსაც, მოსწავლეები შექმნიან ურთიერთდაკავშირებული, სამგანზომილებიანი კონსტრუქციებისგან შემდგარ მთელ კომპლექსს.

აქტივობა:

მოსწავლეები აკეთებენ კარუსელის მოდელს. ამის შემდგომ გაკვეთილებზე მათ შეუძლიათ „გააფართოონ“ საქმე და შექმნან მთელი გასართობი პარკი ატრაქციონებით.

ექსლიბრისი

მიზანი:

ექსლიბრისის რაობასთან და დამზადების ტექნიკასთან გაცნობა

შედეგი:

ს.გ.VI.2. - 1, 2, 3..
ს.გ.VI.4. - 2, 3, 4, 5

ასათვისებელი ტერმინები:

ფორზაცი
ინიციალი

მასალა:

სახატავი ფურცელი
ფანქარი
თიხა ან პლასტილინი, რომელიც შრება
ხის ჩხირი
პლასტილინის დანა
1 ფერის გუაში
ღრუბელი

ვიზუალური მასალა:

ექსლიბრისების ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები გაეცნობიან ექსლიბრისის ისტორიას და უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს:

- რა არის ექსლიბრისი და რა დანიშნულება აქვს მას?
- რომელ ჟანრს მიეკუთვნება ექსლიბრისი?
- რა განსხვავებაა ექსლიბრისსა და სხვა გრაფიკულ სურათებს შორის?
- როგორ მზადდება ექსლიბრისი?
- თქვენ რომ აკეთებდეთ ექსლიბრისს, რა მასალას და ტექნიკას გამოიყენებდით?

მოსწავლეები დაათვალიერებენ ცნობილი ადამიანების ექსლიბრისებს და შეეცდებიან ამოიცნონ, თუ რას მოგვითხრობს ყოველი ექსლიბრისი მისი პატრონის შესახებ.

წიგნი არ არის მხოლოდ აკინძული ფურცლები ნაბეჭდი ტექსტით. ზოგიერთი წიგნი შეიძლება ხელოვნების ნაწარმოებადაც ჩაითვალოს, მათი გაფორმების გამო.

- ერთი და იგივე შინაარსის წიგნებიდან რომელს შეიძენთ და რომელს წაიკითხავთ მეტი სიამოვნებით, კარგ ქაღალდზე დაბეჭდილს და ლამაზად გაფორმებულს თუ უბრალოს, უღიმღამოს?

- ვინ ზრუნავს წიგნის გაფორმებაზე?

წიგნებს აფორმებენ მხატვრები: ხატავენ ილუსტრაციებს, ალამაზებენ გვერდებს ორნამენტით და სხვა მოსართავებით. განსაკუთრებით ზრუნავენ წიგნის ყდის გაფორმებაზე – წიგნის ყდა ხომ წიგნის სახეა.

ორი ერთნაირი შინაასის წიგნიდან, მეტად ფასობს ის, რომელიც უკეთაა გაფორმებული.

ორი ერთნაირად გაფორმებული წიგნიდან კი, წიგნის მოყვარულები უპირატესობას ექსლიბრისიან წიგნს მიანიჭებენ, რადგან იგი უბრალოდ კარგი წიგნი აღარ არის. ექსლიბრისიან წიგნს გააჩნია თავისი ბიოგრაფია – იგი თავისი ეპოქის, ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მფლობელების ისტორიის მესაიდუმლეა.

ექსლიბრისიან წიგნებს განსაკუთრებული ფასი აქვთ. მათი კოლექციებით არა ერთი ბიბლიოთეკა თუ მუზეუმი ამაყობს. კოლექციონერები კი, დღემდე ეძებენ საინტერესო ბიოგრაფიების მქონე წიგნებს, რომლებსაც ექსლიბრისების წყალობით პოულობენ.

აქტივობა 1:

მოსწავლეები 4X4სმ. კვადრატულ ფურცელზე დახატავენ საკუთარი ექსლიბრისის ესკიზს.

ესკიზი უნდა შეიცავდეს ავტორის სახელსა და გვარს, წარწერას „წიგნებიდან“ (მაგ. ნიკო ჩხეიძის წიგნებიდან) ან „ex libris“ (მაგ. ex libris ნიკო ჩხეიძე) და ავტორის ინტერესების გამომხატველ რაიმე ნიშანს ან ნახატს.

აქტივობა 2:

მოსწავლეები მოამზადებენ თიხის ფირფიტას გრავირებისთვის:

მოჭრიან ესკიზის შესაფერისი ზომის სქელ, ოთხკუთხა პლასტილინის ან თიხის ნაჭერს და გადაასწორებენ მის ზედაპირს.

დაადებენ თიხის ნაჭერს ესკიზს და ხის წვრილი ჩხირით ან წვეტიანი ფანქრით გადაიტანენ თიხაზე ნახატს.

ხის ჩხირით ან წვეტიანი ფანქრით ამოტვიფრავენ, ჩაჭყლიტავენ, ამოფხეკენ ესკიზის იმ ნაწილებს, რომლებიც ბეჭდვის დროს თეთრი უნდა დარჩეს (შესაბამისად, ამობურცული ადგილები შავად დაიბეჭდება).

მოსწავლეები მოსინჯავენ, თუ როგორი ანაბეჭდი მიიღება მათი ნამუშევრით – ღრუბელს გაჟღენთენ საღებავით, დაადებენ მას პლასტილინის ფილას ისე, რომ საღებავი კარგად მოედოს გრავირებული ზედაპირის ყველა მონაკვეთს და გააკეთებენ რამდენიმე ანაბეჭდს სახატავ ფურცელზე.

მოსწავლეები დაათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, ეცდებიან ამოიცნონ მეგობრების ჩანაფიქრი, აუხსნიან ერთმანეთს, თუ რა გამოსახეს, რა აზრი ჩააქსოვეს თავიანთ ექსლიბრისებში.

მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს, აცალონ თიხას გაშრობა და მერე მოიხმარონ ექსლიბრისები თავიანთი წიგნების დასანიშნად.

შრიფტის დიზაინი

მიზანი:

ერთობლივი ნამუშევრის შექმნის, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარი; კალიგრაფიის გამომუშავება, ქართულ შრიფტებთან გაცნობა, ქართული ხელნაწერების მხატვრული გაფორმების სპეციფიკასთან გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 2, 4, 8;
ს.გ.VI.3. - 1, 3, 4, 5;
ს.გ.VI.6. -1, 4.

მასალა:

A4 ფორმატის ფურცლები, ამავე ზომის ორი თხელი მუყაო, უბრალო ფანქრები, ფერადი ფანქრები.

ვიზუალური მასალა:

ქართული დამწერლობის ნიმუშები;
ალავერდის ოთხთავის თავსამკაული, 1054 წელი;
ალავერდის ოთხთავი, 1054 წელი;
მარტვილის ოთხთავის საზედაო ასო, მე-11 ს;
ვანის ოთხთავი მე-12-13 სს;
ქართულ ხელნაწერთა საზედაო ასოები გელათის ოთხთავიდან. მე-12 ს.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- რა არის შრიფტი? რა იცით მის შესახებ?

სახელმძღვანელოში ტექსტის გაცნობის შემდეგ, მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს დახატონ სანიუშო პლაკატები, რომლებზეც ჩამოწერენ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ტერმინებსა და მათ განმარტებებს.

მოსწავლეები დაიყოფიან ჯგუფებად. ყოველი ჯგიფუ დახატავს ერთ თემატურ პლაკატს, რისთვისაც მასწავლებელი გაანაწილებს ჯგუფებში თემებს (მაგ. „სახვითი ხელოვნების დარგები“, „სახვითი საშუალებები (ელემენტები)“, „სახვითი ხერხები (პრინციპები)“ და სხვა).

პლაკატზე უნდა დაიწეროს სათაური. ტერმინები და მათი განმარტებები უნდა განსხვავდებოდეს გაფორმებით ან ასოების მოხაზულობით.

აქტივობა:

მოსწავლეები მოძებნიან და ამოიწერენ სახელმძღვანელოში გაფანტულ ტერმინებს, ან მოიძიებენ მათ სხვა წყაროებიდან.ტერმინებს და მათ განმარტებებს დაწერენ კალიგრაფიულად, მხატვრულად გააფორმებენ საზედაო ასოებს, თითოეულ ფურცელს გაუკეთებენ ორნამენტულ ჩარჩოს, დაალაგებენ ტერმინების ანბანური თანმიმდევრობით და გააკრავენ პლაკატებს კლასში.

რეკომენდაცია: თუ სკოლაში რამდენიმე პარალელური კლასია, პლაკატების თემები კლასებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს. ტერმინები უნდა ამოიკრიბოს 3-4-5-6 კლასების სახელმძღვანელოებიდან.

გერბი და ჰერალდიკა

მიზანი:

მსოფლიოს ქვეყნების გერბების გაცნობა, სამყაროს მრავალფეროვნების გაცნობიერება,
განსხვავებული კულტურებისადმი პატივისცემის გაღვივება,
იდეის სიმბოლოებით გადმოცემის უნარის განვითარება,
შემოქმედებითობის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 4, 8;
ს.გ.VI.2. - 3;
ს.გ.VI.4. - 1, 2.
ს.გ.VI.5. - 5.

ასათვისებელი ტერმინები:

გერბი, ჰერალდიკა, ამქარი, პილიგრიმები (მორწმუნე მოგზაურები, რომლებიც წმინდა ადგილებში მიემართებიან სალოცავად), დევიზი (იდეის გამომხატველი მოკლე გამონათქვამი).

მასალა:

სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

ვიზუალური მასალა:

გერბებისა და შუა საუკუნეების ევროპელ ხელოსანთა ამქრების გერბების რამდენიმე ნიმუში.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ილუსტრაციებს:

- რა არის გამოსახული საქართველოს გერბზე?
- რა არის გამოსახული ხელოსანთა ამქრების გერბებზე და ვის ეკუთვნოდა ესინი? რატომ თვლით ასე?
- რომელი გერბი მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?

ნებისმიერ გერბს აქვს ფარის ფორმა.

მასწავლებელი დაფაზე დახატავს გერბების კონტურულ ფორმებს და დაავალებს მოსწავლეებს, სიმბოლოების გამოყენებით, შექმნან გერბები შემოთავაზებულ თემებზე (სკოლის, კლასის, მეგობართა ჯგუფის, საკუთარი ოჯახის, სელოვნების მოყვარულთა და სხვა).



მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ის დეტალები რაც ახასიათებს მათ ოჯახს (ოჯახის საერთო ინტერესები, გატაცებები, ოჯახის წევრების საქმიანობა), კლასს (სწავლა, ასაკი, საერთო ინტერესები), სკოლას (ერთობა, სწავლა...), ხელოვნებით გატაცებას (საღებავით დასვრილი ხელები, ფუნჯები...).

შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი სიმბოლოები ასახავს ამ ცნებებს (სახლი, ოჯახის საქმიანობის, მეგობრების ინტერესების ამსახველი საგნები, წიგნი, პალიტრა, ფუნჯი და ა.შ.).

გერბი შეიძლება დაიყოს ნაწილებად (უჯრებად) და თითო სიმბოლო თითო უჯრაში ჩაიხატოს იმ ფერებით, რომლებიც, მათი აზრით, უკეთ გამოხატავს შინაარსს.

დასკვნითი ეტაპი – დევიზის მოფიქრებაა.

საშინაო დავალება:

მოიძიეთ მსოფლიოს სახელმწიფოების გერბები, შეარჩიეთ ერთი, რომელიც მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. დახატეთ რვეულში და შემდეგ გაკვეთილზე წარუდგინეთ კლასს და ახსენით, რით მიიპყრო მან თქვენი ინტერესი.

აქტივობა:

მოსწავლეები ქმნიან გერბს და წარუდგენენ მას თანაკლასელებს.

მსჯელობენ, რამდენად გასაგებად გამოიყენეს სიმბოლოები, რამდენად გამოხატავენ ისინი ჩანაფიქრს.

ანტიკვარი

მიზანი:

ხელოვნების ზოგადად და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სამყაროს შესახებ ცოდნის გაღრმავება,
ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიებთან გაცნობა,
ანტიკვარის პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვა,
შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.4. - 2, 3, 4;
ს.გ.VI.5. - 1, 3, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ანტიკვარი, ანტიკვარიატი, არტეფაქტი, რარიტეტი, რელიქვია.

მასალა:

ტვინი, წიგნი, ინტერნეტი, საწერი ქაღალდი, კალამი.

ვიზუალური მასალა:

ადოლფ რეიხისა და ფრანსუა ადოლფ გრისონის სურათები

გაკვეთილის მსვლელობა:

დავალების შესასრულებლად და სასურველი ინფორმაციის მოსაძიებლად მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს ქართულენოვან ინტერნეტბმულებს – (აქტიური ბმულები რესურსებში)

სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ავეჯის დიზაინის შესახებ:

http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/studentis-saxelmzgvanelo-avejis-konstruireba.pdf

http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/studentis-saxelmdzgvanelo-xis-mxatvruli-damushaveba.pdf

http://www.shin.ge/index.php?option=com_content&view=article&id=857:divnebi-romlebits-modidan-arasdros-gadava&-catid=16&Itemid=188

http://www.shin.ge/index.php?option=com_content&view=article&id=431:aveji-ludoviko-mdidari-patardzlebis-mzitvi-da-pu-punebis-sagani&catid=16:aveji&Itemid=188

კუზნეცოვის, პოპოვის, გარდნერის ფაიფური:

http://www.tbiliselebi.ge/?mas_id=11537&rubr_id=6&jurn_id=33

http://tbiliselebi.ge/?mas_id=268441539&year=2014&rubr_id=6&jurn_id=22

დადიანების სასახლის კოლექცია:

https://burusi.wordpress.com/2009/06/22/dadiani-2/

ლუის კომფორტ ტიფანი:

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2_%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

ლუის კომფორტ ტიფანი, ჩარლზ რენი მაკინტოში, ლუი მაჟორელი, ემილ გალე, ვიქტორ ჰორტა, რენე ლალიკი, დაუმების მინის საწარმო:

http://sophie-keburia.blogspot.com/2011/01/7-1868-10-1928.html

ქართული ფაიფურის ისტორია:

http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/168-2014-11-19-16-38-53.html

კარლ ფაბერჟე:

https://ketusi.wordpress.com/2012/04/07/eggs1/

https://ketusi.wordpress.com/2012/04/16/eggs2/

https://ketusi.wordpress.com/2012/04/17/egg3/

ტექსტის კითხვისა და ვიზუალური მასალის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ დავალებას.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეები ეწვევიან რომელიმე ადგილობრივ მუზეუმს (თბილისში – თბილისის მუზეუმ-ქარვასლა, წინანდალში ჭავჭავაძეების სასახლე, ზუგდიდში – დადიანების სასახლე და სხვ.), სადაც ისინი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს ნახავენ.

აქტივობა:

მოსწავლეები თამაშობენ როლურ თამაშს – ანტიკვარის სახელით, წერილობით სთავაზობენ კოლექციონერს გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე ნივთის შეძენას (აღწერითა და დახასიათებით).

პროფესია – გალერისტი

მიზანი:

სახელოვნებო სამყაროში არსებულ პროფესიებთან გაცნობა;
ნამუშევრის შეფასების და მასზე მსჯელობის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.4. - 1, 2, 3, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

იმპრესიონიზმი
ბურჟუა
მენეჯერი

მასალა:

მოსწავლეების ადრინდელი ნამუშევრები, საწერი ფურცელი, კალამი.

ვიზუალური მასალა:

პოლ დიურან-რუელის ფოტო
ოგიუსტ რენუარის პოლ დიურან-რუელის პორტრეტი

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ გაკვეთილს ორი აკადემიური საათი დასჭირდება.

- მასწავლებელი სვამს კითხვას – გიფიქრიათ იმაზე, თუ ვინ წყვეტს, რა არის ხელოვნება და რა – არა? ვინ არის კარგი მხატვარი და ვინ არა? ვისი სახელი შემორჩება ისტორიას? ვინ ადგენს, როგორი უნდა იყოს ნაწარმოები, რომ ის შედევრად ვაღიაროთ? მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, რის შემდეგაც გაეცნობიან ტექსტს სახელმძღვანელოში.

ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი დასვამს შეკითხვას:

- რა თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ გალერისტს? (მოსწავლეების კარნახით დაფაზე ჩამოწერს: ა) კარგი ალღო, რომ განსხვავებულ, ახლებურ ნამუშევარში იგრძნოს ხელოვნების ღირებული, საინტერესო ნაწარმოები; ბ) ზრუნავდეს ახალგაზრდა ხელოვანისთვის სახელის შექმნაზე; გ) დაარწმუნოს ხელოვნების კრიტიკოსები, ჟურნალისტები, კოლექციონერები და ფართო საზოგადოება, რატომ იმსახურებს ამ მხატვრის შემოქმედება ყურადღებასა და დაფასებას; დ) მოაწყოს გამოფენები; ე) გაუთქვას სახელი არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ მოუპოვოს საერთაშორისო აღიარება (დიურან-რიუელმა ამერიკას გააცნო იმპრესიონისტების შემოქმედება).

მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით, მოსწავლეები შეარჩევენ საკუთარ საუკეთესო ნამუშევარს და აწყობენ გამოფენას. ამავე გაკვეთილზე, თითოეული აირჩევს მეგობრის ერთ ნამუშევარს და წერს მის შესახებ დადებით რეცენზიას.

- მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეები წაიითხავენ რეცენზიას და წარუდგენენ კლასს მეგობრის ნამუშევარს. წარდგენისას ტერმინების გამოყენებით ისაუბრებენ ნამუშევრის ჩანაფიქრის, შესახებ, შინაარსზე, ჟანრზე,

დარგზე, მასალაზე, ტექნიკაზე, აღძრულ შთაბეჭდილებებზე, განწყობილებაზე, გამოყენებულ პრინციპებ-ზე, ელემენტებზე, ხერხებზე (რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის ხაზი, ფერი, ფორმა, კომპოზიციური განაწილება და სხვ.) და საკუთარ დამოკიდებულებაზე ნამუშევრის მიმართ.

აქტივობა:

მოსწავლეები ამოირჩევენ ერთმანეთის ნახატებს (თითო მოსწავლის თითო საუკეთესო ნამუშევარი საკუთარი არჩევანით), დაწერენ ამ ნამუშევარზე რეცენზიას (1 გვერდი). გადარჩეული ნამუშევრებით მოეწყობა გამოფენა, რომელზეც მოსწავლეები წარუდგენენ კლასს მათ მიერ შერჩეულ ნამუშევარს და წაიკითხავენ მომზადებულ რეცენზიებს.

პროფესია – კურატორი

მიზანი:

ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიების შესახებ ცოდნის გაღრმავება,
გამოფენის მოწყობისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.3. - 1, 2, 3, 4, 5, 6;
ს.გ.VI.4. 2, 3, 4, 5;
ს.გ.VI.5. - 1, 3, 5;
ს.გ.VI.6. - 1, 2, 3, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

სპონსორი,
ექსპოზიცია
კატალოგი

მასალა:

არჩევანის მიხედვით.

ვიზუალური მასალა:

პონტიუს ჰიულტენის მიერ მოწყობილი საგამოფენო სივრცის პროექტი

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლის წიგნში ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- რა თვისებები უნდა ჰქონდეს კურატორს? (განათლება, კომუნიკაბელურობა, შემოქმედებითი აზროვნება, შრომისმოყვარეობა).
- ისურვებდით კურატორობას? რამ მოგხიბლათ ან რა არ მოგეწონათ კურატორის საქმიანობაში?
- რა თემას შეარჩევდით, გამოფენის მოწყობა რომ შეგეძლოთ?
- როგორ წარმოაჩენდით ამ თემას, ამომწურავიც რომ იყოს და სანახაობრივიც?

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეარჩიონ თემა და თანაკურატორობით, ერთობლივი ძალებით, მოაწყონ გამოფენა რომელიმე ქართველი შემოქმედის, ხელოვანთა თაობის, ახლოს მდებარე არქიტექტურული ან სკულპტურული ძეგლის, ან ადგილობრივი ხალხური რეწვის შესახებ. თემის არჩევის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გაინაწილონ მოვალეობები.

- შეაგროვონ მასალა (ნიმუშები, ფოტოები, საგაზეთო და საჟურნალო სტატიები, აფიშები, წიგნები, ნივთები, დოკუმენტები, დოკუმენტური ფილმები ან ვიდეოკადრები და სხვ.
- შეარჩიონ საგამოფენო სივრცე და მოაწყონ მასალის უკეთ წარმოსაჩენად.
- გამოფინონ მასალა, მოაწყონ კუთხე (მხატვრის სახელოსნოს იმიტაცია სამუშაო იარაღებით (მოლბერტი,

პალიტრა, ფუნჯები, სახასიათო აქსესუარები და სხვ.).

- ექსპონატებს დაურთონ განმარტებითი ტექსტები.
- დაწერონ ტექსტი, გადაიღონ ექსპონატების ფოტოები და შეადგინონ გამოფენის კატალოგი.
- შექმნან გამოფენის აფიშა და მოსაწვევები.
- მოიწვიონ სტუმრები და მოაწყონ დისკუსია.
- თუ თემად შეარჩევენ ადგილობრივი რეწვის რომელიმე დარგს, მოაწყონ ვორკშოპი (კალათების წნა, თიხის ქოთნების ძერწვა, ქარგვა, ქსოვა, თექის დამზადება, ხეზე კვეთა და სხვ.)

აქტივობა:

მოსწავლეები აწყობენ გამოფენას.

განთქმული ფალსიფიკატორი

(2 აკად. სთ)

მიზანი:

ხელოვნების სამყაროს შესახებ ცოდნის გაღრმავება, ასლის შესაქმნელად ბადის მეთოდის ათვისება, შემოქმედებითი წერა, მსოფლიოს ხელოვნების შედევრებთან (იან ვერმეერისა და პიტერ დე ჰოოხის შემოქმედებასთან) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.1. -2, 4, 9;
ს.გ.VI.2. -1, 2;
ს.გ.VI.5. -1.

ასათვისებელი ტერმინები:

ფალსიფიკაცია,
იმიტაცია.

მასალა:

სახატავი ფურცელი, უბრალო ფანქარი, სახაზავი, გუაში, პალიტრა, ფუნჯი, წყალი, ცნობილი ფერწერული ნამუშევრების ფერადი რეპროდუქციები, ამობეჭდილი გასაფერადებელი სქემები.

ვიზუალური მასალა:

იან ვერმეერის ნამუშევარი „გეოგრაფი“;
ჰანს ვან მეეგერენის ყალბი, „ვერმეერის“ „ქრისტე ემაუსში“;
პიტერ დე ჰოოხის „ბანქოს მოთამაშენი“;
ჰანს ვან მეეგერენის ყალბი, „პიტერ დე ჰოოხის“ „ბანქოს მოთამაშენი“;
ცნობილი ნამუშევრების გასაფერადებელი სქემები
ვერმეერის „გოგონა მარგალიტის საყურით“ სქემა ბადითურთ;
ვერმეერის „გოგონა მარგალიტის საყურით“;
ვერმეერის „ქალი, რომელიც წერილს წერს“;
გაბრიელ მეტსიუს „მამაკაცი, რომელიც წერილს წერს“.

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ გაკვეთილს დაჭირდება 2 აკად. საათი.

საქმეს დიდად გააადვილებს ბადის მეთოდი. მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება, თუ მასწავლებელი წინასწარ ამობეჭდავს და გაამრავლებს ცნობილი ნამუშევრების გასაფერადებელ სქემებს.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- როგორ მოახერხა ჰანს ვან მეეგერენმა ცნობილი მხატვრების მანერის იმიტირება? რითი ჰგავს მისი ნამუშევრები მხატვრების ორიგინალებს?

მოსწავლეები მსჯელობენ, რომ გარდა მსგავსი სამოსისა და მე-17 საუკუნის ნიდერლანდური ინტერიერისა, მეეგერენმა გამოიყენა მსგავსი ფერები და განათება.

შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს ბადის მეთოდს, ურიგებს მათ ცნობილი მხატვრების ნამუშევრების ფერად რეპროდუქციებს (მარტივს), ამობეჭდილ გასაფერადებელ სქემებს და მოსწავლეები იწყებენ ასლების ხატვას.

ინსტრუქცია:

I გაკვეთილის აქტივობა:

- დაბეჭდილი სქემის გრძივ და განივ კიდეებზე უბრალო ფანქრითა და სახაზავით, მკრთალად მონიშნეთ 2 სმ. სიგრძის მონაკვეთები.
- მონაკვეთებს შორის მკრთალად გაავლეთ ხაზები ისე, რომ გამოვიდეს ჭადრაკული წყობის ბადე.
- თითოეული გრძივი ხაზი კიდეზე დანომრეთ ციფრებით, სიგანეზე – მიაწერეთ ასოები, როგორც ჭადრაკის დაფას.
- ასეთივე ბადე დახაზეთ სუფთა სახატავ ფურცელზე. ისიც დანომრეთ გრძივ კიდეზე და მიუწერეთ ასოები განივ კიდეზე.
- ამობეჭდილი სქემის გამოსახულების კოორდინატები გადაიტანეთ სუფთა ბადეზე (როგორც ჭადრაკის დაფაზე აღნიშნავენ ფიგურის პოზიციას ან ზღვაში გემის ადგილმდებარეობას, ან რუკაზე გეოგრაფიული ობიექტის ადგილს).
- როდესაც ნახატს მთლიანად გადაიტანთ, წაშალეთ ბადე (დამხმარე ხაზები).
- შეაზავეთ პალიტრაზე ორიგინალის შესატყვისი ფერები და დაფერეთ თქვენი ასლი.

II გაკვეთილის აქტივობა: მოსწავლეები კითხულობენ საშინაო დავალებას – „წერილი ჰოლანდიიდან“.

აქტივობა:

ბადის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები დახატავენ ვერმეერის ნამუშევრის „გოგონა მარგალიტის საყურით“ ასლებს.

მეორე გაკვეთილის შემდეგ, საშინაო დავალებად მასწავლებელს შეუძლია მისცეს ვერმეერის ნამუშევრების („მერძევე“, „წერილი“, „გოგონა მარგალიტის საყურით“ და „ასტრონომი“) ონლაინ გასაფერადებელი. პალიტრა მოცემულია მარცხნივ. მოსწავლემ უნდა დააწკაპუნოს ფერზე, შემდეგ გასაფერადებელ არეზე. ბმულზე შესაძლებელია ნამუშევრის შენახვა, გაზიარება (ელექტრონულად გაგზავნა), ამობეჭდვა და ხელახლა გაფერადება. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს უფასოდ დარეგისტრირებაში.

ბმულები:

http://www.thecolor.com/Coloring/johannes-vermeer-girl-reading-a-letter.aspx

http://www.thecolor.com/Coloring/johannes-vermeer-milkmaid.aspx

http://www.thecolor.com/Coloring/johannes-vermeer-girl-with-the-pearl-earring.aspx

http://www.thecolor.com/Coloring/johannes-vermeer-the-astronomer.aspx

V თემა: ისტორიები

როგორ შენდებოდა ეკლესიები

(ქოროღოს რელიეფები)

მიზანი:

შუა საუკუნეების ქართული რელიეფის შესახებ ცოდნის შეძენა,
რელიეფის დარგისა და დაბალი რელიეფის შესახებ წარმოდგენის გაღრმავება,
ეკლესიის მშენებლობაში ჩართული ადამიანების შრომით საქმიანობაზე წარმოდგენის შექმნა,
თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 4, 9.
ს.გ.VI.2. - 1, 2, 4, 7.
ს.გ.VI.3. - 1, 2, 3, 4, 5, 6.
ს.გ.VI.5. - 1, 2, 3, 4, 5.
ს.გ.VI.6. - 1, 3.

ასათვისებელი ტერმინები:

დაბალი რელიეფი,
კარნიზი,
ფასადი

მასალა:

მუყაოს ვიწრო გრძელი ზოლი, მისივე სიგანის მუყაოს კვადრატული ნაჭრები, უბრალო ფანქარი, პლასტილინი, საძერწი დაფა, საძერწი დანა.

ვიზუალური მასალა:

ქოროღოს ეკლესიის რელიეფები

გაკვეთილის მსვლელობა:

საქართველოს ეკლესია-მონასტრების კედლებზე ხშირად წააწყდებით კედელში ჩაყოლებულ ქვას რელიეფური გამოსახულებით, რომელზეც ამა თუ იმ ნიშნით, ადვილად ამოიცნობთ მშენებელის გამოსახულებას.

მშენებელთა რელიეფები გამოსახულია: მცხეთის ჯვრის მონასტერი, საფარის მონასტრის მიძინებისა და წმ. საბას ეკლესიები, სხვავას წმ. სამების ეკლესიის ფილა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, სვანეთში – ლუჰას წმ. გიორგის ეკლესია, სვეტიცხოველში – დიდოსტატის მარჯვენა ხელში გონიოთი და მშენებელთა ჯგუფი, ერთაწ-მინდისა და მირტაშნის ეკლესიები, ზარზმის სამრეკლო, ნაისას წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რუისი, ატენის სიონი და სხვ.

აქტივობა 1:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და პოულობენ ილუსტრაციებზე შესაბამის სცენებს.

მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს, თუ, რა გაიგეს ახალი მშენებლობის შესახებ, რითი განსხვავდება შუა საუკუნეების მშენებლობის პროცესი თანამედროვე მშენებლობისგან (საქმეში ჩართულია ამწეები, ბეტონის ასარევი მანქანები, უსაფრთხოებისთვის მუშებს ახურავთ ჩაფხუტები და სხვ.)

მასწავლებელი აზუსტებს, როგორ გაიგეს ცნება „დაბალი რელიეფი" ("მაღალი რელიეფი" მეტადაა ამოზიდული ფონიდან).

მასწავლებელი სთხოვსმოსწავლეებს ახსნან განსხვავება რელიეფსა და მრგვალ ქანდაკებას შორის.

აქტივობა 2:

მოსწავლეები ჩამოთვლიან და ჩამოწერენ მათი სკოლაში გატარებული ერთი დღის (სკოლაში მისვლიდან ბოლო ზარის ჩათვლით -გაკვეთილები, დასვენებაზე თამაში, სადილი და ა.შ.) საქმიანობის თანმიმდევრობას. გაინაწილე-ბენ სასწავლო დღის სცენებს და თითო წყვილი პლასტილინით, მუყაოს კვარდატულ (ერთნაირი ზომის) ნაჭერზე შექმნის დაბალ რელიეფს ერთი სასკოლო დღის თითო ეპიზოდით .

გამზადებულ სცენებს დააწებებენ მუყაოს ვიწრო გრძელ ზოლზე და გამოფენენ კლასში.

ბერძენი მეთუნეები

მიზანი:

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და ძველი ბერძნული ხელოვნების შესახებ ცოდნის გაღრმავება,

შერეული მასალებით (ზეთოვანი პასტელი და აკვარელი) მუშაობის გამოცდილების შეძენა, მასალის შესაძლებლობების ათვისება.

შედეგი:

ს.გ.VI.1.- 4, 8, 9.

ს.გ.VI.2. 1, 5, 8.

ს.გ.VI.5. 1, 3, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

კერამიკა,

მეთუნეობა,

ტერაკოტა

მასალა:

თეთრი ფერის ქაღალდი, შავი ან აგურისფერი ზეთოვანი პასტელი, აგურისფერი ან შავი ფერის აკვარელის საღებავი, ფუნჯი, წყალი, მაკრატელი

ვიზუალური მასალა:

ბერძნული კერამიკის ნიმუშები

პელიკა მერცხლით

თასი დიონისეს მითით

მეანდრის ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა:

შესაძლოა, გაკვეთილს ორი აკადემიური საათი დასჭირდეს.

თანამედროვე ეპოქაში ცხოვრების ტემპი აჩქარდა. ადამიანები ვერ ასწრებენ სამსახურიდან სადილად სახლში მისვლას და ზოგჯერ ქუჩაში სწრაფი კვების ობიექტებს მიაშურებენ ხოლმე. იქ კი, ხშირად, ქაღალდის ჭურჭლით მიირთმევენ ულუფას. სულ უფრო იშვიათად ვიყენებთ ფაიფურის ჭურჭელს. არადა, რა სასიამოვნოა ლამაზად მოხატული თეფშიდან საკვების მიღება!

ჭურჭელი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგს განეკუთვნება. დღეს ძველი ბერძნულ თიხის ოსტატების - მეთუნეების ხელოვნებას გავეცნობით. დაათვალიერეთ ბერძნული ჭურჭლის ნიმუშები. ყურადება მიაქციეთ მათ ფორმასა და მოხატულობას. ორნამენტების გარდა, ბერძნები ჭურჭელზე ფიგურულ კომპოზიციებსაც ხატავდნენ, რომელთა სიუჟეტებს იღებდნენ როგორც მითებიდან, ასევე ყოველდღიური ცხოვრებიდან.

სამუშაოს თანმიმდევრობა:

- ამოირჩიეთ ძველი ბერძნული ჭურჭლის რომელიმე სახეობა.
- დაფიქრდით, თქვენს მიერ შერჩეულ სახეობას, ფორმის მიხედვით, ქაღალდის როგორი ორიენტაცია მოუხდება – ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური?
- ქაღალდის შუაში გაავლეთ სიმეტრიის ღერძი.
- ღერძის ორივე მხარეს, თანაბარი დაშორებით მონიშნეთ ჭურჭლის ძირის, ფეხის, მუცლის, ყელისა და პირის შესაბამისი წერტილები.
- ერთიანი ხაზით დააკავშირეთ ეს წერტილები ერთმანეთს, რომ ჭურჭელი სიმეტრიული გამოვიდეს.
- დახედეთ მეანდრის ორნამენტების ვარიანტებს. უბრალო ფანქრით მონიშნეთ ნახატზე ზოლები და ჩახატეთ ზოლებში მეანდრისა და პალმეტების ორნამენტები. ჭურჭლის ყველაზე განიერი ადგილი – მუცელი, შეიძლება ფიგურულმა კომპოზიციამ დაიკავოს. თემა თავად შეარჩიეთ, ოღონდ ერიდეთ დეტალებს. გამოსახულება სილუეტური უნდა იყოს.
- მოწითალო აგურისფერი ზეთოვანი პასტელი გადაატარეთ ფანქრით დახატულ ორნამენტსა და ფიგურებს. ფიგურების სილუეტები მთლიანად შეავსეთ პასტელით.
- შავი ფერის აკვარელის საღებავი გადაუსვით ფუნჯით მთელ ნახატს. ნუ მოერიდებით პასტელით დახატულ ორნამენტს. თამამად გადაუსვით ზედ აკვარელი. ცხიმიანი პასტელი წყალს არ იკარებს. ასე რომ, ნახატზე აკვარელი არ გაჩერდება – ის შეუღებავი დარჩება, ფონი კი შავად დაიფერება..
- როგორც კი აკვარელი გაშრება, გამოჭერით ჭურჭელი და ბერძნული კერამიკის საერთო სტენდი გააკეთეთ, სადაც თქვენს ჭურჭელს მისი სახეობის შესაბამის სახელწოდებას მიაწერთ.
- საერთო სათაური კი, შეიძლება ასე ჟღერდეს – „მეექვსე კლასმა შემქმნა და ვინც სხვაგვარად იტყვის, ოროსანი იქნება!“ ან თქვენი ვარიანტი მოიფიქრეთ.

აქტივობა:

მოსწავლეები შერეული ტექნიკით ხატავენ ძველი ბერძნული კერამიკული ჭურჭლის რომელიმე ტიპს და მოხატავენ მას მეანდრის, პალმეტებისა და ძველი ბერძნული ორნამენტებისთვის დამახასიათებელი მოტივებითა და გამოსახულებებით, ამოჭრიან და დააწებებენ საერთო სტენდზე. ყოველი მოსწავლე მის მიერ დახატულ ჭურჭელს მიაწერს ჭურჭლის ტიპის ბერძნულ სახელწოდებას.

მამაის ტონდო

მიზანი:

რელიეფის ხელოვნების შესახებ ცოდნის გაღრმავება,

ქართული ხელოვნების შედევრებთან, შუა საუკუნეების საოქრომჭედლო ხელოვნებასთან გაცნობა, რელიეფის ძერწვის უნარის განვითარება,

კვლევის უნარის გაღვივება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 4, 7, 8, 9;

ს.გ.VI.2. -1, 2, 4, 5, 7;

ს.გ.VI.4. - 2, 4;

ს.გ.VI.5. - 3, 4, 5;

ს.გ.VI.6. - 1, 3, 4.

ასათვისებელი ტერმინები:

ტონდო,

მინიატურა

მასალა:

წრიული ფორმის მუყაო, პლასტილინი, საძერწი დაფა და პლასტმასის დანა, შავი, თეთრი, ყავისფერი და ყვითელი გუაში, პალიტრა, თხევადი წებო პვა, ფუნჯი, ბაწრის მოკლე ნაჭერი.

ვიზუალური მასალა:

წმ. მამაი გელათის ტონდოზე,

10 თეთრიან მონეტაზე.

მე-12 ს-ის ხელნაწერზე

გაკვეთილის მსვლელობა:

ამ გაკვეთილისთვის მასწავლებელმა უნდა იქონიოს 10-თეთრიანი მონეტა. კლასში შემოსულ მოსწავლეებს მასწავლებელი ჰკითხავს, შემთხვევით ვინმეს ჯიბეში 10-თეთრიანი ხომ არ უდევს. ცხადია, მოსწავლეებს გაუკვირდებათ მასწავლებლისგან ასეთი შეკითხვა. ეს უკვე დააინტერესებს მათ, რა გაგრძელება მოყვება შეკითხვას. თუ ხურდა არავის აღმოაჩნდება, მასწავლებელი აჩვენებს კლასს საკუთარ მონეტას და ეკითხება, ვინ არის გამოსახული მასზე. საეჭვოა, რომ რომელიმე მეექვსეკლასელმა ეს იცოდეს, მაგრამ იმის გაცნობიერება, რომ არ იციან არაფერი იმის შესახებ, რაც ალბათ ყოველდღე უჭირავთ ხელში, უკვე გაუღვიძებს ინტერესს.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, წაიკითხონ სახელმძღვანელოს ტექსტი.

მამაის ტონდო შესრულებულია დაბალი რელიეფით ანუ ოდნავაა ამოზიდული ფონიდან. ამის საპირისპიროდ, არსებობს მაღალი რელიეფი, რომელიც ძლიერადაა ამოზიდული ფონიდან და ფონზე მიმაგრებულ მრგვალ ქანდაკებას გვაგონებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდები სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებზე და დასვან საკუთარი კითხვები (მოსწავლეებმა შეიძლება იკითხონ, თუ რატომ არ არის ქართულ ნაწარმოებებზე კრავი წმ. მამაის ხელში, თუკი ის ყოველთვის კრავითაა გამოსახული კვიპროსულ ფრესკებსა და ხატებზე (კრავი წმინდანის ცხოვრების ეპიზოდური პერსონაჟია, ხოლო ჯვარი მის ხელში იმის ნიშანია, რომ წმ. მამაი მთელი ცხოვრება ქრისტიანობას ქადაგებდა).

მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს გელათის ტონდოს ასლის გაკეთებას.

აქტივობა:

მოსწავლეები გაუკეთებენ საკიდს მრგვალ მუყაოს, გამოძერწავენ დაბალ რელიეფს წმ. მამაის გამოსახულებით და დაფერავენ მას წებონარევი გუაშის საღებავებით.

შემაჯამებელი კითხვები:

- ვინ იყო წმ. მამაი?
- კიდევ სად გვხვდება მისი გამოსახულებები?
- ამ გამოსახულებებიდან რომელია რელიეფური?
- რას ნიშნავს დაბალი რელიეფი?
- რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ ნამუშევარში?
- თანაკლასელთაგან, ვისი ასლი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ? რა გააკეთა მან კარგად? რა ხერხი გამოიყენა ამისთვის?

საშინაო დავალება:

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დააკვირდნენ, თუ რა არის გამოსახული თანამედროვე ქართულ მონეტებზე. მოიძიონ ინფორმაცია, გაიაზრონ, თუ როგორ უკავშირდება ეს გამოსახულებები ქართულ სახვით ხელოვნებას. მომდევნო გაკვეთილზე გაუზიარონ ერთმანეთს ამ მცირე კვლევის შედეგები (დავალების სწორი პასუხები: ყველა ქართული მონეტის რევერსზე გამოსახულია მზის სიმბოლო – ბორჯღალი. ერთთეთრიანზე: ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი ვაზის ლერწი. ორთეთრიანზე - ფრთებაწეული ფარშავანგი, რომელიც ასევე, ხშირი მოტივია ქართული ტაძრების რელიეფებზე. ხუთთეთრიანზე - ოქროს ლომის ქანდაკება ალაზნის ველის ძვ. წ-ის III ათასწლეულის ყორღანიდან. ათთეთრიანის გამოსახულების შესახებ მოსწავლეებმა ამ გაკვეთილიდან უკვე იციან. ოცთეთრიანზე – ნიკო ფიროსმანის სურათის დეტალი – ხარ–ირემი. ორმოცდაათთეთრიანის რევერსზე - XI საუკუნის სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე განთავსებული გრიფონის რელიეფური გამოსახულება, ხოლო ავერსზე – საქართველოს სახელმწიფო გერბი). მასწავლებელმა უნდა კითხოს ბავშვებს, მათი აზრით, რატომ არის ფულის ნიშნებზე ამდენი გამოსახულება ქართული ხელოვნების ნაწარმოებებიდან (ეს გამოსახულებები წარმოაჩენს ქართული კულტურის საუკეთესო სახეს). ასევე, შეიძლება საუბარი შეეხოს ქაღალდის ფულის ნიშნების გამოსახულებებსაც.

ბაბილონის გოდოლი

მიზანი:

გავაცნოთ მოსწავლეებს ბაბილონის გოდოლის ისტორია და ვაჩვენოთ, თუ როგორ აისახება ისტორიული მოვლენები, თქმულებები ხელოვნებაში.

შედეგი:

ს.გ.VI.2. 2, 5;
ს.გ.VI.3. 1, 2;
ს.გ.VI.5. 1, 2, 4;

ასათვისებელი ტერმინები:

ზიკურატი
რელიგიური რიტუალი

ვიზუალური მასალა:

ბაბილონის გოდოლის ფერწერული და გრაფიკული გამოსახულებები
ხამურაბის პორტრეტი
ასირიელთა მეფის სინაქერიბის გამოსახულების გრაფიკული ასლი

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები გაეცნობიან ბიბლიურ თქმულებას ბაბილონის გოდოლის შესახებ.

მასწავლებელი კითხავს მოსწავლეებს, თუ რას მოგვითხრობს, რას გვასწავლის თქმულება.

მსჯელობის შემდეგ, მასწავლებელი გააკეთებს დასკვნას: ბაბილონის გოდოლის ამბავი არის იგავი ამპარტავნებასა და ქედმაღლობაზე.

ძველად, შუამდინარეთში მაღალ, ოთხკუთხა, საფეხურებიან ტაძრებს აგებდნენ. ასეთ ტაძრებს **ზიკურატებს** უწოდებდნენ. ზიკურატების ოთხკუთხა საძირკველზე დაშენებული სართულები ნელნელა ვიწროვდებოდა. ბოლო სართულზე, ღმერთ მარდუქის ტაძარი იდგა. ასევე, ზედა სართულიდან, მეცნიერები აწარმოებდნენ ასტრონომიულ დაკვირვებებს.

მსოფლიოში ყველაზე მაღალი ზიკურატი ქალაქ ბაბილონში აუშენებიათ. თურმე, მისი სიმაღლე 91 მეტრი, სიგანე კი 90 მეტრი ყოფილა. პირველი სართული 33 მეტრს აღწევდა (შედარებისთვის, 10 სართულიანი სახლის სიმაღლე სულ ცოტა, 30 მეტრია), გოდოლის თავზე კი, 15 მეტრის სიმაღლის, ოქროთი და ცისფერი მოჭიქული აგურით მოპირკეთებული ტაძარი იდგა. გოდოლი, გადმოცემით, შვიდი ერთმანეთზე დადგმული კოშკისგან შედგებოდა. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ კოშკის ასაგებად, 85 მილიონი აგური გამოუყენებიათ! ბაბილონში ამ გოდოლს „ეტემენანკის“ უწოდებდნენ ანუ სახლს, რომელიც ცას და დედამიწას აერთიანებს“.

ერაყში, ქალაქ ბაღდადის მახლობლად, აქა-იქ აღმართულიყო ბრტყელთავიანი ბორცვები, რომლებსაც საუკუნეების მაძილზე არავინ ყურადღებას არ აქცევდა და მეტიც, მათ ბუნებრივი რელიეფის ნაწილად მიიჩნევდნენ. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ბორცვებზე სალოცავად ადიოდნენ და არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ ტაფასავით სწორ დაბლობზე, ასეთი ბორცვების არსებობა უცნაური იყო. მე-19 საუკუნის მიწურულს, ამ ადგ-

ილების მოსანახულებლად ჩასულ გერმანელ არქეოლოგს, რობერტ იოჰან კოლდეევეის, ბორცვების დანახვისას, ეჭვი გაუჩნდა, რომ მათი უცნაური ფორმა ბუნებრივი არ შეიძლება ყოფილიყო. მეცნიერმა ივარაუდა, რომ იქ რაღაც ნაგებობები უნდა ყოფილიყო ჩამარხული. არქეოლოგმა 15 წლიანი გათხრების შედეგად აღმოაჩინა მსოფლიოში უდიდესი ქალაქის, ბაბილონის ნანგრევები. ქალაქ ბაბილონის გათხრისას კი, კოლდეევეიმ აღმოაჩინა ვეებერთელა ნაგებობის ოთხკუთხა, 90 მეტრის სიგანის საძირკველი. საძირკველის კედლები აგურით იყო ნაშენები. მისი ზომა ზუსტად ემთხვეოდა თიხის ფირფიტებში ამოკითხულ და ბაბილონის გოდოლის შესახებ, უძველესი ისტორიკოსების მიერ გაკეთებულ აღწერებს. კოლდეევეის აღმოჩენამ, მსოფლიოს ლეგენდარული საოცრება – ბაბილონის გოდოლი სინამდვილედ აქცია.

შემაჯამებელი კითხვები:

რა უცნაურ მოვლენას მიაქცია ყურადღება არქეოლოგმა კოლდეევეიმ?
რა ნიშნით ამოიცნო არქეოლოგმა გათხრების შედეგად აღმოჩენილ საძირკველში ბაბილონის გოდოლი?
როგორ აისახა ეს თქმულება ხელოვნებაში?
როგორ აისახა თქმულება თანამედროვე აქიტექტურაში?

აქტივობა 1:

ბარათი „ბაბილონის გოდოლის“ თემაზე

მასალა:

1/2 ფერადი და 1/2 თეთრი ფურცლები
უბრალო ფანქარი
სახაზავი
მაკრატელი
წებო
ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნიმუშს, რომელზეც ხატია ბარათის გაკეთების ორი ეტაპი.

1. მოსწავლეები მოკეცავენ ფერად და თეთრ ქაღალდებს შუაზე. თეთრ ქაღალდზე სახაზავით გადაზომავენ და ფანქრით მკრთალად გაავლებენ ერთმანეთზე 1 სმ-ით მოკლე სიმეტრიულ ჰორიზონტალურ ხაზებს.

2. ქაღალდზე გამოსახული საფეხურებიანი პირამიდის (კოშკის) გარშემო, დახატავენ ნახატს ან ორნამენტს „ბაბილობის გოდოლის“ თემაზე.

3. მაკრატლით, ჰორიზონტალურად ჩაჭრიან დახაზულ ხაზებს, მოკეცავენ მიღებულ ზოლებს ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები და ისევ გაშლიან ფურცელს.

ფერად ქაღალდს თხლად წაუსვავენ წებოს, დააწებებენ მას თეთრ ფურცელზე ისე, რომ კოშკის ზოლები არ დაწებდეს და დაკეცავენ გამზადებულ ბარათს.

აქტივობა 2:

შეჯიბრი „ყველაზე მაღალი კონსტრუქცია“

აქტივობის ამოცანაა, აგებული კონსტრუქცია იყოს სიმეტრიული და მდგრადი.

მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, რომ ასიმეტრიული კონსტრუქცია, სიმეტრიულთან შედარებით ნაკლებად მდგრადია, რადგან ასიმეტრიულ ფორმის უფრო მძიმე ნაწილი, გადაწონის და დაანგრევს კონსტრუქციას. ამიტომ, ჯობია, მოსწავლეებმა მოიფიქრონ და ააგონ სიმეტრიული კონსტრუქციები.

მასალა:

პლასტილინი

პლასტილინის დაფა ან მუყაოს ნაჭერი

სხვადასხვა ზომის ხის წვრილი ჩხირები (ხის შამფურები), ასანთის ღერები.

მოსწავლეები იმუშავებენ წყვილებში.

პლასტილინის ბურთებით ერთმანეთთან დამაგრებული ხის ჩხირებით ააგებენ ნებისმიერი ფორმის სიმეტრიულ კონსტრუქციას.

გაიმარჯვებს ის წყვილი, რომლის კონსტრუქციაც იქნება სიმეტრიული, მდგრადი და ყველაზე მაღალი.

აქტივობა 3:

მასალა:

წინასწარ მომარაგებული, დიდი რაოდენობით პატარა (მაგ. წამლის, წვენის, ჩაის შეფუთვა) მუყაოს კოლოფები, მუყაოს რულონები, ერთჯერადი ჭიქები და სხვა მსგავსი მასალა.

2-3 ვატმანის ზოლებად დაჭრილი ფორმატი (კიბეების გასაკეთებლად)

შავი ფლომასტერი

ხის ჩხირები

პლასტილინი

სკოტჩი

შესაძლოა საჭირო გახდეს გუაშის საღებავებიც.

შენიშვნა:

უმჯობესია, აქტივობა ჩატარდეს სკოლის ეზოში, რათა მოსწავლეებს ქონდეთ საკმარისი სივრცე კონ-სტრუქციების ასაგებად.

მოსწავლეები გაინაწილებენ მომარაგებულ მასალას ისე, რომ ყოველ ჯგუფს თანაბარი რაოდენობის კოლოფები შეხვდეს. იმუშავებენ მცირე 3-4 კაციან ჯგუფებად.

მოსწავლეები, ხელთ არსებული მასალით ააგებენ მაღალ და ლამაზ კონსტრუქციას. თავად მოიფიქრებენ, როგორც კონსტრუქციის ფორმას, ასევე მისი დეტალების დამაგრების ხერხებს.

გამზადებული კოშკები დაინომრება. მოსწავლეები ფარული კენჭისყრით გამოავლენენ საუკეთესო ნამუშევრებს (მოწონებული ნამუშევრის შესაბამის ნომერს დაწერენ პატარა ფურცელზე, დაახვევენ და ჩააგდებენ კალათაში).

მასწავლებელს შეუძლია მოაწყოს მსჯელობა, თუ რატომ მოეწონათ ან არ მოეწონათ საკუთარი ან სხვისი ნამუშევარი. დაწუნებული ნამუშევრების ნაკლის გამოსავლენად, მოსწავლეებმა უნდა წამოაყენონ ნაკლის გამოსწორების თავიანთი ვერსიები.

ფაიუმის პორტრეტი

მიზანი:

პორტრეტის ჟანრის შესახებ ცოდნის გაღრმავება,
მსოფლიოს ხელოვნების შედევრებთან (ფაიუმის პორტრეტებთან) გაცნობა,
პორტრეტში საერთო პროპორციების დაცვის უნარის განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 4, 5, 6, 8, 9;
ს.გ.VI.5. -5.

ასათვისებელი ტერმინები:

ენკაუსტიკა, ანფასი, სამი მეოთხედი.

მასალა:

სახატავი რვეული, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყალი

ვიზუალური მასალა:

ფაიუმის პორტრეტების ამსახველი ვიდეორგოლი „მზერა მარადისობაში“ (იხ. ელ.რესურსები).

გაკვეთილის მსვლელობა:

მოსწავლეები დაათვალიერებენ ფაიუმის პორტრეტების ილუსტრაციებს. (მოსწავლეები ამ დროს ხშირად იწყებენ სიცილს და ნანახი პორტრეტების შედარებას მათთვის ნაცნობ, კონკრეტულ ადამიანებთან. ეს სავსებით ჯანსაღი რეაქციაა. მასწავლებელმა ეს რეაქცია უნდა გამოიყენოს და მიანიშნოს, რამდენად ნამდვილი, ცოცხალი და სახასიათოა ფაიუმის პორტრეტები).

მასწავლებელი გაამახვილებს მოსწავლეების ყურადღებას იმაზე, თუ როგორ არის დაცული პროპორციები, როგორ არის გამოკვეთილი ნაკვთები, სად არის ნახმარი ღია ტონები, სად – მუქი. ღია ტონებით ამოზნექილი, ამობურცული ადგილები იხატება, ხოლო მუქით – დაჩრდილული, ჩაღრმავებული.

მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტს. მასწავლებელი გაამახვილებს მათ ყურადღებას ფაიუმის პორტრეტების შესრულების მასალასა და ტექნიკაზე (ენკაუსტიკა - ცვილნარევი ცხელი საღებავებით ხატვის ტექნიკა).

შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დახატონ მსგავსი პორტრეტები. მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს, ქაღალდის როგორი ორიენტაცია მოუხდება ამგვარ პორტრეტს და რატომ (რადგან სახე მოგრძოა და სურათზე ყელიცა და მხრებიც უნდა ჩაეტიოს, ამიტომ ფურცლის ვერტიკალური ორიენტაცია შეეფერება).

აქტივობა:

მოსწავლეები საღებავებით დახატავენ ფაიუმის პორტრეტების მსგავს პორტრეტებს.

საშინაო დავალება:

უპასუხეთ კითხვებს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის ენკაუსტიკა?
- რა მასალაზეა შესრულებული ფაიუმის პორტრეტები?
- რა დანიშნულება ქონდა ამ პორტრეტებს?
- მოგწონთ საკუთარი ნახატი თუ არა? რატომ?
- თანაკლასელთაგან, ვისი ნამუშევარი მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ? რა გააკეთა მან კარგად? რომელი ხერხი გამოიყენა ამისთვის?
- სთხოვეთ რჩევა თანაკლასელებს, რისი შესწორება შეგიძლიათ საკუთარ ნამუშევარში, რომ გააუმჯობესოთ?

გაზაფხული

მიზანი:

ალეგორიულ ჟანრთან გაცნობა,
ნაწარმოების ისტორიულ კონტექსტთან კავშირის გაცნობიერება,
სიმულტანური კომპოზიციის წაკითხვისა და გამოყენების უნარის განვითარება,
წარმოსახვის უნარისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 4, 5, 6, 8, 9;
ს.გ.VI.5. -5.

მასალა:

სახატავი რვეული, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ბერძნული მითების კრებული ან მითი ჰერაკლეს გმირობების შესახებ

ვიზუალური მასალა:

სანდრო ბოტიჩელის „გაზაფხული“.

ასათვისებელი ტერმინები:

ალეგორია, სამი გრაცია, აღორძინების ეპოქა (რენესანსი).

გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის წაკითხვის შემდეგ, მასწავლებელი ამბობს:

- გაიხსენეთ, რას ნიშნავს ალეგორია ლიტერატურაში? (იგავურად, გადატანითი მნიშვნელობით აზრის გადმოცემა, როდესაც ამბობ ერთს და გულისხმობ სხვა რამეს.
- დააკვირდით ბოტიჩელის სურათს „გაზაფხული“ და იპოვეთ შეუსაბამობა სათაურთან.

თუ მოსწავლეები ვერ მიხვდებიან, მასწავლებელი ეტყვის, რომ ფორთოხალი გაზაფხულის ხილი არ არის, მაგრამ მხატვარმა ის ოჯახური ბედნიერების სიმბოლური მნიშვნელობით გამოიყენა.

სხვათა შორის, ფლორენციაში ბოტიჩელები მეზობელ ვესპუჩების ოჯახთან ახლობლობდნენ. სანდროზე 10 წლით უმცროსი ამერიგო ვესპუჩი შემდგომში ცნობილი ვაჭარი და მკვლევარი გახდა. სწორედ მისი სახელი დაერქვა ამერიკის კონტინენტს. ვესპუჩების ოჯახის რჩევით დაიწყო ბოტიჩელიმ მხატვრობის შესწავლა და მათვე გააცნეს იგი ლორენცო მედიჩის.

აქტივობა:

მოსწავლეები დახატავენ რომელიმე ძველ ბერძნულ ან რომაულ მითს (ვთქვათ, ჰერაკლეს რომელიმე გმირობას), სადაც გამოიყენებენ ე.წ. სიმულტანურ ხერხს – ერთ ნახატში პერსონაჟს ასახავენ ორჯერ ან სამჯერ, სხვადასხვა

ეპიზოდში.

შემაჯამებელი კითხვები:

- რომელი ეპოქის მხატვარი იყო სანდრო ბოტიჩელი?
- რას ასახავს ალეგორიული ჟანრი?
- რას გულისხმობს სიმულტანური მეთოდი?
- ერთი ამბის რომელი ეპიზოდები ასახეთ თქვენს ნამუშევარში?
- რა ხერხს მიმართეთ, რომ ერთი და იგივე პერსონაჟი რამდენიმე გამოსახულებაში ამოსაცნობი იყოს?

ლეონარდოს ჩანახატები

მიზანი:

ბიძგის მიცემა წამიერი შთაბეჭდილებების ჩანახატების კეთების ჩვევის გამომუშავებისთვის (ვიზუალური დღიურის წარმოებისთვის);

ნახატში ხელის გასაწაფად ვარჯიშის მნიშვნელობის გაცნობიერება.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 3, 4, 5, 7, 9.

ს.გ.VI.2. 1, 2, 3, 7;

ს.გ.VI.4. 1, 2, 4;

ს.გ.VI.5. -5.

მასალა:

რვეული, უბრალო ფანქარი, საშლელი, სათლელი.

ვიზუალური მასალა:

ლეონარდო და ვინჩის ჩანახატები:

ვინსენტ ვან გოგი, ხელის მტევნის ჩანახატები.

გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის კითხვის შემდეგ, მოსწავლეები, შტრიხების მეშვეობით შუქ-ჩრდილის გადმოცემით, აკეთებენ საკუთარი ხელის მტევნის ჩანახატებს სხვადასხვა პოზიციაში. შემდეგ უზიარებენ გვერდით მჯდომ მეგობარს, რა არ გამოსდიოდათ და ახლა რა გამოსდით უკეთ; მსჯელობენ ვარჯიშის მნიშვნელობაზე.

აქტივობა:

მოსწავლეები ერთ სახატავ ფურცელზე ხატავენ საკუთარი ხელის მტევნის რამდენიმე გამოსახულებას (არჩევანის მიხედვით, ერთსა და იმავე ან სხვადასხვა პოზიციაში), ნომრავენ და მიუწერენ, რა გამოუვიდათ უკეთ ყოველი შემდგომი მცდელობისას, როგორ გაითვალისწინეს წინა ჩანახატის ხარვეზები და გამოასწორეს შემდეგ ჩანახატებში.

შემაჯამებელი კითხვები:

- რამდენი მცდელობა გქონდა?
- რა გამოგივიდა უკეთესად, წინა ჩანახატებთან შედარებით?
- გამოიყენე შტრიხები, რომ შუქ-ჩრდილი გამოგესახა?
- დაიცავი პროპორციები?
- სხვა დროს რა საგნის დახატვას ისურვებდი?

ლეონარდოს ოინი

მიზანი:

ფანტაზიის გაღვივება

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 1, 2, 3, 4, 5;
ს.გ.VI.4. -1, 2, 4.

მასალა:

მრგვალად გამოჭრილი მუყაო,
უბრალო ფანქარი,
გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყალი,
ბაწარი ფაის ხელზე დასამაგრებლად

ვიზუალური მასალა:

ლეონარდო და ვინჩის ავტოპორტრეტი;
მედუზა გორგონას გამოსახულებები

გაკვეთილის მსვლელობა:

ტექსტის კითხვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან აზრი ილუსტრაციებზე გამოსახული მედუზა გორგონას თავის შესახებ – რომელია უფრო შემზარავი და რა ხერხს მიმართა ავტორმა ამ ეფექტის მისაღწევად. შემდეგ მოსწავლეები შეასრულებენ დავალებას. მასწავლებელი არ ერევა, არ აძლევს შენიშვნებს. მხოლოდ რჩევით ეხმარება, თუ მოსწავლე იკითხავს, როგორ მიაღწიოს ამა თუ იმ ეფექტს. დასასრულს, მოსწავლეები დაათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, მსჯელობენ და აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.

აქტივობა:

მოსწავლეები მრგვალ მუყაოს გაუყრიან ბაწარს (ფარის ხელზე დასამაგრებლად). მუაოზე დახატავენ რაიმე საშიშ არსებას. დამთავრებულ ნამუშევრებს შეადარებენ ერთმანეთს და გამოავლენენ ყველაზე საშიშ ნამუშევარს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რა გამოსახე საკუთარ ფარზე?
- რატომ შეარჩიე ეს გამოსახულებები?
- თანაკლასელთა ნამუშევრებიდან რომელია ყველაზე საშიში? რა ხერხი გამოიყენა მან ამისთვის?
- რა გამოგივიდა კარგად საკუთარ ნამუშევარში?
- რას შეცვლიდი, ახლა რომ გიწევდეს იგივე დავალების შესრულება?

ჯორჯონე თუ ტიციანი?

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოების აღქმის და შესწავლის უნარის განვითარება,

ხელოვნების ნაწარმოების როგორც მთლიანობაში აღქმის, ასევე დეტალებზე ყურადღების გამახვილების უნარის გამომუშავება,

ხელოვნების ნაწარმოებების შედარების, მათ შორის მსგავსების და განსხვავვების დანახვის უნარის გამომუშავება

შედეგი:

ს.გ. 6.4 - 2, 3, 4.

მასალა:

გამადიდებელი შუშა

უბის წიგნაკი

ვიზუალური მასალა:

ბერნარდინო ლიჩინიოს, ჯოვანი კარიანის, კანალეტოს, ჯორჯონეს, ტიციანის ნამუშევრები.

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- თქვენი აზრით, რა არის ხელოვნებათმცოდნეობა, რას საქმიანობენ ამ პროფესიის წარმომადგენლები?

მოსწავლეების მსჯელობის შემდეგ, მასწავლებელი იტყვის:

- ხელოვნებათმცოდნეობა ძალიან საინტერესო პროფესიაა. ხელოვნებათმცოდნე ერთგვარი ექსპერტია, რომელიც ადგენს, როდის, სად და ვის მიერ შეიქმნა ესა თუ ის ნახატი, ხალიჩა, ჭურჭელი, ნაგებობა თუ ქანდაკება. ის ისტორიკოსიცაა, კრიტიკოსიც და როგორც ახლა დაინახავთ, ზოგჯერ დეტექტივიც. მოდით, ცოტა ხნით ჩვენც გავხდეთ ხელოვნების ექსპერტები და ჩავატაროთ კვლევა.

დღეს, ჩვენი კვლევის საგანი იქნება XV – XVI საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ფერწერული პორტრეტი, რომლის ავტორობაც დღემდე დაუდგენელია. ჩვენ შევისწავლით ახლგაზრდა კაცის პორტრეტს, გავეცნობით ამ პორტრეტის შექმნის რამდენიმე ვერსიას, შევადარებთ მას სხვა ფერწერულ ტილოებს და ვეცდებით გამოვიცნოთ, თუ ვინ შეიძლება იყოს მისი ავტორი. ამ ტილოს ხან ჯორჯონეს ფუნჯს მიაწერენ ხან კი ტიციანისას. ზოგი ექსპერტი მას ბერნარდინო ლიჩინიოს, ზოგიც ჯოვანი კარიანის დახატულად თვლის.

აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს უამბობს ფერწერული ტილოს „ვენეციელი თავადის პორტრეტის“ ისტორიას.

მოსწავლეები ჩაატარებენ კვლევას - დააკვირდებიან ჯორჯონეს, ტიციანის, ლიჩინიოს და კარიანის სურათებს, შეადარებენ ერთმანეთს მხატვრების ხელწერას, იმსჯელებენ, თუ რა საერთო ან განმასხვავებელი ნიშნები შენიშნეს მათ შორის.

2016 წელს, ლონდონში, გაიმართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო XV საუკუნის მხატვრების –

ჯორჯონეს და მისი თანამედროვე მხატვრების -**ტიციანის, ბელინის, დიურერის** და სხვათა ფერწერული ტილოები. ტილოებს შორის გამოფენილი იყო ერთი უცნაური ისტორიის მქონე ნამუშევარი, სახელად **„ვენეციელი თავადის პორტრეტი“**. 1939 წელს ეს სურათი ვაშინგტონის ეროვნული გალერეის კუთვნილება გახდა და მას მერე გალერეის საცავში ინახებოდა.

სხვადასხვა დროს არსებობდა რამდენიმე ვერსია, რომლის მიხედვითაც ექსპერტები, სურათის ავტორობას ხან ჯორჯონეს, ხან ტიციანს და ხან **ბერნარდინო ლიჩინიოს** მიაწერდნენ.

ბერნარდინო ლიჩინიო

ყველაზე დიდხანს, 1940 წლიდან, 70 წლის მანძილზე, იარსება ვერსიამ, რომელიც რენტგენის აპარატით გამოკვლევებს ეფუძნებოდა. ამ ვერსიით, ჯორჯონეს დახატული პორტრეტი, მისი გარდაცვალების მერე ტიციანს დაუმთავრებია, მაგრამ დღეისთვის ეს ვერსიაც უარყოფილია.

2010 წლიდან, ვაშინგტონის გალერეის კატალოგებში სურათი მოიხსენიება, როგორც ვენეციელი ფერმწერის, **ჯოვანი კარიანის** მიერ შესრულებული ნამუშევარი. ამ ვერსიით, სურათი ჯორჯონეს სიკვდილის შემდეგაა დახატული და ტიციანს მის შექმნაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

ვერსიის ავტორმა, ვაშინგტონის გალერეის კურატორმა, ხელოვნების ექსპერტმა, დევიდ ალან ბრაუნმა, უარყო ყველა ადრე არსებული ვერსია იმ მიზეზით, რომ იგი ვერ ხედავდა სურათში ჯორჯონეს და ტიციანის ხელწერას და თვლიდა, რომ სურათის ავტორი, ვენეციელი მხატვარი ჯოვანი კარიანია. დევიდ ალან ბრაუნი თავის შეხედულებას ასეთი არგუმენტებით ხსნიდა:

კარიანის ავტორობაზე მიანიშნებს კარიანის პორტრეტებისთვის დამახასიათებელი პერსონაჟის პოზა – ოდნავ გვერდით და უკან გადახრილი თავი. ასევე, ამ მხატვის პორტრეტებისთვის დამახასიათებელი კომპოზიცია – ადამიანის გამოსახულების ცენტრალური მდებარეობა.

დააკვირდით ჯოვანი კარიანის სურათებზე გამოსახული ადამიანების თავის დახრილობას და შეადარეთ ეს

სურათები „ვენეციელი თავადის პორტრეტზე“ გამოსახული ადამიანის პოზას.

ჯოვანი კარიანის პორტრეტები

შეადარეთ ჯოვანი კარიანის და ბერნარდინო ლიჩინიოს პორტრეტები „ვენეციელი თავადის პორტრეტს“, რა მსგავსებას და რა სხვაობას ხედავთ მათ შორის?

„ვენეციელი თავადის პორტრეტზე“ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც დაკვირვებულ ადამიანს კითხვას გაუჩენს – ეს არის სურათის კუთხეში დახატული ფანჯარა და შორი ხედი, რომელიც ამ ფანჯრიდან მოჩანს.

დააკვირდით ორ ბუნდოვან შენობას. სურათზე გამოსახული, მე-14 საუკუნეში, აშენებული ეს ორი ნაგებობა, დოჟების სასახლე და პიომბის ციხე დღესაც დგას ქალაქ ვენეციის სან მარკოს მოედანზე. ორ შენობას შორის ჩახატულია ბუნდოვანი თაღი, რომელიც მათი დამაკავშირებელი ხიდია.

იტალიელი პეიზაჟების ოსტატის, **კანალეტოს** ერთერთ სურათზე, რომელიც XVIII საუკუნეში არის დახატული, ეს შენობები და ხიდი ასე გამოიყურება:

ასე გამოიყურება დოჟების სასახლე და პიომბის ციხე დღეს.

ახლა კი, შევუდგეთ კვლევას.

ჯორჯონე და ტიციანი ცხოვრობდნენ ერთ ეპოქაში, ერთ ქალაქში და მეტიც, ორივე, ხელობას, ვენეციელი მხატვრების, ძმები ბელინების სახელოსნოში დაეუფლა. ჯორჯონეს და ტიციანს ახლო ურთიერთობა ქონდათ და ხანდახან ერთად ასრულებდნენ შეკვეთებს. მათ კარგად იცოდნენ ერთმანეთის ხელწერა. ალბათ ამიტომაც მისცა თავს უფლება ტიციანმა, დაემთავრებინა ჯორჯონეს გარდაცვალების მერე დარჩენილი მისი დაუსრულებელი ნამუშევრები.

ჯორჯონეც და ტიციანიც, თავიანთ ნამუშევრებში ყურადღებით ეკიდებოდნენ ყოველ წვრილმანს. ორივე მხატვარი გულმოდგინედ გამოსახავდა სურათის უკანა ხედზე, დაშორებული პეიზაჟების დეტალებს. მათ პეიზაჟებზე, მიუხედავად იმისა, რომ დაშორების გამო შენობებს ოდნავ ბუნდოვანება დაკრავთ, მაინც მკაფიოდ იკითხება ყველა არქიტექტურული დეტალი.

ტიციანის „ქრისტე და მარიამ მაგდალელი“. დეტალი

დააკვირდით ტიციანის სურათზე „ქრისტე და მარიამ მაგდალელი“ გამოსახულ პეიზაჟს და შეადარეთ იგი ჯორჯონეს „ვენერაზე“ გამოსახულ პეიზაჟს.

ჯორჯონეს „ვენერა“ დეტალი

ორივე სურათზე ერთნაირი შენობებია დახატული. რატომ?

იმიტომ, რომ ჯორჯონეს „ვენერას“ ფონი, ტიციანს დაუმთავრებია. ამ სურათზე ტიციანმა ზუსტად გაიმეორა თავისი ადრინდელი სურათის „ქრისტე და მარიამ მაგდალელის“ პეიზაჟი, ოღონდ პეიზაჟს რამდენიმე ხე მიამატა.

ეხლა კი, ვნახოთ, როგორ ხატავდა ფონს ჯორჯონე:

ჯორჯონე „მწყემსების თაყვანისცემა“ დეტალი

დადგა დრო, შევადაროთ ტიციანის და ჯორჯონეს ხელწერა ჩვენი კვლევის საგანს - „ვენეციელი თავადის პორტრეტს“.

შეადარეთ ერთმანეთს „ვენეციელი თავადის პორტრეტზე“ გამოსახული შენობები, ჯორჯონეს და ტიციანის სურათებზე გამოსახულ ფონს. რა სხვაობას ხედავთ მათ შორის? მისცემდა თუ არა ეს ორი მხატვარი თავს უფლებას, სურათზე, ასეთი ბუნდოვანი, ზერელედ შესრულებლი დეტალი გამოესახა?

შეადარეთ ერთმანეთს ოთხივე ავტორის ხატვის მანერა და წარმოადგინეთ თქვენი არგუმენტებით გამყარებული ვერსია - რომელ მხატვარს ეკუთვნის “ვენეციელი თავადის პორტრეტი”?

მასწავლებლის საყურადღებოდ!

მასწავლებელმა უნდა მისცეს თავისუფლება მოსწავლეებს და არ მიმართოს მათი მსჯელობა კონკრეტული ვერსიისკენ.

შეიძლება მოსწავლეთა ვერსიები შეჯამდეს და სურათის ავტორობა დადგინდეს ვერსიების რაოდენობის უმრავლესობით.

იპოვე განსხვავება

მიზანი:

ხელოვნების ნიმუშების აღქმის, მათზე დაკვირვების, აღწერის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შედარების, კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება,

მსოფლიოს ხელოვნების შედევრებთან (ჰოლანდიურ ფერწერასთან) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.1. - 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.

ს.გ.VI.2. -2

ს.გ.VI.4. ;

ს.გ.VI.5. .

ასათვისებელი ტერმინები:

ინტერიერი,

წმ. ლუკას ამქარი.

მასალა:

ფერადი ფანქრები, სახატავი ფურცელი.

ვიზუალური მასალა:

იან ვერმეერის „ქალი სასწორით“, 1664 წ.

პიტერ დე ჰოოხის „ქალი სასწორით“, 1664 წ.

იან ვერმეერის „ასტრონომი“ (1668 წ.),

გერიტ დოუს „ასტრონომი სანთლის შუქზე“ (1665 წ.)

ოლივერ ვან დიურენის „ახალგაზრდა ასტრონომი“ (1685 წ.)

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი კომპიუტერის მონიტორზე გვერდიგვერდ აჩვენებს მოსწავლეებს ვერმეერისა და ჰოოხის სურათებს „ქალი სასწორით“ და ეკითხება:

- ხელოვნების რომელი დარგის ნაწარმოებებს ხედავთ?
- რა არის გამოსახული ამ სურათებზე? (ფანჯრის წინ, მაგიდასთან მდგომი ქალები, რომლებსაც ხელში სასწორი უკავიათ).
- რომელი ჟანრს მიაკუთვნებთ ამ სურათებს? (ყოფით ჟანრს, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავენ).
- რა აცვიათ ამ ქალბატონებს? (ერთნაირი ტანსაცმელი – ნარინჯისფერ კაბაზე მოცმული თეთრი ბეწვით შემოვლებული ჟაკეტი იდაყვამდე სახელოებით. თავზე ორივეს თეთრი თავსაფარი ახურავს).
- სად ხდება მოქმედება? (ოთახში). შენობის შიდა სივრცეს **ინტერიერი** ეწოდება, ხოლო გარე ხედს – **ექსტერიერი**. ვერმეერთან კედელი სადაა, ჰოოხთან – ოქროსფრად მოხატული.
- საიდან ეცემა შუქი? (ორივე შემთხვევაში, მარცხნივ მდებარე ფანჯრიდან).

- რა განასხვავებს ამ სურათებს? (ვერმეერი უფრო ახლო ხედს გვაჩვენებს, მაყურებელი თითქოს ქალის სიახლოვეს დგას. ჰოოხი უფრო დისტანციით გვიჩვენებს პერსონაჟს. თუმცა, ორივე გართულია საქმით. ვერმეერის ქალი ჩვენკენ 3/4D-შია მობრუნებული, მის სახეს ვხედავთ, თავი დახრილი აქვს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ახლა მოგვიბრუნდება და დაგველაპარაკება. ამიტომ, ჩვენც ოთახში ვხვდებით, ამ ქალის მშვიდი სუნთქვა გვესმის და სასწორის წკარუნი. ვერმეერის სურათზე მაგიდაზე ლურჯი ნაჭერი დევს, პიტერ დე ჰოოხისაზე – ხალიჩა. ვერმეერთან უკან კედელზე სურათი კიდია, ჰოოხთან – ღია კარიდან მეორე ოთახი მოჩანს. ჩვენ უფრო შორიდან ვაკვირდებით ამ სცენას, თითქოს შემთხვევით შევიჭყიტეთ იქ, სადაც არ გველოდნენ.
- როგორ ფიქრობთ, ეს ქალბატონები ერთ დროსა და ერთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ თუ სხვადასხვა? (ტანსაცმელით ჩანს, რომ ისინი ერთ დროსა და ერთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ.)
- ტანსაცმლის რომელი დეტალებით მიხვდით ამას?
- იან ვერმეერი და პიტერ დე ჰოოხი, ორივე მე-17 საუკუნის ნიდერლანდელი (ჰოლანდია) მხატვრები იყვნენ. შესაძლოა, ერთმანეთს ხვდებოდნენ კიდეც. ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ სურათების მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ერთმანეთის შემოქმედებას ნამდვილად იცნობდნენ. ორივემ სურათი ერთსა და იმავე თემაზე შექმნა, მაგრამ სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგინა, რადგან ადამიანების ფანტაზია ანუ წარმოსახვის უნარი განსხვავდება.
- მოდით, შევამოწმოთ. აღწერილობის მიხედვით წარმოიდგინეთ ეს სურათი (ასტრონომი) და დახატეთ:

„ასტრონომი მაგიდასთან იჯდა. წინ ციური სხეულების გლობუსი ედგა. მარცხნიდან შემოსული შუქი სწორედ გლობუსს ეცემოდა. მეცნიერი ხელით ატრიალებდა მას და გადაშლილ წიგნში ვარსკვლავების მდებარეობას აზუსტებდა. ცნობისმოყვარე მზერაში ნამდვილი მეცნიერის ინტერესი და გატაცება ჩანდა. ისე იყო გართული, რომ გლობუსისა და წიგნის გარდა, გარშემო სხვა ვერაფერს ამჩნევდა".

როდესაც ხატვას დაასრულებთ, შეადარეთ, როგორ წარმოიდგინეთ ეს სცენა თქვენ და მე-17 საუკუნის სხვა ჰოლანდიელმა მხატვრებმა. შეაჯამეთ ექსპერიმენტის შედეგები და გამოიტანეთ დასკვნა.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დახატავენ ნახატს მოცემულობის მიხედვით, მასწავლებელი აჩვენებს მათ ამავე თემაზე ნიდერლანდელი მხატვრების: იან ვერმეერის (1668 წ.), გერიტ დოუსა (1665 წ.) და ოლივერ ვან დიურენის (1685 წ.) მიერ შექმნილი ფერწერული ტილოების ილუსტრაციებს.

მოსწავლეები მსჯელობენ, რამდენად მსგავსია ან განსხვავებული ის, რაც თავად და ამ ცნობილმა მხატვრებმა საკუთარი წარმოსახვით შექმნეს.

შემაჯამებელი კითხვები:

- რით განსხვავდება თქვენი ასტრონომი ვერმეერის, დოუსა და დიურენის ასტრონომებისგან? რა ასახეთ განსხვავებულად?
- ეს მხატვრები მე-17 საუკუნეში ცხოვრობდნენ. თქვენ მათ 4 საუკუნე გაშორებთ. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა თქვენს ნამუშევრებს შორის განსხვავება დაკავშირებული თანადროულ ეპოქასთან? კერძოდ, რაში, რომელ დეტალებში აისახა ეპოქა თქვენს ნამუშევრებში?
- ვერმეერისა და ჰოოხის ნამუშევრებიდან რომელი მოგწონთ მეტად? რატომ?
- რა დასკვნა გამოიტანეთ ამ გაკვეთილიდან? პასუხები შეიძლება მრავალგვარი იყოს:
  1. ადამიანებს განსხვავებული წარმოსახვა (ფანტაზია) აქვთ.

2. ერთსა და იმავე დროს, ერთ ქვეყანაში, ადამიანებს ერთი და იგივე თემები აინტერესებთ.
3. მხატვრები ერთმანეთის ნამუშევრებს ნახულობენ და შემდეგ თავისებურად ხატავენ.
4. მე-17 საუკუნეში მოდაში იყო ამგვარი ტანსაცმელი. და სხვ.

აქტივობა 1:

მოსწავლეები ადარებენ იან ვერმეერისა და პიტერ დე ჰოოხის ფერწერულ ტილოებს „ქალი სასწორით“.

აქტივობა 2:

მოსწავლეები მოცემულობის მიხედვით დახატავენ ნახატს თემაზე „ასტრონომი“. დასასრულს, მასწავლებელი აჩვენებს მათ ამავე თემაზე იან ვერმეერის, გერიტ დოუსა და ოლივერ ვან დიურენის ნამუშევრებს. მოსწავლეები შეადარებენ თემის საკუთარ ინტერპრეტაციებს ცნობილი მხატვრების ნამუშევრებისას.

მიზანი:

ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების, მსჯელობისა და დასკვნის გამოტანის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება,

ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარება,

მსოფლიოს ხელოვნების შედევრებთან (ჰანს ჰოლბაინის შემოქმედებასთან) გაცნობა.

შედეგი:

ს.გ.VI.3. - 1, 6;

ს.გ.VI.4. - 3, 4;

ს.გ.VI.5. - 1, 4, 5.

ასათვისებელი ტერმინები:

ესკიზი, ორიგინალი, ასლი.

მასალა:

ილუსტრაციები, ფურცლები, ფერადი ფანქრები.

ვიზუალური მასალა:

ჰანს ჰოლბაინის ესკიზი სურათისთვის „თომას მორის ოჯახური პორტრეტი“

ჰანს ჰოლბაინი, მორის ოჯახის წევრების პორტრეტები:

როულენდ ლოქის ასლი:

პერსონაჟების დანომრილი სქემა და ჩამონათვალი:



1. ელისაბედი (21 წლ., სერ თომას მორის ქალიშვილი)
2. მარგარეტ გიგსი (29 წლ., სერ თომას მორის გერი)
3. მოსამართლე ჯონ მორი (76 წლ., სერ თომას მორის მამა)
4. ანა კრესეიკრი (15 წლ., მომავალი რძალი)
5. სერ თომას მორი (50 წლ.)
6. ჯონი (18 წლ., სერ თომას მორის ვაჟი)
7. ჰენრი პატენსონი (40 წლ., ოჯახის მასხარა)
8. სესილი (20 წლ., სერ თომას მორის ქალიშვილი)
9. მარგარეტი (22 წლ., სერ თომას მორის ქალიშვილი)
10. ჯონ ჰარისი (27 წლ., სერ თომას მორის მდივანი)
11. ლედი ალისა (57 წლ., სერ თომას მორის მეუღლე)

გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი კლასში შემოსულ მოსწავლეებს ახვედრებს ბარათებს (ზურგით შებრუნებულს) და სთხოვს, აირჩიონ ერთ-ერთი. ბარათებს აწერია ჯგუფების სახელები (ცნობილი გამომძიებლების – ისტორიული პირების ან ლიტერატურული გმირების) – ვთქვათ: „შერლოკ ჰოლმსი“, „ერკიულ პუარო“, „კომისარი მეგრე“, „მისის მარპლი“, „ალან პინკერტონი“და სხვა). ერთნაირი სახელის მქონე ბარათის მფლობელი მოსწავლეები ერთად დაჯგუფდებიან.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს როულენდ ლოქის მიერ, ჰანს ჰოლბაინის ფერწერული ნამუშევრის მიხედვით შესრულებულ ასლს, სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ სურათს და ხელის აწევით უპასუხონ კითხვებს:

- რა ჟანრის ნაწარმოებია? (ჯგუფური პორტრეტი)
- ვინ არიან ეს ადამიანები ერთმანეთისთვის? (ოჯახის წევრები). რატომ ფიქრობთ ასე? (სხვადასხვა ასაკისა და სქესის ადამიანები საცხოვრებელი სახლის ოთახში არიან გამოსახულნი).
- სადაურები არიან? (ევროპელები) რატომ ფიქრობთ ასე? (სამოსი)
- სურათზე თანამედროვე ეპოქაა ასახული თუ ისტორიული წარსული? რატომ ფიქრობთ ასე? (ძველებური სამოსი აცვიათ)
- რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან სურათზე გამოსახული ადამიანები? (მაღალს) რატომ ფიქრობთ ასე? (მდიდრული ნივთები გარშემო, ძვირფასი სამოსი).
- რას ხედავთ გარშემო? (ძაღლები, მაიმუნი, მუსიკალური ინსტრუმენტები, წიგნები პერსონაჟების ხელში, თაიგულები).
- იმის მიხედვით, რასაც ხედავთ, როგორ დაახასიათებდით ამ ოჯახს? (მრავალრიცხოვანი, წარჩინებული, მდიდარი, განათლებული, მუსიკალური, ცხოველების მოყვარული...)

მოდით ვნახოთ, ვინ არიან ეს ადამიანები.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს. შემდეგ, აწყობენ შეჯიბრს. მასწავლებელი ინიშნავს დროს. ჯგუფების წევრებმა უნდა დახატონ კომპოზიციაში პერსონაჟების სილუეტები, დანომრონ და ტექსტში მოცემული მინიშნებების მიხედვით, მიაწერონ სახელები (დაახლ. 15 წთ.). დროის გასვლის შემდეგ, მასწავლებელი მოაგროვებს დანომრილ სქემებს და შეადარებს სწორ პასუხთან.

მოგებულია ჯგუფი, რომელიც სწორად განსაზღვრავს პერსონაჟების ვინაობას.

ერთნაირი შედეგების შემთხვევაში, გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად, მასწავლებელი დამატებით რაუნდს გამოაცხადებს:

- დააკვირდით ამ ილუსტრაციებს. ხედავთ განსხვავებებს? ვინმე/რამე ზედმეტი ხომ არ არის ან ვინმე/რამე ხომ არ დააკლდა ლოქის ასლს? რა შეცვალა სურათში ლოქიმ?

მასწავლებელი სთავაზობს, ფურცელზე ჩამოწერონ განსხვავებები ჰოლბაინის ორიგინალსა (იგივე დედანს) და როულენდ ლოქის ასლს შორის (ასლზე დამატებულია კართან მდგომი მამაკაცი, ორი ძაღლი, მაიმუნი; კედლის საათის კარი ღიაა; ქოთნებში მეტი ყვავილებია; დედანზე ქალიშვილი მამაკაცისკენ დახრილია და რაღაცას სთავაზობს ან ეუბნება, ლოქისთან კი – ხელთათმანს იხდის; და ა.შ.). დროის (დაახლ. 5 წთ.) გასვლის შემდეგ მასწავლებელი გამოართმევს ფურცლებს, გადახაზავს ერთნაირ პასუხებს და დარჩენილი პასუხების თანახმად, გამოავლენს გამარჯვებულ ჯგუფს (რომელიც ყველაზე მეტ განსხვავებას იპოვნის). სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ ამობეჭდილი სიგელით „ყველაზე გამჭრიახი დეტექტიური სააგენტო“ დააჯილდოვოს გამარჯვებული ჯგუფი (იხ. დანართი).

I აქტივობა:

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად (3-4 ჯგუფი), შეისწავლიან ილუსტრაციებს და ახდენენ პერსონაჟების იდენტიფიცირებას.

II აქტივობა:

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ა4 ფორმატის ფურცლებზე ამობეჭდილ, ჰოლბაინის ესკიზს. მოსწავლეები ფერადი ფანქრებით აფერადებენ მას ლოქის ნამუშევრის მიხედვით.

ვიქტორინა „რა, სად, როდის“

მიზანი:

წლის მანძილზე შეძენილი ცოდნის თავმოყრა და გამყარება, მეხსიერების გავარჯიშება, ცოდნით მიღწეული წარმატების განცდა, შემეცნებითი ინტერესის გაღვივება, სააზროვნო, საორგანიზაციო, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

შედეგი:

ს.გ.VI.3. - 1, 2, 3, 4, 5, 6;
ს.გ.VI.4. -2, 3, 4;
ს.გ.VI.5. -1, 2, 3, 4, 5;
ს.გ.VI.6. -1, 3, 4, 5.

გაკვეთილის მსვლელობა:

ეს პროექტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შემაჯამებელი შეფასების საგნად.

პროექტი 3-4 აკად. საათს დაიკავებს:

I საათი – გუნდებად ჩამოყალიბება; ფორმატისა და რეგლამენტის განსაზღვრა (მოსწავლეები ადგენენ გუნდებისთვის კითხვების დასმის მიმდევრობას, ფიქრის ანუ კითხვაზე პასუხის გაცემის დროის რეგლამენტს, ვთქვათ, 10 წამი. მოპასუხემ კითხვის დასმიდან მაქსიმუმ 10 წამში უნდა დაიწყოს პასუხის გაცემა).

; გუნდისთვის სახელის მოფიქრება; მოვალეობების განაწილება – გუნდის წევრები ინაწილებენ სახელმძღვანელოს თავებს კითხვების შესადგენად. კითხვების შედგენა ეძლევათ საშინაო დავალებად;

II საათი – გუნდები აცნობენ ერთმანეთს და ახარისხებენ სახლში მომზადებულ კითხვებს; ამზადებენ სხვადასხვა ფერის ყუთებს; აგვარებენ საორგანიზაციო საკითხებს (დარბაზი, სტუმრების მოწვევა). სახელმძღვანელოს ტექსტის ბოლომდე გადაკითხვა ეძლევათ საშინაო დავალებად.

III-IV საათები – ვიქტორინის ჩატარება.

მასწავლებელი ამზადებს დიპლომებს სხვადასხვა ნომინაციაში.

სასურველია, მოსწავლეებმა თავად დაადგინონ თამაშის წესები, ფორმატი და რეგლამენტი. თუ სკოლაში არის პარალელური კლასები, შეაჯიბრეთ ისინი ერთმანეთს. სასურველია, ვიქტორინა ჩატარდეს დარბაზში და მას დაესწრონ მე-5 კლასის მოსწავლეები (ეცოდინებათ, რა ელით მომავალი წლის დასასრულს და უფრო მოტივირებულები იქნებიან) და მე-7 კლასის მოსწავლეები (გაიხსენებენ გავლილ მასალას, შეამოწმებენ საკუთარ ცოდნასა და მეხსიერებას).

რეკომენდაციის სახით, გთავაზობთ ვიქტორინის სავარაუდო ფორმატს:

მონაწილეები:

- მოთამაშეების ორი გუნდი – გუნდები მოითათბირებენ და აირჩევენ სახელს. კითხვების დამთხვევა რომ არ მოხდეს, გუნდები ინაწილებენ სახელმძღვანელოს თავებს შუაზე. ერთმა გუნდმა უნდა შეადგინოს 30-მდე კითხვა სახელმძღვანელოს ერთი ნახევრიდან, მეორემ – მეორედან (შესაბამისად, მოუწევთ მთელი სახელმძღვანელოს ყურადღებით წაკითხვა, რომ მოამზადონ საკუთარი კითხვები და მოწინააღმდეგე გუნ-

დის სავარაუდო კითხვებზე პასუხებიც). გუნდის წევრები დაწერენ თითო კითხვას თითო ბარათზე, ბარათის მეორე მხარეს მიაწერენ პასუხს და თეთრი ყუთით გადასცემენ წამყვანს. სამი, თემატურად ერთგვარი კითხვა შეუძლიათ გააერთიანონ ბლიც-კითხვაში (ამ შემთხვევაში, როგორც კი გაიცემა მცდარი პასუხი, დარჩენილი ერთი ან ორი კითხვა აღარ დაისმევა და ბარათი ვარდება მოპასუხე გუნდის წითელ ყუთში). გუნდები წითელ (მცდარი პასუხების) და მწვანე (სწორი პასუხების) ყუთებს და გადასცემენ წამყვანს. გუნდები ირჩევენ თითო წარმომადგენელს „დროის გუშაგად“ (თამაშის ეს მონაწილე კითხვა-პასუხის პროცესში არ ჩაერთვება).

რაც შეეხება კითხვებს: ა) კითხვა უნდა მოითხოვდეს მოკლე პასუხს და არა მსჯელობას; ბ) კითხვა არ უნდა მოითხოვდეს სხვა, უფრო ღრმა ცოდნას, ვიდრე სახელმძღვანელო იძლევა; გ) კითხვა არ უნდა მოითხოვდეს რაიმეს ჩამოთვლას; დ) არ შეიძლება ორმაგი ან სამმაგი კითხვების დასმა (ვთქვათ, - ვინ, სად და როდის ჩაატარა პირველი ვიქტორინა).

- ორივე გუნდიდან თითო „დროის გუშაგი“. ისინი აკონტროლებენ დროს როგორც მათი, ასევე მოწინააღმ-დეგე გუნდის მოპასუხის გამოსვლისას. თუ გუნდი პასუხის გაცემას 10 წამში არ დაიწყებს, „დროის გუშაგი“ ჩაბერავს სასწვენს. ასევე, „დროის გუშაგი“, წინასწარ მომზადებულ ორსვეტიან (თითო გუნდზე თითო სვეტი) ცხრილში აღრიცხავს რეგლამენტის გადაცდენებისა და მყისიერი პასუხების შემთხვევებს. თამაშის დასასრულს, „გუშაგები“ ითვლიან მონაცემებს, ამოიწერენ ცალკე ბარათებზე და გადასცემენ წამყვანს.
- წამყვანი (მასწავლებელი) – წინასწარ ამოწმებს გუნდების მიერ შედგენილ კითხვებს, რომ მათ თანაბარ სირთულეში დარწმუნდეს. თამაშის დროს, წამყვანი დგას მაგიდასთან, რომელ-ზეც აწყვია ყუთები. სწრაფად იღებს ბარათს კითხვის დამსმელი გუნდის თეთრი ყუთიდან (მონაცვლეობით, თითო ჯერზე თითო ყუთიდან, რომ გუნდებს თანაბარი რაოდენობის კითხვები შეხვდეთ), კითხულობს კითხვას ხმამაღლა და იმის მიხედვით, პასუხი მცდარია თუ სწორი (სწორი პასუხი წერია ბარათის მეორე მხარეს), აგდებს ბარათს მოპასუხე გუნდის მწვანე ან წითელ ყუთში. ბლიც-კითხვის შემთხვევაში, როგორც კი გაიცემა მცდარი პასუხი, დარჩენილი ერთი ან ორი კითხვა აღარ დაისმევა და ბარათი ვარდება მოპასუხე გუნდის წითელ ყუთში. თუ კითხვის დასმის შემდეგ ისმის „დროის გუშაგის“ სასტვენის ხმა (გუნდი პასუხის გაცემას 10 წამში არ დაიწყებს), ბარათი ვარდება წითელ ყუთში. თამაშის ბოლოს წამყვანი დათვლის ბარათების რაოდენობას წითელ და მწვანე ყუთებში, აცხადებს „დროის გუშაგთა“ მონაცემებს, გამოავლენს გამარჯვებულ გუნდს და გადასცემს მათ წინასწარ ამობეჭდილ დიპლომებს სხვადასხვა ნომინაციაში.

რეკვიზიტები:

წამყვანის მაგიდა, 2 სასტვენი და 2 წამზომი „დროის გუშაგებისთვის“, 2 თეთრი ყუთი გუნდების მიერ მომზა-დებული კითხვებისთვის (თითო კითხვა თითო ბარათზე); 2 წითელი ყუთი და ორი მწვანე ყუთი. ყველა ყუთს უნდა ეწეროს გუნდების სახელები, რომლებსაც ისინი თავად შეარჩევენ.



ნომინაციები:

- საუკეთესო შეკითხვა
- ყველაზე სწრაფი პასუხი
- ყველაზე საზრიანი პასუხი
- ყველაზე მეტი სწორი პასუხი
- ყველაზე მეტი მცდარი პასუხი
- ყველაზე შეკრული გუნდი
- ყველაზე ჭინჭყლი გუნდი
- ყველაზე მოწესრიგებული გუნდი
- ყველაზე დაბდურა გუნდი

აქტივობა:

მოსწავლეები ამზადებენ და ატარებენ ვიქტორინას.

გაკვეთილი „მასწავლებლობანა“

კლასის ჟურნალი
საგანი: ხელოვნება
მასწავლებელი ——————————————————————
თარიღი ——————————————————————————————

კრიტერიუმი მოსწავლე	1	2	3	4	5
1. ახვლედიანი ელენე					
2. გეკო ოგატა					
3. გოია ფრანსისკო					
4. დიურერი ალბრეხტი					
5. ვერმეერი იანი					
6. კორტე ადრიანი					
7. მატისი ანრი					
8. მირო ჟოანი					
9. მოდილიანი ამედეო					
10. მონე კლოდი					
11. პიკასო პაბლო					
12. პისარო კამილი					
13. ტერნერი უილიამი					
14. ჰოკუსაი კაცუსიკა					

გაკვეთილი: განთქმული ფალსიფიკატორი

ბადის მეთოდისთვის დასაქსეროქსებელი მასალა:

1
2
3
4
A
B
C
D
E
F
A, 1
C, 1
D, 3
E, 1
A, 2
C, 1
E, 2
A, 4
E, 4
D, 2
B,2
D, 4
B, 3
E, 3
B, 1
F, 2
D, 1
B,4
F, 1
C, 2
A, 3
F, 4
C, 4
F, 3



დიპლომი

ყველაზე გამჭრიახი დეტექტიური სააგენტო

გადაეცემა ჯგუფს:

_____

ჰანს ჰოლბაინის ნამუშევარზე თომას მორის ოჯახის წევრთა ვინაობის დადგენისათვის.

თარიღი: _____

აქტიური ბმულები ისტ-ის დავალებებისთვის

გვ.	გაკვეთილის სათაური	დავალება
42	ფორმა	მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) დახატონ ნამუშევრისთვის ჩარჩო. ამობეჭდონ და ჩახატონ ჩარჩოში სურათი
46	სიმეტრიული კომპოზიცია	1. სიმეტრიული ნახატის შესაქმნელი ბმული: http://www.abcya.com/mirror_paint.htm 2. მოსწავლეებმა კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) დახატონ მარ-ტივი გეომეტრიული ფორმებით აგებული სიმეტრიული კომპოზიცია.
48	ასიმეტრი-ული კომ-პოზიცია	ომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT), გეომეტრიული ფორმებით დახა-ტონ ასიმეტრიული კომპოზიცია
49	წონასწო-რობა	კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT) დახატონ გაწონასწორებული კომპოზიცია 1. სხვადასხვა ზომის გეომეტრიული ფორმებით 2. სხვადასხვა ფერის ლაქებით
54	სტატიკა და დინამიკა	მოსწავლეები კომპიუტერის სახატავ პროგრამაში (MS PAINT)დახატავენ მარტივ ფორმებს: 1. ფორმები სურათზე სიმყარის, უძრაობის შთაბეჭდილებას ქმნიან. 2. ფორმები სურათზე იფანტებიან, მოძრაობის, დენადობის, ვარდნის შთაბე-ჭდილებას იწვევენ.
126	სიმეტრია, ქალაქის პეიზაჟი	დავალება: მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს გასართობ სახატავ პროგრამას, რომელიც მათ კომპიუტერში სიმეტრიული ნახატების დახატვის საშუალებას მისცემს.
59	კომპოზიცია	მოსწავლეები კომპიუტერის სახტავ პროგრამაში (MS PAINT) სახატავ არეზე მონიშნავენ წერტილს და ააგებენ უსაგნო, აბსტრაქტულ კომპოზიციას ისე, რომ კომპოზიციის ცენტრი სწორედ თავდაპირველად მონიშნული ადგილი იყოს – მაყურებლის მზერას სწორედ ეს ადგილი უნდა იზიდავდეს (ფერით ან ფორმით).
74	ზამთრის პეიზაჟი	მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ბმულს ელენე ახვლედიანის შემო-ქმედების გასაცნობად. სურათების დათვალიერების შემდეგ მოსწავლეები წერილობით ჩამოაყალიბებენ და გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ შთაბე-ჭდილებებს. https://burusi.wordpress.com/art/elene-akhvlediani/
80	მერაბ აბრა-მიშვილი	მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ბმულს მერაბ აბრამიშვილის შემო-ქმედების გასაცნობად. სურათების დათვალიერების შემდეგ მოსწავლეები წერილობით ჩამოაყალიბებენ და გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ შთაბე-ჭდილებებს. https://burusi.wordpress.com/art/merab-abramishvili/
85	ფეიერვერკი	მოსწავლეები გრაფიკული დიზაინის პროგრამაში ქმნიან ნახატს – ურბანულ პეიზაჟს ფეიერვერკით (იხ. გაკვეთილის სცენარი).
90	დავით კაკაბაძის კოლაჟები	მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ბმულს დავით კაკაბაძის შემო-ქმედების გასაცნობად. სურათების დათვალიერების შემდეგ მოსწავლეები წერილობით ჩამოაყალიბებენ და გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ შთაბე-ჭდილებებს. https://burusi.wordpress.com/art/david-kakabadze/